

სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და  
სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა

მეორე ჩრდილოვანი ანგარიში



სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და  
სამოქმედო გეგმის  
შესრულების მდგომარეობა  
(მეორე ჩრდილოვანი ანგარიში)



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Justice

ადამიანის უფლების სწავლასა და მონიტორინგის ცენტრი  
**EMC**  
Human Rights Education and Monitoring Center

**IDFI**  
ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

**დოკუმენტის გამოცემაზე პასუხისმგებელი:** გურამ იმნაძე, ლევან ავალიშვილი  
**ავტორი:** მარიამ გობრონიძე, ქეთევან კუკავა, სალომე ჩხაიძე

**რედაქტორი:** მედეა იმერლიშვილი  
**მთარგმნელი:** მარიამ ბეგაძე, ნინო კარანაძე, ნანა გურგენიძე  
**დამკაბადონებელი:** თორნიკე ლორთქიფანიძე  
**გარეკანი:** სალომე ლაცაბიძე

**ტირაჟი:** 150

ISBN: 978-9941-8-2220-9

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო  
ტელ.: +995 032 2 23 37 06  
[www.emc.org.ge](http://www.emc.org.ge)  
[info@emc.org.ge](mailto:info@emc.org.ge)  
<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

# სარჩევი

შესავალი .....	6
მეთოდოლოგია .....	7
ძირითადი მიგნებები .....	11
იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა .....	14
სასამართლო რეფორმების შედეგები და არსებული გამოწვევები .....	15
სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა .....	16
შეჯამება .....	25
მოსამართლეთა შერჩევა, დანიშვნა და სხვა საკადრო საკითხები .....	27
სასამართლო რეფორმების შედეგები და არსებული გამოწვევები .....	28
სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა .....	34
შეჯამება .....	50
მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმა .....	52
სასამართლო რეფორმების შედეგები და არსებული გამოწვევები .....	53
სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა .....	55
შეჯამება .....	66
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა და ინსტიტუციური მონყოლა .....	67
სასამართლო რეფორმების შედეგები და არსებული გამოწვევები .....	68
სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა .....	75
შეჯამება .....	83
სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა .....	85
სასამართლო რეფორმების შედეგები და არსებული გამოწვევები .....	86
სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა .....	88
შეჯამება .....	105

## შესავალი

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის<sup>1</sup> საფუძველზე, 2017 წლის 29 მაისს, დაახლოებით ერთწლიანი მუშაობის შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგია და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.<sup>2</sup> ასოცირების დღის წესრიგი მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების პროცესში პრიორიტეტულ მიმართულებებად გამოყოფს მოსამართლეთა სრული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობის, ეფექტიანობის, კეთილსინდისიერების, პროფესიონალიზმისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების გაძლიერებას.<sup>3</sup> სწორედ აღნიშნული მიზნების მისაღწევად, დადგინდა შესაბამისი სტრატეგიული მიმართულებები და შეიქმნა რელევანტური სამუშაო ჯგუფები.<sup>4</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნის პროცესი ხელისუფლების სამივე შტოსა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით წარიმართა, ამ დოკუმენტების დამტკიცება სასამართლო სისტემის რეფორმის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. შესაბამისად, ეს დოკუმენტები უკვე იძლევა შესაძლებლობას, გაანალიზდეს სასამართლო ხელისუფლების ხედვა სისტემაში არსებულ გამოწვევებსა და მათი აღმოფხვრის გზებზე.

წარმოდგენილი ჩრდილოვანი ანგარიში რიგით მეორეა და მიზნად ისახავს 2018 წლის ნოემბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით, 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიის აღსრულების პროცესის შეფასებას. პირველი ჩრდილოვანი ანგარიში 2018 წელს გამოქვეყნდა, საანგარიშო პერიოდი კი, 2017 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავდა.<sup>5</sup> სამწუხაროდ, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა ამ დრომდე არ არის დამტკიცებული, ასევე არ არის გამოქვეყნებული 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მეორე წლის პროგრესის ანგარი-

1 Assosiation Agenda between the European Union and Georgia, 2017-2020, გვ. 9 [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RS9uza>, წვდომის თარიღი: 20.04.2020].

2 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 29.05.2018 წლის 1/162 გადაწყვეტილება [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cz0BSS>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].

3 Assosiation Agenda between the European Union and Georgia, 2017-2020, გვ. 9 [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RS9uza>, წვდომის თარიღი, 20.04.2020].

4 „2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საორგანიზაციო წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №1/260 გადაწყვეტილება [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xewoJR>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].

5 იხ. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ში (შემდგომში – მეორე პროგრესის ანგარიში). შესაბამისად, ნარმოდგენილი ანგარიში კვლავ 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იმ აქტივობების შესრულების მდგომარეობას აფასებს, რომლებიც წინა ჩრდილოვან ანგარიშში შეუსრულებლად, ან ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვადა. დოკუმენტში, მართლმსაჯულების სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და დღემდე არსებულ გამოწვევებზე ერთიანი სურათის შექმნის მიზნით, ასევე თემატურადაა განხილული სასამართლო სისტემის რეფორმის ოთხი ტალღა.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა „სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის“ (FAIR) პროექტის ფარგლებში, რომელსაც, ევროკავშირის მხარდაჭერით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) პარტნიორ ორგანიზაციებთან, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან“ (IDFI) და „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“ (CRRC-საქართველო) ერთად ახორციელებს.

## მეთოდოლოგია

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესაფასებლად, პროექტის გუნდმა შეისწავლა პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობა 2018 წლის ნოემბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით.

სასამართლოს ხუთწლიანი სტრატეგია და ორწლიანი სამოქმედო გეგმა გაცილებით ვრცელია, თუმცა წინამდებარე დოკუმენტში, ისევე როგორც პირველ ჩრდილოვან ანგარიშში, განხილულია სასამართლო სისტემის ინსტიტუციური გაძლიერებისა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის გაზრდისთვის არსებითად მნიშვნელოვანი ის მიმართულებები, რომლებიც სასამართლო რეფორმირების ყველაზე ფუნდამენტურ საკითხებს ეხება და წლების განმავლობაში მთავარი დისკუსიების საგანი იყო. კერძოდ, ანგარიშში შეფასებულია შემდეგი ხუთი საკვანძო მიმართულებით განხორციელებული აქტივობები:

1. **იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობა და ინსტიტუციური მოწყობა** – მოსამართლეობის კანდიდატის სწავლება და მოსამართლის განგრძობადი გადამზადება სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია და განამტკიცებს ადამიანის უფლებას, მისი საქმე განიხილოს მხოლოდ კომპეტენტურმა სასამართლომ. კომპეტენტური მოსამართლის დანიშვნა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებლობასა და სკოლაში მსმენელების მიღების ობიექტურ და გამჭვირვალე პროცესზეა დამოკიდებული.

2. **მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნისა და დანიშნულების სისტემა** – მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელთ არსებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური უფლებამოსილებაა. მოსამართლეთა დანიშვნის წესი და პრაქტიკა დიდწილად განსაზღვრავს სასამართლო სისტემის მიმართ მოსახლეობის ნდობის ხარისხს.
3. **მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემა** – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა სასამართლო სისტემის სანდოობის უზრუნველყოფას ემსახურება, თუმცა, მეორე მხრივ, იგი შეიცავს პოტენციურ საფრთხეს, მისი არასათანადოდ გამოყენების პირობებში, გადაიქცეს ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზეწოლის ბერკეტად.
4. **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციური მონაცემები და საქმიანობის რეგულირება** – იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირების ერთადერთი კონსტიტუციური ორგანოა, რომლის ხელში არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა თავმოყრილი. საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების დახვეწა აუცილებელია სასამართლო სისტემის საქმიანობის გამჭვირვალედ, საჯაროდ და ობიექტურად წარმართვისთვის.
5. **სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა** – გამჭვირვალობის პრინციპი მოიაზრებს როგორც გადაწყვეტილებების მიღების საჯარო პროცესს, ისე მიღებული გადაწყვეტილების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. გარდა სასამართლოს მიერ მიღებული სასამართლო აქტების გამჭვირვალობისა, უმნიშვნელოვანესია სასამართლო სისტემის ადმინისტრირების მიზნით გადადგმული ნაბიჯების შესახებ ინფორმაციის ღიაობა. სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა, ასევე მოიაზრებს საზოგადოებასა და სასამართლო ხელისუფლებას შორის აქტიური კომუნიკაციის ფორმების არსებობასაც.

პროექტის გუნდმა ამ ხუთ მიმართულებაში მოქცეულ თითოეულ აქტივობას შესაბამისი სტატუსი მინიჭა:

1. **შესრულებული** – სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობას შესრულებულის სტატუსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება, თუკი აქტივობა სრულად, ყველა კომპონენტის გათვალისწინებით, არის შესრულებული. პროექტის გუნდი აქტივობას შესრულებულად მიიჩნევდა მაშინაც კი, თუკი შესაბამისი ღონისძიებები ვადის გადაცილებით, თუმცა სრულად იყო განხორციელებული.
2. **ნაწილობრივ შესრულებული** – აღნიშნული სტატუსი აქტივობას შესაძლოა მიენიჭოს იმ შემთხვევაში, თუკი აქტივობის მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ნაწილი შესრულდა, თუმცა არა ყველა კომპონენტი (მაგალითად, მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი, თუმცა მიღებული და ამოქმედებული არ არის).



3. **შეუსრულებელი** – აღნიშნული სტატუსი აქტივობას შესაძლოა ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუკი აქტივობა საერთოდ არ შესრულებულა ან მის შესასრულებლად მუშაობა არ დაწყებულა.

2020 წლის თებერვლის მდგომარეობით, ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული ახალი, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, შესაბამისად, მეორე საანგარიშო პერიოდში გაანალიზდა 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა ის აქტივობა, რომელიც 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ნაწილობრივ შესრულებულ ან შეუსრულებელ აქტივობებად შეფასდა. აქტივობებისთვის რელევანტური შესრულების სტატუსის მინიჭებისას, პროექტის გუნდი შემდეგ მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტებს დაეყრდნო:

**კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი** – მონიტორინგის ჩატარებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს, განხორციელებული რეფორმების და მის საფუძველზე განვითარებული პრაქტიკის ანალიზი. სწორედ ამ მიზნით, მონიტორინგის ფარგლებში, დამუშავდა და გაანალიზდა რელევანტური სამართლებრივი აქტები. აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რეფორმის „მეთხე ტალღა“,<sup>6</sup> რამაც ასევე მნიშვნელოვნად შეცვალა წინა საანგარიშო პერიოდში არსებული სამართლებრივი ჩარჩო და, შესაბამისად, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სასამართლო სისტემის საქმიანობის შეფასების პროცესში. ამგვარმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა თითოეული აქტივობის ირგვლივ არსებული ნორმატიული კონტექსტის მიმოხილვა.

**სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მეორე პროგრესის ანგარიშისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტების ანალიზი** – 2019 წლის ზაფხულში მომზადდა სამოქმედო გეგმის შესრულების მეორე პროგრესის ანგარიშისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტები, რომლებიც კომენტარებისა და შენიშვნების მისაღებად დაინტერესებულ მხარეებს გაეგზავნა. მონიტორინგის ფარგლებში მნიშვნელოვანი წყარო იყო თითოეული აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტში მითითებული ინფორმაცია. ახალი სამოქმედო გეგმის პროექტის ანალიზმა შესაძლებელი გახადა მასში მითითებული მიზნებისა და აქტივობების რელევანტურობისა და ეფექტიანობის შეფასება.

**პასუხისმგებელი უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა** – მონიტორინგის პროცესში ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი წყარო იყო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. სწორედ ამიტომ, პროექტის გუნდმა რამდენიმე ეტაპად გამოით-

6 იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 13/12/2019, 5569-ის, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V8oVoQ>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ხოვა საჯარო ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოდან და იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან. პროექტის გუნდმა შესაბამისი უწყებებიდან გამოითხოვა ინფორმაცია კონკრეტული აქტივობის შესრულების მიზნით განხორციელებული ქმედებების თაობაზე, აგრეთვე, თითოეულ აქტივობასთან დაკავშირებით მომზადებულ სხვა დოკუმენტებზე. აქტივობების მიხედვით გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე მიღებული პასუხები, ხშირ შემთხვევაში, ზოგადი იყო და არ პასუხობდა კონკრეტულ მოთხოვნას, რაც მნიშვნელოვნად ართულებს სამოქმედო გეგმის შესრულების სრულყოფილ მონიტორინგს.

**მეორადი წყაროების ანალიზი** – მონიტორინგის ფარგლებში ინფორმაციის დამატებითი წყარო იყო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების და სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, კვლევები, შეფასებები. მსგავსი ინფორმაციის ანალიზმა შესაძლებელი გახადა აქტივობების შესრულების მასშტაბის და, შესაბამისად, პროგრამის და მიზნის მიღწევის პროგრესის უფრო სრულყოფილი შეფასება.

**იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების სხდომების მონიტორინგი** – იმ პირობებში, როდესაც არაერთი აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება იუსტიციის უმაღლესი საბჭოა და სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადებული დოკუმენტები სწორედ საბჭოს სხდომის ფორმატში განიხილება, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით, საბჭოს სხდომებზე რეგულარული დასწრება ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო. ამ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამუშაო ჯგუფების 3 საჯარო შეხვედრა, რომელსაც პროექტის გუნდის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად მიღებული წერილები, ასევე მიუთითებს სამუშაო ჯგუფების დახურულ შიდა საორგანიზაციო შეხვედრებზე, თუმცა მათ მიმდინარეობაზე დეტალური ინფორმაცია პროექტის გუნდისთვის იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ მოუწოდებია.<sup>7</sup> დახურული შეხვედრების მიმდინარეობისა და განხილული საკითხების შესახებ ინფორმაცია არც საბჭოს ვებგვერდზეა განთავსებული.

საყურადღებოა, რომ სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ხუთი პრიორიტეტული მიმართულების შესრულების მდგომარეობასთან ერთად, პირველ ჩრდილოვან ანგარიშში შეფასდა მომიჯნავე პოლიტიკის დოკუმენტების შესრულების მდგომარეობაც. კერძოდ, წინა ჩრდილოვან ანგარიშში გაანალიზდა ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმითა და სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2018-2022 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები, რომლებიც მონიტორინგის ანგარიშის მიზნებისთვის შერჩეულ ხუთ მიმართულებას მიემართებოდა. დაკვირვების შედეგად, უმრავლეს შემთხვევაში, ნათლად გამოიკვეთა თანხვედრა სასამართლო სისტემის სამოქმედო გეგმით დადგენილ

<sup>7</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის წერილი №242/668-03-ო.

აქტივობებსა და მომიჯნავე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს შორის.<sup>8</sup> როგორც აღინიშნა, სასამართლო სისტემის ახალი სამოქმედო გეგმა არ დამტკიცებულა, პირველ ჩრდილოვან ანგარიშში კი, დეტალურად იქნა მიმოხილული სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმასა და აღნიშნულ მომიჯნავე სამოქმედო გეგმებს შორის კავშირი და აქტივობების შესრულების მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, პროექტის გუნდს, მომიჯნავე სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული საკითხები, მეორე საანგარიშო პერიოდში დამატებით აღარ შეუფასებია.

## ძირითადი მიგნებები

სასამართლო სისტემის სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით განერილი ამოცანები, 2017 წლის მდგომარეობით, მეტწილად პასუხობდა სასამართლოში იმ დროისთვის არსებულ გამოწვევებს. დოკუმენტები ფარავდა თითქმის ყველა იმ ძირითად საკითხს, რომლებზე მუშაობაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყანაში დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და ხარისხიანი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად. როგორც აღინიშნა, 2020 წლის თებერვლის მდგომარეობით, რიგით მეორე – 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საბჭოსთვის სტრატეგიის დოკუმენტით განერილ თემებზე მუშაობა პრიორიტეტულ მიმართულებას არ წარმოადგენდა.

მართლმსაჯულების სისტემაში წლების მანძილზე დაგროვილმა სისტემურმა პრობლემებმა, ლოგიკურად გამოიწვია სასამართლოს მიმართ დაბალი საზოგადოებრივი ნდობა და პროფესიული ჯგუფების მწვავე კრიტიკა. ამ ფონზე, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ფორმატი, არის კარგი შესაძლებლობა, პროფესიული ჯგუფების ჩართულობით და საერთაშორისო ექსპერტიზის გამოყენებით, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მართლმსაჯულების რეალურად გაუმჯობესებისთვის. სამწუხაროდ, როგორც წინა, ასევე წარმოდგენილმა მონიტორინგის ანგარიშმა გამოკვეთა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო სათანადო ყურადღებას არ უთმობს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის სრულყოფილად იმპლემენტაციას და ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ტექნიკურად თუ სრულდება კონკრეტული აქტივობები, ხოლო მათი შინაარსობრივი შედეგი, მართლმსაჯულების ხარისხობრივი გაუმჯობესება, სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების ინტერესს მიღმა რჩება, რითიც ამ ფორმატის არსებობას და ქმედითობას, მნიშვნელოვანი ჩრდილი ადგება. მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმის ოთხი ტალღისა და რიგი პოზიტიური ცვლილებებისა, სამწუხაროდ, ქართულ სასამართლოში კვლავაც არსებობს მნიშვნელოვანი სისტემური ხარვეზები და გამოწვევები, რომელთა დროული და ეფექტიანი გადაწყვეტა რადიკალურ და ძირეულ რეფორმას საჭიროებს.

<sup>8</sup> იხ. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი აღსრულების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ უკანასკნელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში, პასუხისმგებელ უწყებებს, პირველ საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი გამოწვევების აღმოსაფხვრელად, ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამთ. შესაბამისად, მეორე საანგარიშო პერიოდში მიმოხილული პრობლემური საკითხები, მეტწილად ემთხვევა წინა ჩრდილოვან ანგარიშში დასახელებულ გამოწვევებს.

2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებისა და ახალი, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესთან დაკავშირებით, შემდეგი მიგნებები გამოვლინდა:

- 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა და მეორე პროგრესის ანგარიში დღემდე არ არის დამტკიცებული/გამოქვეყნებული. ახალი სამოქმედო გეგმისა და მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტები დაინტერესებულ მხარეებს ჯერ კიდევ 2019 წლის ზაფხულის პერიოდში მიენოდათ წერილობითი მოსაზრებების წარსადგენად; იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებულ წერილებში არაფერია ნათქვამი პროცესის გაჭიანურების მიზეზებსა და ამ დოკუმენტების სავარაუდო დამტკიცების/გამოქვეყნების თარიღზე;<sup>9</sup>
- მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი, ისევე როგორც წინა საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებისთვის წარდგენილი ერთწლიანი პროგრესის ანგარიში, მეტწილად ტექნიკური ხასიათისაა და სრულყოფილ ინფორმაციას, აქტივობების შესრულების მდგომარეობის შესახებ, არ შეიცავს;<sup>10</sup>
- უკანასკნელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში მხოლოდ 3 ღია სამუშაო შეხვედრა ჩატარდა, თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული წერილით ირკვევა, რომ დახურულ ფორმატში ოთხივე სამუშაო ჯგუფის არაერთი შიდა საორგანიზაციო შეხვედრა გაიმართა; საჭარო ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად მიღებული წერილები, ასევე მიუთითებს სამუშაო ჯგუფების შიდა საორგანიზაციო შეხვედრებზე, რომლებიც დახურული იყო და მათ მიმდინარეობაზე დეტალური ინფორმაცია არ მოუწოდებიათ,<sup>11</sup> არც საბჭოს ვებგვერდზეა განთავსებული მონაცემები შეხვედრების მიმდინარეობისა და განხილული საკითხების შესახებ;
- მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საანგარიშო წელს, დაინტერესებულ პირებს, მათ შორის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენ-

9 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/1498-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ და №241/667-03-თ წერილები.

10 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, მონოდებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ წერილით.

11 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის წერილი №242/668-03-თ.

ლებს, საჯარო სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე დასწრების შესაძლოა შეუფერხებლად ეძლეოდეთ, პრობლემურია საბჭოს გადანყვეტილებით დადგენილი წესი, რომლის თანახმადაც, სამუშაო ჯგუფს უფლება აქვს, კენჭისყრის საფუძველზე შემდგომ სხდომაზე დასწრება.

2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების თვალსაზრისით, შემდეგი მიგნებები გამოიკვეთა:

- იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმირების მიზნით, ამ მონიტორინგის ფარგლებში შეფასებული 10 აქტივობიდან 3 შესრულებულია, 4 – ნაწილობრივ შესრულებული, ხოლო 3 – შეუსრულებელია;
- მოსამართლეთა შერჩევა დანიშვნასა და დანიშნულებასთან დაკავშირებული ამ მონიტორინგის ფარგლებში შეფასებული 18 აქტივობიდან შესრულებულია -1 , 7 – ნაწილობრივ შესრულებული, ხოლო 10 – შეუსრულებელია;
- მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სრულყოფის მიზნით, ამ მონიტორინგის ფარგლებში შეფასებული 15 აქტივობიდან 4 შესრულებულია, 3 – ნაწილობრივ შესრულებული, ხოლო 8 – შეუსრულებელია;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციურ მონყობასა და საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებული ამ მონიტორინგის ფარგლებში შეფასებული 9 აქტივობიდან შესრულებულია -1, ნაწილობრივ შესრულებულია – 6, ხოლო 2 – შეუსრულებელია;
- სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ამ მონიტორინგის ფარგლებში შეფასებული 16 აქტივობიდან 2 შესრულებულია, 11 – ნაწილობრივ შესრულებული, ხოლო 3 – შეუსრულებელია.

შესაბამისად, ამ საანგარიშო პერიოდში განხილული 68 აქტივობიდან, ჯამში შესრულებულია – 11, ნაწილობრივ შესრულებულია – 31, შეუსრულებელია – 26, ხოლო 2017 წლიდან 2020 წლის თებერვლის მონაცემებით, ორივე საანგარიშო პერიოდში, ჯამში განხილული 92 აქტივობიდან<sup>12</sup>, შესრულებულია – 35, ნაწილობრივ შესრულებულია – 31, შეუსრულებელია – 26.

12 მონიტორინგის ამ პერიოდში ხელახლა არ შეფასებულა, 3.2.2.4 აქტივობა (რევიონებიდან მსმენელთა მოზიდვის მიზნით დისტანციური სწავლების განვითარება), რომელსაც წინა საანგარიშო პერიოდში მიენიჭა სტატუსი „ნაწილობრივ შესრულებული“, რადგან 3.1.1.3 აქტივობასთან (სალამოს სწავლებისა ან/და სხვა ალტერნატიული სწავლების პროგრამის მიზანშეწონილობის დადგენა) დაკავშირებით, ექსპერტმა მოამზადა დასკვნა, რომლის თანახმად სამოსამართლო კანდიდატების მომზადების მთლიანი პროგრამის დისტანციურ რეჟიმში წარმართვა მიუღებელია. 2018 წლის 14 დეკემბრის სხდომაზე მესამე სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი დასკვნა და იუსტიციის მსმენელთა ალტერნატიული სწავლების ფორმის დანერგვა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს. შესაბამისად, მონიტორინგის ამ პერიოდში, პროექტის გუნდმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია 3.2.2.4 აქტივობის შეფასება. ასევე, ჯამურ რაოდენობაში არ შედის ის ერთი აქტივობა (2.1.1.4.), რომელსაც წინა საანგარიშო პერიოდში სტატუსი არ მიენიჭა.



## სასამართლო რეფორმების შედეგები და არსებული გამოწვევები

იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ ამ ორგანოს რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და მისი საქმიანობის გაუმჯობესების გარეშე, მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის ერთიანი სისტემის ძირეული რეფორმა შეუძლებელია.<sup>13</sup>

ბოლო წლებში გატარებული რეფორმები გარკვეულწილად შეეხო იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებს. სასამართლო რეფორმის „პირველი ტალღის“ ფარგლებში, სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შემადგენლობიდან გამოირიცხა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, განისაზღვრა სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მოსამართლეთა მიერ არჩევა, ხოლო წევრების – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცება.<sup>14</sup> სკოლასთან მიმართებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ფართო უფლებამოსილებების შეზღუდვა, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

რეფორმის „მეორე ტალღა“ იუსტიციის უმაღლეს სკოლას არ შეეხებია, ხოლო „მესამე ტალღის“ ფარგლებში კანონმდებლობაში ცალკეული დადებითი ცვლილებები შევიდა. კერძოდ, გარკვეულწილად გაიზარდა სკოლის გამჭვირვალობის ხარისხი და დადგინდა დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაციისა და სხდომის დღის წესრიგის, ასევე დამოუკიდებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სხდომის ოქმთან ერთად გამოქვეყნების ვალდებულება.<sup>15</sup>

იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები განხორციელდა რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში,<sup>16</sup> კერძოდ:

- იუსტიციის უმაღლეს სკოლას მიენიჭა სკოლაში მისაღები კონკურსის ჩატარების უფლებამოსილება, რითაც გაიზარდა მისი ფუნქციური დამოუკიდებლობა;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევის უფლებამოსილება მოსამართლეთა კონფერენციას გადაეცა;
- იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა 10 თვიდან 16 თვემდე გაიზარდა;
- გაიზარდა სკოლის მსმენელის სტიპენდიის ოდენობა.

13 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილო-ვანი ანგარიში, 2018, გვ. 26, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

14 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, განხორციელებული რეფორმა, ხელმისაწვდომია: [<https://bit.ly/3a2J5Ww>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

15 „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2017 წლის 8 თებერვლის კანონი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XxyTld>; წვდომის თარიღი: 14.04.2020], (ამჟამად ამ კანონით გათვალისწინებული ნორმები ასახულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში).

16 „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 66<sup>3</sup>-ე, 66<sup>14</sup>-ე, 66<sup>21</sup>-ე და 66<sup>17</sup>-ე მუხლები, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ამ დადებითი ცვლილებების მიუხედავად, იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებით, მაინც არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, კერძოდ:

- „მეოთხე ტალღის“ საკანონმდებლო ცვლილებით, სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 4 წევრის არჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭო ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს, რაც სკოლის საქმიანობაზე საბჭოს გავლენის რისკებს ქმნის;
- „მეოთხე ტალღის“ რეფორმის ფარგლებში, სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაეცა, რაც უარყოფით შეფასებას იმსახურებს;
- იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებ კონკურსთან დაკავშირებული საკითხები სკოლის წესდებით განისაზღვრება და არა საკანონმდებლო დონეზე. პრობლემურია მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისა და გასაჩივრების გარანტიების არარსებობა;
- მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა საბჭოს დაკომპლექტების ობიექტურ და გამჭვირვალე პროცესს.

## სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა

2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 17 აქტივობიდან შესრულებული იყო 6, ნაწილობრივ შესრულებული – 3, ხოლო შეუსრულებელი – 8 აქტივობა<sup>17</sup>. წინამდებარე ანგარიშში შეფასდა იმ 10 აქტივობის შესრულების მდგომარეობა, რომელთაც 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, მიენიჭათ სტატუსი „შეუსრულებელი“ ან „ნაწილობრივ შესრულებული“.

### 3.1.1 საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დასასაქმებლად შესაბამისი წინაპირობების შექმნა

სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დასასაქმებლად შესაბამისი წინაპირობების შექმნის პროგრამის ფარგლებში, ოთხ აქტივობას ითვალისწინებდა. მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმასთან დაკავშირებული ორი აქტივობა:

17 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].



**3.1.1.1. საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დასაქმების ხელის შემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება (2017, 2018) – ნაწილობრივ შესრულებული**

**3.1.1.2. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა ადეკვატური სტიპენდიით უზრუნველყოფა (2018) – შესრულებული**

**3.1.1.1** აქტივობასთან დაკავშირებით, პროგრესის ანგარიშის პროექტში<sup>18</sup> აღნიშნულია, რომ საუკეთესო პოტენციალის მქონე მოსამართლეების დასაქმების ხელის შემშლელი ფაქტორები პარლამენტთან არსებულმა სარეფორმო ჯგუფმა განიხილა და გამოავლინა, რომ ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელის სტიპენდიის ოდენობაა. ანგარიშში მითითებულია, რომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით იუსტიციის უმაღლესი სკოლის დაფინანსების გაზრდამ, სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს შესაძლებლობა მისცა გაეორმაგებინა მსმენელის სტიპენდია. ასევე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შესული საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრა, რომ იუსტიციის მსმენელის სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობა არ შეიძლება იყოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მინიმალური ხელფასის 1/3-ზე ნაკლები.<sup>19</sup>

სტიპენდიის ოდენობა იყო ერთ-ერთი და არა ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორი. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა ადეკვატური სტიპენდიით უზრუნველყოფა სამოქმედო გეგმაში ცალკე აქტივობად არის გამოყოფილი. შესაბამისად, აუცილებელია სხვა ხელის შემშლელი გარემოებების გამოვლენა და მნიშვნელოვანი ზომების მიღება. მხოლოდ სტიპენდიის გაზრდა ვერ ჩაითვლება 3.1.1.1. აქტივობის შესრულებად.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ხელმისაწვდომი არ არის დოკუმენტი, რომელიც სრულყოფილად განიხილავდა გამოვლენილ ხელის შემშლელ გარემოებებს და ამ ფაქტორების ანალიზის შედეგად, რეაგირების სათანადო ხედვას შემოგვთავაზებდა, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს.

ანგარიშში საუბარია მართლმსაჯულების ზაფხულისა და ზამთრის სკოლების თაობაზეც, რაც სასამართლო სისტემის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტუდენტების სასამართლო სისტემის საქმიანობით დაინტერესებას ემსახურება. ზაფხულისა და ზამ-

18 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 35, მონოდებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ წერილით.

19 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 66<sup>17</sup>-ე მუხლი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

თრის სკოლების ფარგლებში ტარდება ტრენინგები მართლმსაჯულების დამოუკიდებლობაზე, გამოსატვის თავისუფლების, დისკრიმინაციის აკრძალვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებულ ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, ასევე ბავშვთა უფლებების, აღდგენითი მართლმსაჯულებისა და დავის გადაჭრის ალტერნატიული გზების თაობაზე.

მართალია, დადებითად უნდა შეფასდეს ამ გზით საუკეთესო პოტენციალის მქონე მოხელეთა მოზიდვა და ნახალისება, თუმცა აღნიშნული აქტივობის ფარგლებში აუცილებელია ხელის შემშლელი ფაქტორების განსაზღვრა და მათზე შესაბამისი რეაგირება. აუცილებელია ამ საკითხის სისტემური და ყოველმხრივი გააზრება და არსებული პრობლემის ეფექტიანად გადაჭრის გზის მოძიება. შესაბამისად, 3.1.1.1. აქტივობა ამ ეტაპზე ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

**3.1.1.2** აქტივობასთან დაკავშირებით, როგორც უკვე აღინიშნა, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით გაიზარდა სკოლის დაფინანსება და მას შესაძლებლობა მიეცა გაეორმაგებინა მსმენელის სტიპენდიის ოდენობა. კერძოდ, სკოლის მსმენელის სტიპენდია 2000 ლარი გახდა.<sup>20</sup> შესაბამისად, 3.1.1.2 აქტივობა შესრულებულად მიიჩნევა.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ საუკეთესო პოტენციალის მქონე კანდიდატების მოზიდვას აბრკოლებს ის გარემოებაც, რომ არსებობს რისკი, სკოლის სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, მსმენელი მოსამართლედ არ დაინიშნოს. მოქმედი კანონმდებლობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის ვალდებული, პირის მოსამართლედ განწესებისას გაითვალისწინოს სკოლის შეფასება, დაასაბუთოს, რატომ იღებს ან არ იღებს მხედველობაში სკოლის შეფასებას ორგანული კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმებით კანდიდატის შეფასებისას. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი სკოლის როლი მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში მცირეა. სამწუხაროდ, სამოქმედო გეგმა ამ პროგრამის ფარგლებში პირდაპირ არ ითვალისწინებს საკანონმდებლო დონეზე სკოლის როლის გაზრდას მსმენელის მოსამართლედ დანიშვნის პროცესში.

### 3.2.1 მსმენელად მიღების პროცესის გაუმჯობესება

სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა მსმენელად მიღების პროცესის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში ხუთ აქტივობას ითვალისწინებდა, რომელთაგანაც მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა ოთხი:

20 იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2020 წლის 31 იანვრის წერილი, N02/2586.

**3.2.1.1. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის გაუმჯობესება, კანდიდატთა სწავლების ვადის გაზრდით და სწავლების მეთოდების დახვეწით (2017) – შესრულებული**

**3.2.1.2. მსმენელთა შერჩევის კრიტერიუმების განახლება და პროცედურის დახვეწა (2017) – ნაწილობრივ შესრულებული**

**3.2.1.4. მსმენელების გასაუბრების პროცესის დახვეწა (მათ შორის, კითხვების) (2018) – შესრულებული**

**3.2.1.5. სამოსამართლო სწავლების სამაგისტრო კურსის (Judicial Studies) დანერგვის მიზანშეწონილობის თაობაზე კვლევის ჩატარება (2018) – შესრულებული**

მსმენელად მიღების პროცესის გაუმჯობესება, რაც არსებითად მნიშვნელოვანია მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის ერთიანი სისტემის რეფორმირებისათვის, არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან აქტივობას, როგორც არის მსმენელად ჩარიცხვაზე უარის გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა. გარდა ამისა, ბუნდოვანია, რამდენად მოიაზრებს მსმენელთა შერჩევის პროცედურის დახვეწა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების რეგულირებასა და არასათანადო კომუნიკაციის აკრძალვის მიზნით საკანონმდებლო გარანტიების შექმნას.

**3.2.1.1** აქტივობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საკვალიფიკაციო გამოცდის გაუმჯობესება, კანდიდატთა სწავლების ვადის გახანგრძლივება და სწავლების მეთოდების დახვეწა სამ ერთმანეთისგან განსხვავებულ გამონვევას უკავშირდება, შესაბამისად, საკამათოა მათი ერთი აქტივობის ფარგლებში გაერთიანების მიზანშეწონილობა. გარდა ამისა, პრობლემურია ამ აქტივობის მიმართება სამოქმედო გეგმის შესაბამის პროგრამასთან. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის გაუმჯობესება<sup>21</sup> დაკავშირებულია მსმენელად მიღების პროცესის გაუმჯობესებასთან, თუმცა სწავლების ვადის გახანგრძლივება და სწავლების მეთოდების დახვეწა მსმენელთა სწავლების პროცესის გაუმჯობესებას ემსახურება. ამდენად, გაუგებარია ამ ორი საკითხის გათვალისწინება მსმენელად მიღების პროცესის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის ფარგლებში აღნიშნული საკითხები ერთ აქტივობად განიხილება.

სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა 16 თვე გახდა,<sup>22</sup> რაც მისასაღმებელი სიახლეა. იმ მსმენელისთვის, რომელსაც აქვს იუს-

21 აღნიშნული აქტივობა შესრულდა წინა მონიტორინგის პერიოდში. იხ. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 31-32, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

22 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 66<sup>21</sup>-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, საერთო სასამართლოს აპარატის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, მოსამართლის თანაშემწედ, სასამართლო სხდომის მდივნად, გამომძიებლად, პროკურორად ან/და ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება, სწავლების ხანგრძლივობა 12 თვეა.<sup>23</sup>

პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, Twinning-ის პროექტის ფარგლებში ფრანგ და ლათვიელ ექსპერტთა ჯგუფმა, ქართველი მოსამართლე-ექსპერტების მონაწილეობით, განაახლა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელების მომზადების პროგრამა, რაც მოიცავს ელექტრონული სწავლების კომპონენტს, შესავალი სწავლების საფეხურის შემოღებას სხვადასხვა სპეციალიზაციის მსმენელებს შორის ცოდნის გასათანაბრებლად, სტაჟირების შემოღებას სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციაში და სასამართლოს გარეთ, ასევე, განისაზღვრა კომპეტენციები, რომელთაც მოსამართლეები უნდა ფლობდნენ.<sup>24</sup> შესაბამისად, 3.2.1.1. აქტივობა შესრულებულად მიიჩნევა.

**3.2.1.2** აქტივობასთან დაკავშირებით, პროგრესის ანგარიშის პროექტი უთითებს „მეოთხე ტალღის“ ცვლილებებზე, რომლითაც განისაზღვრა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელად მიღებისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმები და მსმენელად მიღების რაოდენობის დადგენის წესი.<sup>25</sup> არსებული რეგულირებით, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელად შერჩევასა და გათვალისწინება საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგი, კანდიდატის კვალიფიკაცია, სამართლებრივი ანალიზის, დასაბუთების, ზეპირი კომუნიკაციისა და გამომხატვის უნარები<sup>26</sup>, რაც მისასაღმებელი სიახლეა. ასევე, დადებითად უნდა შეფასდეს სკოლაში მისაღები კონკურსის, საბჭოს ნაცვლად სკოლის მიერ ჩატარება, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია სკოლის დამოუკიდებლობის გაძლიერებისა და ამ ორ ორგანოს შორის ფუნქციების სწორად გადანაწილებისთვის.

მიუხედავად განხორციელებული დადებითი ცვლილებებისა, მნიშვნელოვან ხარვეზად რჩება სკოლაში მისაღები კონკურსის ფორმის, კანდიდატთა რეგისტრაციისა და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების სკოლის წესდებით განსაზღვრა. ამ მნიშვნელოვანი საკითხების კანონქვემდებარე აქტით რეგულირება უარყოფითად უნდა შეფასდეს. სკოლაში მისაღები კონკურსის სამართლიანად და ობიექტურად წარმართვისთვის აუცილებელია ძირითადი პრინციპების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა. ამგვარი მიდგომა უფრო მყარი გარანტიების შექმნას უზრუნველყოფს,

23 იქვე, მე-2 პუნქტი.

24 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 42-43, მოწოდებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

25 იქვე, გვ. 41.

26 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 66<sup>14</sup>-ე მუხლი, მე-2 პუნქტი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

პარლამენტის მიერ საკითხის განხილვისას კი, საზოგადოების ჩართულობისა და დისკუსიის შესაძლებლობას იძლევა. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედ სამართლებრივ ჩარჩოში განსაკუთრებით პრობლემურია კონკურსის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა და მსმენელად ჩარიცხვაზე უარის გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმის არარსებობა.

მიზანშეწონილია, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები მკაფიოდ იყოს კანონით განსაზღვრული, მსმენელად მიღების შესახებ გადაწყვეტილება კი – სათანადოდ დასაბუთებული. სათანადო საკანონმდებლო რეგულირების გარეშე, მატულობს მსმენელთა შერჩევის პროცესში თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკი და ზიანი ადგება სკოლაში მისაღები კონკურსის ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართვის მნიშვნელოვან საჭარო ინტერესს. ამასთან, უნდა არსებობდეს კონკურსის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმი. არსებული ხარვეზების გათვალისწინებით, 3.2.1.2. აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

**3.2.1.4** აქტივობასთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უთითებს სასამართლოს რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ცვლილებებზე, რის შედეგადაც განისაზღვრა იუსტიციის მსმენელობის კანდიდატის შერჩევისას მხედველობაში მისაღები კრიტერიუმები.<sup>27</sup> თუმცა, უშუალოდ გასაუბრების პროცესის დახვეწასთან დაკავშირებით, ზომები არ გატარებულა. შესაბამისად, 3.2.1.4 აქტივობა ამ ეტაპზე შეუსრულებლად მიიჩნევა.

**3.2.1.5** აქტივობა ამ დრომდე ასევე შეუსრულებელია, რადგან არ წარმოებულა კვლევა სამოსამართლო სწავლების სამაგისტრო კურსის (Judicial Studies) დანერგვის მიზანშეწონილობის თაობაზე.<sup>28</sup>

საერთო ჯამში, გვემის შესრულების მონიტორინგი ცხადყოფს, რომ მიუხედავად გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯებისა, კონკურსთან დაკავშირებული საკითხების სკოლის წესდებით განსაზღვრა, გადაწყვეტილების დაუსაბუთებლად მიღება და ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმის არარსებობა, მსმენელად მიღების პროცესის გაუმჯობესების გზაზე, მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა.

### 3.2.2 მსმენელთა სწავლების პროცესის გაუმჯობესება

სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, მსმენელთა სწავლების პროცესის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში, ოთხ აქტივობას ითვალისწინებდა. მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა ორი აქტივობა:

27 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 თებერვლის წერილი, №141/138-03-ო.

28 იქვე.

**3.2.2.2. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება (2018) – შესრულებული**

**3.2.2.3. მსმენელთა სტაჟირების სისტემის დახვეწა (2018) – ნაწილობრივ შესრულებული**

**3.2.2.2** აქტივობასთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ განმარტა, რომ ფრანგი, ლათვიელი და ქართველი მოსამართლე-ექსპერტების მონაწილეობით შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად, განახლდა იუსტიციის მსმენელების სამოსამართლო პროგრამა, განისაზღვრა ის კომპეტენციები, რომელსაც მოსამართლეები უნდა ფლობდნენ. ამასთან, განახლებულ პროგრამაში გათვალისწინებულია ელექტრონული სწავლების კომპონენტი და სტაჟირება სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციაში თუ მის გარეთ. სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით ექსპერტთა რეკომენდაციები შეძლებისდაგვარად აისახა არსებულ 10-თვიან პროგრამაში. წერილში ასევე აღინიშნა, რომ სკოლის დამოუკიდებელი საბჭო მსმენელთა სასწავლო და სტაჟირების პროგრამებს რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე დაამტკიცებს.<sup>29</sup> პროგრესის ანგარიშის პროექტში აღნიშნულია, რომ 2018 წლის დეკემბერში უცხოელი ექსპერტების კიდევ ერთი ვიზიტი განხორციელდა, რომელთაც ქართველ მოსამართლე-ექსპერტებთან ერთად განახლეს სასწავლო პროგრამის სილაბუსები.<sup>30</sup> აქედან გამომდინარე, 3.2.2.2 აქტივობა შესრულებულად მიიჩნევა.

**3.2.2.3** აქტივობის ფარგლებში, პროგრესის ანგარიშის პროექტის<sup>31</sup> თანახმად, 2018 წლის ოქტომბერში სკოლას ეწვია ფრანგი ექსპერტი, რომელმაც მოამზადა ანგარიში, შესაბამისი რეკომენდაციებით სტაჟირების ვადის გახანგრძლივებაზე, სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციაში სტაჟირების შემოღებაზე, სასამართლო სისტემის გარეთ სტაჟირებასა და სტაჟირების კოორდინატორთა მომზადების თაობაზე. თუმცა, სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, განახლებული სტაჟირების პროგრამა დამოუკიდებელ საბჭოს ჯერჯერობით არ დაუმტკიცებია.<sup>32</sup> ამდენად, აღნიშნული აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

29 იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2020 წლის 31 იანვრის №02/2586 წერილი.

30 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 43, მოწოდებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

31 იქვე.

32 იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2020 წლის 31 იანვრის №02/2586 წერილი.

### 3.2.4 სასამართლო მოხელეთა და სისტემის სხვა თანამშრომელთათვის განგრძობადი სწავლების სისტემის დახვეწა

სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა სასამართლო მოხელეთა და სისტემის სხვა თანამშრომელთათვის განგრძობადი სწავლების სისტემის დახვეწის პროგრამის ფარგლებში ხუთ აქტივობას ითვალისწინებდა. მონიტორინგის პროცესში შეფასდა ის ერთი აქტივობა, რომელიც დაკავშირებულია იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციურ რეფორმასთან:

*3.2.4.5. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის, მენეჯმენტის, ადმინისტრირების შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება (2018) – ნაწილობრივ შესრულებული*

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის, მენეჯმენტის, ადმინისტრირების შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება – აქტივობის სახით გათვალისწინებულია სასამართლო მოხელეთა და სისტემის სხვა თანამშრომელთათვის განგრძობადი სწავლების სისტემის დახვეწის პროგრამის ფარგლებში, თუმცა გაუგებარია ურთიერთმიმართება აღნიშნულ აქტივობასა და პროგრამას შორის.

**3.2.4.5.** აქტივობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული ცვლილება, კერძოდ, იუსტიციის უმაღლესი სკოლისთვის მსმენელთა მისაღები კონკურსის ჩატარების უფლებამოსილების მინიჭება, რაც სკოლის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერების თვალსაზრისით, წინგადადგმული ნაბიჯია.<sup>33</sup>

„მეოთხე ტალღის“ ცვლილება ასევე შეეხო დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტების საკითხსაც. არსებული რეგულირებით, დამოუკიდებელი საბჭო შედგება 7 წევრისგან.<sup>34</sup> დამოუკიდებელი საბჭოს 3 წევრს, რომლებიც წარმოადგენენ საერთო სასამართლოების სამ ინსტანციას, ირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. დამოუკიდებელი საბჭოს 2 წევრს, რომლებსაც კანონით დადგენილი წესით აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა უკავიათ და საჯარო დაწესებულებაში არ მუშაობენ, საბჭო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არანაკლებ 3 წევრის წარდგინებით ირჩევს. დამოუკიდებელი საბჭოს კიდევ ორ წევრს (1 მოსამართლე წევრი

33 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 თებერვლის წერილი, №141/138-03-ო.

34 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 66<sup>3</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

და 1 არამოსამართლე წევრი), საბჭო, მათი უფლებამოსილების ვადით, ირჩევს საკუთარი შემადგენლობიდან.<sup>35</sup> შესაბამისად, დამოუკიდებელი საბჭოს 7 წევრიდან 4 წევრს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ფართო დისკრეციის პირობებში ირჩევს, რაც განსაკუთრებით აძლიერებს მის გავლენას სკოლის საქმიანობაზე და უარყოფითად უნდა შეფასდეს.

უარყოფითად უნდა შეფასდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის, დამოუკიდებელი საბჭოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ წევრთაგან, დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის უფლებამოსილების მინიჭებაც.<sup>36</sup> სკოლაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზეგავლენის შესამცირებლად, მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევდნენ დამოუკიდებელი საბჭოს წევრები.

„მეოთხე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული ცალკეული დადებითი ცვლილების მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობით სკოლის სათანადო ინსტიტუციური დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი არ არის. დამოუკიდებელი საბჭო, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ძირითად საქმიანობას და ზედამხედველობს სასწავლო პროცესს, ინსტიტუციურად სათანადოდ უნდა იყოს გამიჯნული საბჭოსგან. აქედან გამომდინარე, 3.2.4.5 ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

### 3.2.5 მოსამართლეთა და მოწვეული სპეციალისტების მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველყოფა

სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა მოსამართლეთა და მოწვეული სპეციალისტების მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ოთხ აქტივობას ითვალისწინებდა. მონიტორინგის პროცესში შეფასდა შემდეგი ერთი აქტივობა:

*3.2.5.1. მოსამართლეთა და მოწვეული სპეციალისტების შერჩევის პროცესის გაუმჯობესება (2017) – შესრულებული*

**3.2.5.1.** აქტივობა, რომელიც 2017 წელს უნდა შესრულებულიყო, ამ დრომდე არ შესრულებულა. პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, Twinning-ის პროექტის ფარგლებში ხორვატმა ექსპერტმა საქართველოში ვიზიტისას იუსტიციის უმაღლესი სკოლის

35 იქვე, მე-4 პუნქტი.

36 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 66<sup>3</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].



წარმომადგენლებს გაუზიარა ევროპული ქვეყნების გამოცდილება სამოსამართლო სწავლების ინსტიტუტებში მასწავლებლების შერჩევასთან დაკავშირებით, ტრენერთა შერჩევის პროცესის გასაუმჯობესებლად კი, მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს.<sup>37</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.2.5.1. აქტივობა შესრულებულად ვერ ჩაითვლება. მასწავლებელთა შერჩევის პროცედურა სათანადოდ არ რეგულირდება, რაც არსებული სამართლებრივი ჩარჩოს მნიშვნელოვანი ხარვეზია. იმის გათვალისწინებით, რომ მასწავლებლების როლი მსმენელთა მომზადებისა და მოსამართლეთა გადამზადების პროცესში განუზომლად დიდია, მათი შერჩევის პროცესი ობიექტურად და გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს. შესაბამისად, ამ მიმართულებით ეფექტიანი და დროული ზომების მიღება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

## შეჯამება

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმის მიზნით, საანგარიშო პერიოდში ცალკეული დადებითი ცვლილებები განხორციელდა, თუმცა რამდენიმე სერიოზული ხარვეზი მაინც რჩება.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ძირითად საქმიანობას და ზედამხედველობს სასწავლო პროცესს, დაცული უნდა იყოს საბჭოს ზეგავლენისგან. რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული ცვლილების მიუხედავად, სკოლის დამოუკიდებლობა სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ისიც, რომ სკოლაში მისაღები კონკურსის ჩატარების წესი, საკანონმდებლო დონეზე, ცხადად არ რეგულირდება.

სამწუხაროდ, სასამართლო სისტემის ახალი სამოქმედო გეგმის პროექტი ცალკე პროგრამის სახით არ ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებლობის გაძლიერებას. მნიშვნელოვანია, ახალ სამოქმედო გეგმაში ამ პროგრამის ასახვა და მის ფარგლებში დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირებისა და თავმჯდომარის არჩევის წესის ცვლილება.


ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სამუშაო ჯგუფმა და პასუხისმგებელმა უწყებებმა საქმიანობა შემდეგი მიმართულებით წარიმართონ:

- საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დასაქმების ხელის შემშლელი ფაქტორების გამოვლენა და მათზე რეაგირება;

37 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 48, მოწოდებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

- მსმენელთა შესარჩევი კონკურსის საკანონმდებლო დონეზე რეგულირება, კონკურსის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა;
- სამოსამართლო სწავლების სამაგისტრო კურსის დანერგვის მიზანშეწონილობის თაობაზე კვლევის წარმოება;
- მასწავლებელთა და მონწვეულ სპეციალისტთა შერჩევის პროცესის გაუმჯობესება;
- დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გავლენის შემცირება, რაც აუცილებელია სკოლის ავტონომიურობის გასაზრდელად და მისი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმასთან დაკავშირებით, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსი <sup>38</sup>



38 ამ გრაფიკზე ნაჩვენებია მხოლოდ ამ მონიტორინგის პერიოდში შეფასებული აქტივობების შესრულების სტატუსი.

მოსამართლეთა შერჩევა, დანიშვნა  
და სხვა საკადრო საკითხები

## სასამართლო რეფორმების შედეგები და არსებული გამოწვევები

მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელთ არსებული უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური უფლებამოსილებაა, რომლის გამოყენების პრაქტიკა დიდწილად განსაზღვრავს სასამართლო სისტემის მიმართ მოსახლეობის ნდობის ხარისხს. სასამართლო სისტემის რეფორმის ოთხმა ტალღამ ამ მიმართულებით მრავალი არსებითი პოზიტიური ცვლილება დანერგა, თუმცა მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცესზე დაკვირვება აჩვენებს, რომ სისტემის საკადრო პოლიტიკა კვლავ ხარვეზიანია.<sup>39</sup>

მართალია, „პირველი ტალღა“ სამოქალაქო სექტორმა მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასა, თუმცა, რადგანაც სასამართლო რეფორმის საწყის ეტაპზე, საკადრო საკითხები სისტემის გაჯანსაღებისათვის აუცილებელ პრიორიტეტულ მიმართულებებში ვერ მოხვდა, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები საკადრო მიმართულებებით რეფორმების გაგრძელების აუცილებლობაზე ამხვილებდნენ ყურადღებას.<sup>40</sup>

საკადრო მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება სასამართლო რეფორმის „მეორე ტალღის“ შედეგად მოსამართლის უვადოდ დანიშვნის პრინციპის დანერგვას უკავშირდება.<sup>41</sup> 2014 წელს არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების შემდეგ ამოქმედებული კონსტიტუციური ცვლილებებით<sup>42</sup>, უვადოდ განწესებამდე მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლამდე გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესაძლებლობა განისაზღვრა. შესაბამისად, მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის სისტემის დასაწვრივად აუცილებელი გახდა თანამდებობაზე სამი წლით დანიშნული მოსამართლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურის ჩამოყალიბება. „მეორე ტალღით“ გათვალისწინებული საკანონმდებლო ცვლილებებით დადგინდა მოსამართლეთა შეფასების კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმები. გარდა ამისა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით განისაზღვრა მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ამ მიზნით, უზენაეს სასამართლოში შეიქმნა საკვალიფიკაციო პალატა.<sup>43</sup>

39 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოეთი ანგარიში, 2018, გვ. 46, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020]; ასევე იხ: GRECO, Fourth evaluation round, [ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16806dc116>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].

40 „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, სასამართლო სისტემის მდგომარეობა (2012-2016), 2016, გვ. 7, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35hh1gn>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

41 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 01/08/2014, 2647-რს, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34BqdMI>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

42 კონსტიტუციური კანონი “საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cZ6MQR>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

43 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 01/08/2014, 2647-რს, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34BqdMI>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესის ამოქმედებამ უარყოფითი შეფასება დაიმსახურა როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების<sup>44</sup>, ასევე ვენეციის კომისიის მხრიდან.<sup>45</sup> კრიტიკის მთავარი საგანი იყო წესის ის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა მოსამართლის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას მის მიერ მიღებული სასამართლო აქტების შესწავლის საკითხი,<sup>46</sup> რაც, შესაძლოა, უარყოფითად ასახულიყო როგორც ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე, ასევე „მუსხავი ეფექტი“ ჰქონოდა მთელ მოსამართლეთა კორპუსზე.<sup>47</sup>

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე იყო მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების, ქვეკრიტერიუმების, მათი შეფასების მახასიათებლებისა და შეფასების პრინციპების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა. ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე მოწესრიგდა მოსამართლეობის კანდიდატთა მიერ წარდგენილი დოკუმენტების შემოწმების, კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და გაცნობის, კანდიდატთან გასაუბრების პროცედურები. გარდა ამისა, გაიწერა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ვალდებულებები და კანდიდატებთან გასაუბრების სხვა საკითხები. რეფორმის მესამე ტალღით დადგინდა არა მხოლოდ მოსამართლის უვადოდ დანიშვნაზე, არამედ 3 წლის ვადით განწესებაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებების უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ 2017 წლამდე კანონმდებლობა არ აწესრიგებდა მოსამართლეობის კანდიდატის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილების საკითხს. რეფორმის „მესამე ტალღის“ საფუძველზე მიღებული ცვლილებებით, კანდიდატს მიეცა უფლება, დასაბუთებული შუამდგომლობით მოეთხოვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილება, თუკი ინტერესთა შეუთავსებლობა იარსებებდა. გარდა ამისა, კანონმა გაითვალისწინა საბჭოს წევრის ვალდებულება, წინასწარ განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ და მონაწილეობა არ მიიღოს შესაბამისი კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში.<sup>48</sup>

44 კოალიციის პოზიცია მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნასთან დაკავშირებით, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 2013, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cwqsvh>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

45 ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა №773/2014 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების კანონპროექტზე, სტრასბურგი, 2014, [ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2bKqOJQ>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

46 იხ. მუხლი 36<sup>4</sup>, მე-3 პუნქტში განხორციელებული ცვლილება, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 01/08/2014, 2647-რს, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34BqdMI>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

47 „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, სასამართლო სისტემის მდგომარეობა (2012-2016), 2016, გვ. 8, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35hh1gn>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

48 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 08/02/2017, 255-ილ, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yf1zoi>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

გარდა ზემოაღნიშნულისა, რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში დაიხვეწა მოსამართლეთა მივლინების წესი და შეიქმნა დამატებითი გარანტიები მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინებისა და პირადი განცხადებით თანამდებობიდან გათავისუფლებისას თვითნებური მიდგომის გამოსარიცხად. მივლინების საკითხის განხილვისას მოსამართლეებზე გავლენების რისკების მინიმუმამდე დასაყვანად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, სავალდებულო გახდა შესაბამისი მოსამართლის სხდომაზე მონაწილეობა.<sup>49</sup>

მიუხედავად რამდენიმე მნიშვნელოვანი და პროგრესული ცვლილებისა, სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ კანონპროექტის საბოლოო ვერსიაში არ ასახულა იმ არსებითი ხასიათის რეკომენდაციების დიდი ნაწილი, რომლებიც წარმოადგინეს როგორც ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა,<sup>50</sup> ისე ვენეციის კომისიამ.<sup>51</sup> კერძოდ:

- მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადის გაუქმება;
- საბჭოს ნაცვლად სასამართლოს თავმჯდომარეების იმავე სასამართლოს მოსამართლეების მიერ არჩევის წესი;
- მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებისა და კონკურსის შედეგად მიღებული შესაბამისი ქულის, ასევე, საბჭოს წევრების მიერ შეფასების საჭაროობის გარანტიების ორგანული კანონით რეგულირება;
- მოსამართლეობის კანდიდატთა გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, რაც მოქნილს გახდიდა გასაჩივრების ინსტიტუტს;
- მოსამართლის სხვა სასამართლოში უკონკურსოდ გადაყვანისას შერჩევის კრიტერიუმებისა და დანიშვნის პროცედურების (მაგალითისათვის, შემთხვევა, როდესაც სხვა სასამართლოში არსებულ ვაკანსიაზე გადასვლის სურვილს რამდენიმე მოსამართლე აცხადებს და ა.შ.) ორგანული კანონით რეგულირება;
- უზენაესი სასამართლოს წევრთა მინიმალური რაოდენობის (არანაკლებ 16 მოსამართლე), ორგანული კანონის ნაცვლად, კონსტიტუციით განსაზღვრის საკითხი, ასევე, ზედა ზღვრის დანესება და პლენუმის უფლებამოსილების შეზღუდვა ამ საკითხის გადაწყვეტისას.

რეფორმების მიმოხილვისას, აღსანიშნავია ის რეალობა, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით შეიქმნა. კერძოდ,

49 იქვე.

50 კოალიციის მოსაზრებები სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღასთან“ დაკავშირებით, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 2016, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cXJN8c>; წვდომის თარიღი: 14.04.2020]; ასევე იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, სასამართლო სისტემის მდგომარეობა (2012-2016), 2016, გვ. 8, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35hh1gn>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

51 ვენეციის კომისისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა №773/2014, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების კანონპროექტზე, სტრასბურგი, 2014 [ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2btDWgo>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოსამართლეთა დანიშვნის ის წესი, რომელიც ითვალისწინებდა სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე იმ პირის 3 წლის ვადით განწესებას, რომელიც იყო მოქმედი ან ყოფილი მოსამართლე და ჰქონდა სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.<sup>52</sup>

სასამართლო სისტემის რეფორმირებისათვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 2017 წელს განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, დადგინდა მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, განწესების ზოგადი წესი.<sup>53</sup> კერძოდ, უვადოდ დანიშვნა გავრცელდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზეც<sup>54</sup> და გაუქმდა მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადა. საკონსტიტუციო რეფორმის შემაჯამებელ დასკვნაში ვენეციის კომისია აღნიშნულ ცვლილებებს მიესალმა.<sup>55</sup> თუმცა, აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური კანონის გარდამავალი დებულებები მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადის გაუქმების ზოგადი წესიდან გამონაკლისს შეიცავს. კერძოდ, 2024 წლის 31 დეკემბრამდე, არასამოსამართლო გამოცდილების მქონე პირი უვადოდ განწესებამდე თანამდებობაზე შეიძლება 3 წლის ვადით დაინიშნოს.

კონსტიტუციური კანონის შემდეგ, მნიშვნელოვანი ცვლილებები სასამართლო სისტემაში სასამართლო რეფორმის „მეთხე ტალით“ გავრძელდა. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაეკისრა ცალსახა ვალდებულება, გამოექვეყნებინა დასაბუთება რაიონულ/საქალაქო, სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების შესახებ. აღნიშნული დასაბუთება უნდა შეიცავდეს პროცედურის აღწერასა და შესაბამისი პირის დახასიათებას, მათ შორის, მის მიერ დაგროვებულ ქულებს და დასკვნას კეთილსინდისიერების თაობაზე. სავალდებულო წესით უნდა გამოქვეყნდეს, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის განსხვავებული აზრი შესაბამისი პირის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების შესახებ.<sup>56</sup>

52 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: ო. ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2T0rQyE>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

53 „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dbYyor>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

54 აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები 10 წლის ვადით ინიშნებოდნენ, იხ. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, 90-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

55 European commission for democracy through law (Venice commission), opinion on the draft constitutional amendments adopted on 15 December 2017 at the second reading by the parliament of Georgia, 14, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aNRFI7>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].

56 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 13/12/2019, 5569-ის, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V8oVoQ>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

რეფორმის „მეოთხე ტალღის“ შედეგად, გაფართოვდა იმ საკითხთა წრე, რომელთა თაობაზეც, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, გადაწყვეტილების მიღების დროს, უნდა გამოიყენოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმები და შესაბამისად, დაიხვეწა ამ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში იუსტიციის საბჭოს წევრის აცილების საკითხები.<sup>57</sup>

გემოაღნიშნულ მნიშვნელოვან პოზიტიურ საკანონმდებლო დათქმებთან ერთად, მცირედი შესწორება შევიდა თავმჯდომარეთა არჩევის წესში. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს, აგრეთვე, რაიონული/საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, თანამდებობაზე ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. „მეოთხე ტალღამ“<sup>58</sup> სამოქალაქო სექტორის დასაბუთებული მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნული წესი არსებითად არ შეცვალა და იუსტიციის საბჭოსთვის მხოლოდ იმ სასამართლოს მოსამართლეებთან კონსულტაციის გავლის ვალდებულება დაანწესა, რომელშიც უნდა დაინიშნოს თავმჯდომარე, თუმცა, მათი აზრის გათვალისწინება სავალდებულო არ გამხდარა, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან უარყოფითად შეფასდა.<sup>59</sup>

რეფორმის ოთხი ტალღის მიუხედავად, მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის არსებული რეგულირება კვლავ ვერ აკმაყოფილებს ობიექტურობის, დასაბუთებულობის, დამსახურების პრინციპისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს. ამის ნათელი მაგალითია 2018 წლის დეკემბრიდან 2019 წლის დეკემბრის პერიოდში წარმართული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცესი, რომელმაც მწვავე კრიტიკა დაიმსახურა, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.<sup>60</sup> განსაკუთრებით საყურადღებოა მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნასა და სხვა საკადრო საკითხებთან დაკავშირებული შემდეგი გამონკვევები:

57 კერძოდ, ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების მოქმედება გავრცელდა არა მხოლოდ მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის, არამედ იმ შემთხვევებზეც, როდესაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეთა დანიშნულების, მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის, აგრეთვე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოსა და საპროკურორო საბჭოში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის ან სხვა ინდივიდუალური აქტის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. გარდა ამისა, ორგანული კანონის პროექტით ცალსახად განისაზღვრა იმ პირთა წრე (ნათესაური კავშირების ჩამონათვალი), რომელთა მიერ მოსამართლეთა კონკურსში მონაწილეობისას, საბჭოს წევრმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის პროცედურაში. ასევე, ორგანულ კანონში გაკეთდა დათქმა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილება დაუშვებელია მის მიერ პირთა აბსტრაქტულად განსაზღვრული წრის მიმართ გამოთქმული მოსაზრების გამო. იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 13/12/2019, 5569-ლ, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V8oVoQ>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

58 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 13/12/2019, 5569-ლ, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V8oVoQ>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

59 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2VPn74p>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

60 დეტალურად იხ. ქვემოთ – 1.1.1.3 აქტივობის კომენტარი.



- შერჩევა-დანიშვნისა და სხვა საკადრო გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები, რომელიც ორგანული კანონითაა განვრცობილი ვერ აზღვევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სამართლებრივი ნორმების არაკეთილსინდისიერად გამოყენების პრაქტიკას;
- მეოთხე ტალღით დადგინდა პირის მოსამართლედ განწესებაზე მიღებული მხოლოდ დადებითი გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება;
- მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კანდიდატი უფლებამოსილია გაასაჩივროს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე უარი, თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატის ქულებით შეფასების პროცესი გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად,<sup>61</sup> მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება ტარდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დახურულ სხდომაზე, რაც ვერ უზრუნველყოფს მოსამართლეთა შერჩევის გამჭვირვალე პროცესს;
- არ არის დადგენილი გასაუბრების ხვედრითი წილი კანდიდატის საერთო შეფასებაში, რაც გასაუბრების ეტაპზე თვითნებობის ფართო შესაძლებლობას იძლევა;
- სასამართლოს თავმჯდომარეები თანამდებობაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, ბუნდოვანი და გაუმჭვირვალე პროცედურით ინიშნებიან;
- მოსამართლეთა დანიშნულება ხორციელდება სამოსამართლო საქმიანობის შეფასების გამართული და ეფექტიანი წესის არარსებობის პირობებში;
- მოსამართლეთა დანიშნულებისა და უკონკურსოდ ზემდგომ ინსტანციაში გადაყვანის მექანიზმები შინაარსით იდენტურია, რაც შეუძლებელს ხდის მათ შორის ნათელი და მკაფიო მიჯნის გავლენას;
- სათანადო საკანონმდებლო რეგულაციების გარეშე დატოვებული მოსამართლეთა უკონკურსოდ დანიშვნისა და დანიშნულების წესები.<sup>62</sup> დღეის მდგომარეობით, მოსამართლეთა უკონკურსოდ გადაყვანის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები, დაუსაბუთებლად, ბუნდოვანი და ფორმალური პროცედურების ჩატარების გზით მიიღება;<sup>63</sup>
- მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემის მიზნები ბუნდოვანია. ის უფრო მეტად ორიენტირებულია მთლიანად სასამართლო სისტემაზე, ნაცვლად ინდივიდუალური მოსამართლის საქმიანობის შეფასებისა. მოქმედი მოდელი, ძირითადად, რაოდენობრივ კრიტერიუმებს ემყარება.

61 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, №1/308, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aNXa9J>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

62 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 37-ე მუხლი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

63 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N4, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2016, [ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2bx4dd4>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

## სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა

მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნასა და სხვა საკადრო საკითხებთან დაკავშირებით სასამართლო სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროგრამები და პროგრამების შესასრულებლად იდენტიფიცირებული აქტივობები, შეიძლება ითქვას, რომ მეტწილად პასუხობდა მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნისა და დანიშნულების კუთხით არსებულ გამოწვევებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით პირველ საანგარიშო პერიოდში განხილული 23 აქტივობიდან მხოლოდ 5 შესრულდა სრულად, 3 კი – ნაწილობრივად.<sup>64</sup> წინამდებარე თავი აფასებს იმ 18 აქტივობას, რომელთაც წინა საანგარიშო პერიოდში შეუსრულებლის ან ნაწილობრივ შესრულებულის სტატუსი მიენიჭა.

### 1.1.1. სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება კონსტიტუციით და შესაბამისი კანონმდებლობით

#### 1.1.1.1. მოსამართლეთა საგამოცდო ვადის გაუქმება (2019) – ნაწილობრივ შესრულებული

#### 1.1.1.3. უზენაესი სასამართლოს წევრების არჩევის წესის, კრიტერიუმებისა და პროცედურების დახვეწა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლის განსაზღვრა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში (2017-2018) – ნაწილობრივ შესრულებული

1.1.1.1. – 2017-2018 წლების კონსტიტუციური ცვლილებებით დადგინდა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესი ყველა ინსტანციის სასამართლოში, თუმცა, როგორც აღინიშნა, რადგანაც კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული მოსამართლეთა უვადოდ განწესების ზოგადი წესის ამოქმედების ვადად 2024 წელი განისაზღვრა, ეს აქტივობა, პირველი მონიტორინგის პერიოდის მსგავსად,<sup>65</sup> კვლავაც ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს.

64 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 68, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი:14.04.2020].

65 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 49-51, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი:14.04.2020].

**1.1.1.3.** – მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი 2019 წელს საბჭოს მიერ განხორციელებულ იმ ცვლილებებზე მიუთითებს, რომელთა თანახმადაც უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის წესი დარეგულირდა.<sup>66</sup> თუმცა მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი არ ახსენებს იმ ხანგრძლივ პროცესს, რომელიც აღნიშნულს წინ უძღოდა. კერძოდ, 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში მიღებული ცვლილების შესაბამისად, 2018 წლის ბოლოს ორგანული კანონით დადგინდა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატურას საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარუდგენდა.<sup>67</sup>

ამის შემდეგ, 2018 წლის დეკემბერში, ყველანაირი შინაარსობრივი საკანონმდებლო ცვლილების, კერძოდ, შერჩევის პროცესის საკანონმდებლო დონეზე გაუნწვლად, საბჭომ პარლამენტს დახურულ კარს მიღმა, რამდენიმე მოსამართლის მიერ შედგენილი, მოსამართლეთა 10-კაციანი სია წარუდგინა. ამ ფაქტმა სამოქალაქო საზოგადოების მწვავე კრიტიკა დაიმსახურა.<sup>68</sup> სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის პროტესტის შედეგად, პარლამენტის თავმჯდომარემ პროცესი პარლამენტის საგაზაფხულო სესიისთვის გადადო. მოგვიანებით გემოაღნიშნულმა მოსამართლეობის კანდიდატებმა საკუთარი კანდიდატურა უკან გაიწვიეს.<sup>69</sup> ამ ფონზე, პარლამენტში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის დეტალური წესის შემუშავების მიზნით, სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. თუმცა დროთა განმავლობაში აშკარა გახდა, რომ კანონპროექტის მომზადება მიზნად არ ისახავდა მოსამართლეთა შერჩევის პროცესში დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომის დამკვიდრებასა და პროცესის გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად წარმართვას, და მისი ერთადერთი დანიშნულება სამოქალაქო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის ფონზე პროცესის ფასადური გაუმჯობესება იყო.<sup>70</sup>

66 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 8- 9, მონოღებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

67 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YiaUqF>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

68 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, „კოალიცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესზე მუშაობის დაწყებას პარლამენტისგან დაუყოვნებლივ ითხოვს“, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WWhTh8>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

69 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, კოალიციის მიმართვა ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროსადმი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კანონპროექტთან დაკავშირებით, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2y3s0Ox>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

70 ჯგუფის წევრების უმრავლესობას ისევ იუსტიციის საბჭოს წევრები და მოსამართლეები შეადგენდნენ, ამასთანავე, სამუშაო ჯგუფში არ იყვნენ სამართლიანად წარმოდგენილი სხვადასხვა პროფესიული და დაინტერესებული წრეები. თავდაპირველად, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ჩართული იყო პროცესში და შერჩევის წესის სრულყოფილად განერის მიზნით სამუშაო ჯგუფს წერილობითაც წარუდგინა საკუთარი მოსაზრებები, რომლებიც სხვა წყაროებთან ერთად, აშშ-ს საელჩოსა და ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ წარდგენილ რეკომენდაციებს/დასკვნებს ეფუძნებოდა, რის შემდგომაც კოალიციამ სამუშაო ჯგუფი დატოვა. იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, კოალიციამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ შეთავაზებული სამუშაო ფორმატი დატოვა, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YgKOEw>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონპროექტის შესაბამისად, 2019 წლის 1 მაისს ცვლილება შევიდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში<sup>71</sup> და დადგინდა:

- უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების საფუძველზე;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის, კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის მოძიების, საბჭოს მიერ მოსმენის გამართვისა და სხვა პროცედურული საკითხები.

ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ამ კანონპროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი ხედვა, არსებითად შეესაბამებოდა კოალიციის კრიტიკულ მოსაზრებებს.<sup>72</sup>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღების შემდგომ,<sup>73</sup> 2019 წლის 10 მაისს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა დაიწყო.<sup>74</sup> ამ პროცედურის მიმდინარეობისას რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხი გამოიკვეთა, რამაც ეჭვქვეშ დააყენა კანდიდატთა ნომინირების გამჭვირვალობა და

71 იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 4526-III, 01.05.2019, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aQ1x3W>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

72 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, კოალიცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და არჩევის ახალ წესს აფასებს, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YhFXTu>; წვდომის თარიღი: 14.04.2020]. Venice Commission, CDL-PI(2019)002, 16.04.2019. [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fkSnQE>; წვდომის თარიღი: 14.04.2020]; OSCE/ODIHR opinion on draft amendments relating to the appointment of Supreme Court judges of Georgia, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2W731mF>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

73 2019 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მსურველთა მიერ შესავსები განცხადების, კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოსაყენებელი რეკომენდაციის, სპეციალური კითხვარისა და მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმები. იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №1/41 გადაწყვეტილება „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ფორმის, კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოსაყენებელი რეკომენდაციის სტანდარტული ფორმისა და სპეციალური კითხვარის და მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმის დამტკიცების შესახებ“, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Sm6UBM>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

74 2019 წლის 10 მაისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა დაიწყო, რომელიც თითქმის 4 თვე გაგრძელდა და 2019 წლის 4 სექტემბერს დასრულდა. იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 10 მაისის №1/43 გადაწყვეტილება „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ“, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2VMITqF>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ლეგიტიმურობა.<sup>75</sup> აღსანიშნავია, რომ შერჩევის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებზე დაყრდნობით, 2019 წლის 1 ნოემბერს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესის არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა.<sup>76</sup> 2019 წლის დეკემბერში საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი განსახილველად მიიღო წარმობაში<sup>77</sup> და ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა-დანიშვნის წესის სამომავლო მოწესრიგებაზე.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი საბჭოს შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პირველ ეტაპზე, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში სამუშაო ჯგუფის შექმნით,<sup>78</sup> შემდგომ კი, კანდიდატთა იურიდიულ კომიტეტში მოსმენით გაგრძელდა. საკომიტეტო მოსმენები მეტნაკლებად გამჭვირვალედ წარიმართა.<sup>79</sup> თუმცა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ნომი-

75 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, საბჭოს არაუფლებამოსილი წევრის მიერ შერჩევის პროცედურებში მონაწილეობა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის მიერ საბჭოს აპარატის ხელმძღვანელობა, კანდიდატების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე უარი, გასაუბრების ხანგრძლივობა, სიტყვიერი თავდასხმები არამოსამართლე წევრებზე, დასული შეკითხვების არათანმიმდევრულობა და ერთიანი სტანდარტის არარსებობა, საბჭოს წევრების მხრიდან კონკრეტული კანდიდატებისადმი კითხვაზე პასუხის გაცემის შემთხვევაში დახმარების მცდელობები, ფარდობითი კენჭისყრების შედეგად გამოვლენილი ხმის მიცემის ერთიანი სქემა, რომლითაც სავარაუდოდ საბჭოს მოსამართლე წევრები გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქმედებდნენ, 10-ვაციან სიაში მყოფი რამდენიმე მოსამართლის, ე.წ. „გავლენიანი მოსამართლეებისა“ და მოქმედი მაღალჩინოსნების ნომინირება და სხვ; იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, კოალიცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის მიმდინარე პროცესს აფასებს [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aQ2N7a>; წვდომის თარიღი: 14.04.2020], ასევე, იხ: <https://bit.ly/2YhWkQ3>; <https://bit.ly/2L1swiA>.

76 იხ. სახალხო დამცველის განცხადება, სახალხო დამცველი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3d4TmTb>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

77 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის N3/24/1459 საოქმო ჩანაწერი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35uBRcm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

78 კანდიდატების საქართველოს კონსტიტუციის ან/და სხვა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშესაწყობად, 2019 წლის 11 სექტემბერს კომიტეტმა ეს მექანიზმი აამოქმედა. კოალიცია თავიდანვე მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ჯგუფის მანდატი არასწორად (ვიწროდ) იყო აღქმული და ასევე პრობლემური იყო მისი დაკომპლექტების პროცესიც. კერძოდ, ჯგუფში არ იყო წარმოდგენილი არცერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მათ შორის, კოალიციიდან; სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის პოლიტიკური ნიშნით გამოყოფილი კვოტების რაოდენობა გადაჭარბებულად იქნა გამოყენებული; ხოლო აკადემიური სფეროს წარმომადგენლების შერჩევაში მონაწილეობის შესაძლებლობა შესაბამისი დანაწესებულების წარმომადგენლებს არ ჰქონიათ. იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, იურიდიული კომიტეტის მიერ სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების შეფასება, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yRkUS7>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

79 საკომიტეტო მოსმენებში დეპუტატებთან ერთად დაუბრალოებლად მონაწილეობდნენ სამეცნიერო წრეების, ადვოკატთა კორპუსის, სახელმწიფო იურიდიული სამსახურის, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. მოქალაქეებს შეეძლოთ კანდიდატებისთვის განკუთვნილი კითხვები იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარისთვის გაეგზავნათ, რომელიც ყველა შეკითხვას საჯაროდ სვამდა. იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, იურიდიულ კომიტეტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენის პროცესის შეფასება [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35JSSiJ>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ნირებისა და საკომიტეტო მოსმენების მთლიანმა პროცესმა, სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა. იშვიათი გამონაკლისების გარდა, კანდიდატების სამართლებრივი მსჭვლობის უნარი იყო დაბალი, მათი პასუხები კი – დაუსაბუთებელი.<sup>80</sup> ასევე გაჩნდა კითხვები, რამდენად აკმაყოფილებდნენ კონკრეტული კანდიდატები მოსამართლეობის ფორმალურ კრიტერიუმს, კერძოდ, უმაღლესი განათლების ცენზს. 2019 წლის 12 დეკემბერს, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, უზენაესი სასამართლოს კანდიდატებს აქტიური სამოქალაქო პროტესტის ფონზე უყარა კენჭი, ხოლო მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა პლენარულ სესიაზე იურიდიული კომიტეტის მიერ წარდგენილ ყველა კანდიდატს დაუჭირა მხარი.<sup>81</sup>

გემოალინიშნული პროცესი ადასტურებს იმას, რომ განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, პრაქტიკაში ვერ უზრუნველყო მყარი გარანტიების შექმნა იმისათვის, რათა უმაღლესი ინსტანციის მოსამართლეები გამჭვირვალედ, ობიექტურად და დამსახურებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების საფუძველზე ყოფილიყვნენ შერჩეულები.<sup>82</sup> აქედან გამომდინარე, მოცემული აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის კუთხით შექმნილი მდგომარეობა უფრო რადიკალურ და სისტემურ ცვლილებებს მოითხოვს, რადგან, ნათელია, რომ არსებული პრობლემები რეფორმის მორიგი ტალღებით ვეღარ აღმოიფხვრება. აქედან გამომდინარე, უშედეგო და არასაკმარისია ახალი სამოქმედო გეგმის პროექტის ის აქტივობა, რომელიც მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვასა და აღსრულებას ისახავს მიზნად.

80 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, იურიდიულ კომიტეტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენის პროცესის შეფასება, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35jSsiJ>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

81 იურიდიულმა კომიტეტმა კენჭისყრისას შეზღუდა ჟურნალისტების მიერ თავიანთი საქმიანობის განხორციელების უფლება. აგრეთვე გამოვლინდა ძალის გამოყენებით ჟურნალისტის დარბაზიდან გაყვანის შემთხვევა, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yX48fD>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

82 არჩეულ მოსამართლეთა უმრავლესობა სასამართლო სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფის, ე.წ. „კლანის“ ინტერესების გამტარებელია, ან უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნამდე იკავებდა ამჟამინდელ ხელისუფლებაში მაღალი რანგის თანამდებობას და მათ საქმიანობას უკავშირდება ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები, ან პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებები. იმ ფონზე, როდესაც თითქმის ერთი წლის განმავლობაში, მუდმივ გამოწვევად რჩებოდა მიმდინარე პროცესის, ისევე როგორც ინდივიდუალური კანდიდატების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობის მიმართ სანდოობის დაბალი ხარისხი, შერჩეული კანდიდატების უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად უვადოდ დანიშვნა კიდევ უფრო მეტ სიმწვავეს იძენს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი უმრავლესობა არ სარგებლობს საზოგადოების ლეგიტიმაციით. იხ. როგორ დაკომპლექტდა უზენაესი სასამართლო – მოკლე მიმოხილვა, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YprSUH>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

## 1.2.1. მოსამართლის დანიშვნის სისტემის სრულყოფა

1.2.1.1. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისა და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების დახვეწის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა (2017) – **ნაწილობრივ შესრულებული**

1.2.1.2. კანდიდატების შესახებ რელევანტური ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების ეფექტიანი სისტემის შემუშავება (2018) – **ნაწილობრივ შესრულებული**

1.2.1.3. სკოლის მსმენელების, მოსამართლეობის კანდიდატებს შორის კონკურსის დროს გადანყვეტილების დასაბუთების შესახებ წინადადების მომზადება (2017-2018) – **ნაწილობრივ შესრულებული**

1.2.1.4. კანდიდატთა შეფასების დასაბუთების და მიღებული გადანყვეტილების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა (2017-2018) – **ნაწილობრივ შესრულებული**

1.2.1.5. რელევანტური კანონპროექტებისა და კანონქვემდებარე აქტების მომზადება (2018) – **ნაწილობრივ შესრულებული**

1.2.1.6. ახალი სისტემის დანერგვა და მონიტორინგი (2018) – **შესრულებული**

სასამართლო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის თავდაპირველი ვერსია მოსამართლეთა დანიშვნის სისტემის სრულყოფის პროგრამის ფარგლებში, ზემოხსენებულ საკითხებთან ერთად, ასევე ითვალისწინებდა სკოლის მსმენელების, მოსამართლეობისა და თავმჯდომარეობის კანდიდატებს შორის კონკურსის დროს ღია კენჭისყრის წესის დადგენას. თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის მიერ მოსამართლეთა კორპუსის სახელით წარდგენილი შენიშვნების საფუძველზე ღია კენჭისყრით გადანყვეტილების მიღების პრინციპი, სამოქმედო გეგმამ აღარ გაითვალისწინა.<sup>83</sup>

**1.2.1.1.** – აქტივობა, სკოლის მსმენელთა და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმების და პროცედურის დასახვეწად, სამუშაო ჯგუფის შექმნას ითვალისწინებდა. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელების შერჩევა, როგორც მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის მთლიანი პროცესის საწყისი ელემენტი, მოსამართლის დანიშვნის სისტემის სრულყოფისთვის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.

აღსანიშნავია, რომ პირველი პროგრესის ანგარიში ამ აქტივობის შეფასების ნაწილში ინფორმაციას არ შეიცავდა, ხოლო მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის ამ აქტივობის შესრულების კომენტარი გადამისამართებას აკეთებს 3.2.1.2. აქტივობაზე – მსმენელთა შერჩევის კრიტერიუმების განახლება და პროცედურის დახვეწა. 3.2.1.2. აქტივობის კომენტარში მიმო-

83 2017 წლის 24 აპრილს, პირველი სამუშაო ჯგუფის გაფართოებულ სხდომაზე, საბოლოოდ, ხანგრძლივი დისკუსიის შედეგად, რომელიც 2017 წლის 23 მაისს, სტრატეგიული კომიტეტის სხდომაზე ამოიღეს, იხ. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 55-56, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ხილულია, თუ რა გაკეთდა ზოგადად მსმენელთა შერჩევის კრიტერიუმების განსახლებლად და პროცედურის დასახვეწად სასამართლო რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში.<sup>84</sup> მართალია, ამ ორი აქტივობის საბოლოო მიზანი ერთი და იგივეა, თუმცა 1.2.1.1. აქტივობა უფრო ტექნიკურია თავისი არსით და 3.2.1.2. აქტივობის სრულყოფილად შესრულებას ემსახურება. შესაბამისად, ამ ორი არსობრივად განსხვავებული აქტივობის ერთმანეთთან გათანაბრება მიზანშეუწონელია. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის შექმნა, გარდა ფორმალური შინაარსისა, მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს საბოლოო მიზნის მიღწევის თვალსაზრისით. მართალია, პარლამენტში „მეოთხე ტალღის“ კანონპროექტზე მუშაობისას შექმნილი გახლდათ სარეფორმო ჯგუფი, თუმცა, სამოქმედო გეგმაში ინდიკატორების ბუნდოვანი და ზოგადი ფორმულირების გამო, შეუძლებელია იმის დადგენა შესაბამებოდა თუ არა სარეფორმო ჯგუფის ფორმატი იმ ამოცანებს, რომელიც სამოქმედო გეგმაში ამ აქტივობის სახით ჩაიდო. ასევე, მართალია, პარლამენტში შექმნილ სამუშაო ჯგუფში სასამართლო სისტემის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ, თუმცა სამოქმედო გეგმა ამ ფორმატში არა მათ მონაწილეობას, არამედ პროცესზე სრული პასუხისმგებლობის აღებას ითვალისწინებდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს.

**1.2.1.2.** – აქტივობა ითვალისწინებს მოსამართლეთა შერჩევის კანონით დადგენილი კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების შემოწმების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც, კანდიდატის შესახებ რელევანტური ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების შედეგად, შესაძლებელს გახდის ობიექტური და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული აქტივობის შესრულების ნაწილში, მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტში მიუთითებს მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების პროცესის გასაუმჯობესებლად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაში შეტანილი იმ ცვლილების შესახებ, რომლის თანახმადაც, განისაზღვრა იმ დანესებულებებისა და სახელმწიფო უწყებების ჩამონათვალი, საიდანაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დანაყოფი კანდიდატის შესახებ გამოითხოვს ინფორმაციას, დაზუსტდა გამოსათხოვი ინფორმაციის ტიპები და დადგინდა პერიოდი, რომლის განმავლობაშიც იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს მოსამართლეობის კანდიდატთა წვდომას მათ შესახებ მოძიებულ ინფორმაციაზე.<sup>85</sup> მართალია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

84 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 41, მოწოდებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ წერილით.

85 კერძოდ, ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან, იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიიდან და სხვ. კერძოდ, დეპარტამენტმა უნდა მოიძიოს შემდეგი სახის ინფორმაცია: ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, მედიასა და ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომი ინფორმაცია, სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია და სხვ. იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 სექტემბრის №1/247 გადაწყვეტილება „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2W8Lc5e>; წვდომის თარიღი: 14.04.2020], ასევე იხ. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 53-54, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].



გადაწყვეტილებაში შესული ცვლილებები პოზიტიურად უნდა შეფასდეს, თუმცა ზემოაღნიშნული ჩანაწერები მეტწილად კონცენტრირდება ინფორმაციის მოძიების მიმართულებით, ხოლო ღიად რჩება ამ მონაცემების დამუშავების პროცესი. მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო რეგულირება ქმნიდეს მყარ გარანტიებს, რომ კანდიდატის შესახებ სრულყოფილი სახით იქნება მოძიებული მხოლოდ აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც ეფექტიანად იქნება დამუშავებული, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლედ განწესების პროცესის მეტ ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. შესაბამისად, ამ ეტაპისთვის აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

**1.2.1.3.** – აქტივობა გულისხმობს სკოლის მსმენელების, მოსამართლეობის კანდიდატებს შორის კონკურსის დროს გადაწყვეტილების დასაბუთების შესახებ წინადადების მომზადებას, რომელთა შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება იუსტიციის უმაღლესი საბჭოა. პირველი პროგრესის ანგარიშში მითითებული ინფორმაციის თანახმად, სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, აქტივობის შესრულების პროცესში ჩაერთო ექსპერტი, რომელმაც მოამზადა კვლევა ევროპული ქვეყნების გამოცდილების შესახებ და შეიმუშავა წინადადებები.<sup>86</sup> თუმცა პირველი პროგრესის ანგარიშში არ მოიცავდა ინფორმაციას კვლევის შედეგების და მისი რეკომენდაციების თაობაზე.<sup>87</sup>

მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი მიუთითებს სარეფორმო ჯგუფის ფარგლებში შემუშავებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე, რომელიც „მეთხე ტალღის“ თანახმად იქნა მიღებული.<sup>88</sup> საკანონმდებლო ცვლილების თანახმად დადგინდა, რომ დასაბუთება უნდა შეიცავდეს პროცედურის აღწერასა და დანიშნული მოსამართლის დახასიათებას, მათ შორის, ინფორმაციას მის მიერ დაგროვებული ქულების შესახებ და დასკვნას კეთილსინდისიერების თაობაზე. განისაზღვრა დასაბუთების შედეგის პროცედურაც, კერძოდ, დასაბუთებას ადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. სავალდებულო წესით გამოქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის განსხვავებული აზრიც.<sup>89</sup> მისასალმებელია, მსმენელად ან მოსამართლედ განწესების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება, თუმცა აუცილებელია ჩარიცხვაზე/განწესებაზე უარის დასაბუთებაც. შესაბამისად, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებული.

86 ევროპის საბჭოს პროექტი – „სასამართლოს რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“, ალბერს პ., მოსამართლეების მიერ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების წესებისა და სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სამართლებრივი ანალიზი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bKYyLD>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].

87 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 – ივნისი 2018, გვ. 10, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epnxFU>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

88 საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 12.06.2019, მუხლი 1, პუნქტი 5.

89 იქვე, პუნქტი 10.

**1.2.1.4.** – აქტივობა კანდიდატთა შეფასების დასაბუთების და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმის შექმნის ვალდებულებას ითვალისწინებს. პროგრესის მეორე ანგარიშის პროექტის თანახმად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2019 წლის მაისს შესული ცვლილებებით განისაზღვრა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მონაწილე პირთათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრების შესაძლებლობა.<sup>90</sup> თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გასაჩივრებას ექვემდებარება მხოლოდ პირის კანდიდატად რეგისტრაციასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, ხოლო კანდიდატის ქულებით შეფასების პროცესთან/ნომინირებაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებით ორგანული კანონი მსგავს მექანიზმს არ იცნობს.<sup>91</sup> უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ორი სამუშაო დღის ვადაში.<sup>92</sup> რაც, რა თქმა უნდა, წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა სრულად არ ფარავს აქტივობით გათვალისწინებულ საკითხებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კვლავ გამოწვევად რჩება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქალაქო/რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში გამოცხადებულ ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსების მიმდინარეობისას კანდიდატის ქულებით შეფასების პროცესი გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

რაც შეეხება აქტივობის იმ ნაწილს, რომელიც დასაბუთებას შეეხება, როგორც აღინიშნა, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ „მეოთხე ტალღის“ შედეგად, წინა აქტივობის (1.2.1.3.) კომენტარში განხილული დასაბუთების სისტემის შემოღება, თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დასაბუთების ვალდებულების არარსებობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

**1.2.1.5.** და **1.2.1.6.** – ეს აქტივობები უშუალოდ არის დაკავშირებული წინა 4 აქტივობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებასთან, შესაბამისად, ვიდრე პასუხისმგებელი უწყებები არ მოამზადებენ თავიანთ ხედვებს/კვლევებს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სამოქმედო გეგმის სტრუქტურიდან გამომდინარე, რელევანტური ახალი სისტემების დანერგვა და მონიტორინგი ვერ განხორციელდება. თუმცა, რეფორმის მეოთხე ტალღიდან გამომდინარე 1.2.1.5. აქტივობა, რომელიც რელევანტური საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას ითვალისწინებს, ნაწილობრივ შესრულებუ-

90 იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 4526-III, 01.05.2019, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aQ1x3W>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

91 „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 341-ე მუხლის მე-5 პუნქტი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

92 იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 4526-III, 01.05.2019, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aQ1x3W>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ლად უნდა შეფასდეს. ხოლო, რაც შეეხება 1.2.1.6. აქტივობას, იქიდან გამომდინარე, რომ 1.2.1.1.-1.2.1.4. აქტივობები არ არის შესრულებული ან ნაწილობრივია შესრულებული, ახალი სისტემების დანერგვაც (1.2.1.5.) არაა სრულად დასრულებული, შესაბამისად, ვერც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მონიტორინგი ჩატარდება. შესაბამისად, 1.2.1.6. აქტივობა შეუსრულებელია.

## 1.2.2. მოსამართლეთა დაწინაურების სისტემის განვითარება

*1.2.2.2. მოსამართლეთა დაწინაურების ცხადი, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემის შემუშავება (2017-2018) – შეუსრულებელი*

*1.2.2.3. მოსამართლეთა მუდმივი პროფესიული განვითარების სისტემის მეთოდოლოგიის შექმნა, არჩევანის გაკეთება შეფასების ფორმალურ და არაფორმალურ სისტემებს შორის (2017-2018) – შეუსრულებელი*

*1.2.2.4. სასამართლოს თავმჯდომარეთა თანამდებობაზე განწესების პროცედურის, ვადების და კომპეტენციების თაობაზე არსებული კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება (2017) – შეუსრულებელი*

*1.2.2.5. ორგანულ კანონში მომზადებული ცვლილებების წარდგენა ვენეციის კომისიის მოსაზრებების მისაღებად (2017) – შეუსრულებელი*

*1.2.2.6. რეკომენდირებული ცვლილებების ორგანულ კანონში მიღება (2018) – შეუსრულებელი*

**1.2.2.2.** – მოსამართლეთა დაწინაურების ცხადი, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემის შემუშავების მიზნით, ჯერ კიდევ პირველ საანგარიშო პერიოდში მომზადდა ანგარიში – „საქართველოში მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ“.<sup>93</sup> თუმცა, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ერთწლიანი პროგრესის ანგარიშში, მითითებული არ ყოფილა, ამ დოკუმენტზე დაყრდნობით, როგორი იყო სამუშაო ჯგუფის ხედვა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაწინაურების სისტემის რეფორმირების მიმართულებით. პირველი პროგრესის ანგარიშში, არც აქტივობის შესასრულებლად დაგეგმილი ღონისძიებები ყოფილა დაკონკრეტებული.<sup>94</sup> პირველ საანგარიშო პერიოდში მიღებული იუსტიციის საბჭოს წერილით, დასტურდებოდა, რომ ამ აქტივობით გათვალისწინ-

93 ვრცლად იხ. 1.2.2.1. აქტივობის კომენტარი, რომელიც შესრულდა, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

94 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 – ივნისი 2018, გვ. 17, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epnxFU>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ნებულ კვლევებზე მუშაობა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.<sup>95</sup> მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი კი, მოცემულ აქტივობაზე დამატებით ინფორმაციას არ იძლევა და არც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მიღებული წერილები შეიცავს დამატებით მონაცემებს ამ საკითხთან მიმართებით. შესაბამისად, აქტივობა კვლავ შეუსრულებელად უნდა შეფასდეს.

**1.2.2.3.** – აქტივობის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულებაა მოსამართლეთა მუდმივი პროფესიული განვითარების სისტემის მეთოდოლოგიის შექმნა და შეფასების ფორმალურ და არაფორმალურ სისტემებს შორის არჩევანის გაკეთება. სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ერთწლიან ანგარიშში მოცემული ინფორმაციით, 2017 წლის ნოემბერში ჩატარდა შეხვედრა,<sup>96</sup> რომლის ფარგლებშიც გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაგეგმილი ჰქონდა ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფდა მოსამართლეთა შეფასების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომლის მიხედვითაც, შეფასებისას გათვალისწინებული იქნებოდა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმები. აღსანიშნავია, რომ ამ აქტივობის შესრულების ვადად 2017-2018 წლები იყო განსაზღვრული. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი საბჭოს მეორე საანგარიშო პერიოდშიც კი არ განუხილავს. არც მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი და არც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მიღებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილები, ამ საკითხზე დამატებით მონაცემებს არ შეიცავს. აქედან გამომდინარე, ამ დრომდე უცნობია, არის თუ არა მზად მოსამართლეთა შეფასების მეთოდოლოგია და რა ვადებში გეგმავს სამუშაო ჯგუფი/საბჭო ამ საკითხის განხილვას. შესაბამისად, აქტივობა შეუსრულებელად უნდა შეფასდეს.

**1.2.2.4.** – ბოლო წლებში, სასამართლოში ადმინისტრაციულ თანამდებობებს, როგორც წესი, ერთი და იგივე პირები იკავებენ, მათი შერჩევის/დანიშვნის პროცესი ბუნდოვანია, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარის ინსტიტუტი მოსამართლეთა კონტროლის და საბჭოს ხელში სასამართლო სისტემაზე ზეგავლენის ბერკეტს წარმოადგენს.<sup>97</sup>

როგორც პირველ ჩრდილოვან ანგარიშშიც არის მითითებული, ამ აქტივობის ფორმულირებაზე შეთანხმების მიზნით, სასამართლო სისტემის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდეც არაერთი შეხვედრა გაიმართა. თავდაპირველად, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით, აქტივობაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სასამართლოს თავმჯდომარეთა არჩევის წესის, ვადებისა და კომპეტენციის გადახედვა. თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების წინააღმდეგობის ფონზე, საბოლოო, კონსერვატიული ვარიანტიდან, გემოაღნიშნული ნაწილი ამოიღეს

95 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №2225/3134-03-ო.

96 შეხვედრა ჩატარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, უზენაესი სასამართლოს, ევროპის საბჭოსა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ორგანიზებით.

97 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, კოალიცია "დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" მოსაზრებები სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღის კანონპროექტებზე, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bQGNKP>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

და აქტივობით მხოლოდ არსებული კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება დადგინდა.<sup>98</sup>

მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი, ამ აქტივობის შეფასებისას, სასამართლო რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღით“ გათვალისწინებულ ცვლილებებზე<sup>99</sup> მიუთითებს, რომელთა თანახმადაც შეიცვალა სასამართლოს თავმჯდომარეთა თანამდებობაზე განწესების პროცედურა. კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, აგრეთვე მისი მოადგილე, თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული დასაბუთებული გადანაცვლებების საფუძველზე დანიშნებიან. პროცედურა ითვალისწინებს კანდიდატის შესარჩევად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან კონსულტაციების გამართვას.<sup>100</sup>

შესაბამისი კვლევის მოუშვადებლად საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება აღნიშნული აქტივობის შესრულებად ვერ ჩაითვლება, რადგანაც პირველი წლის პროგრესის ანგარიშიც, არა მხოლოდ ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზის შესწავლის საჭიროებაზე, არამედ საერთაშორისო პრაქტიკის კვლევის აუცილებლობაზე მიუთითებდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს, როგორც პასუხისმგებელ უწყებას, აქტივობის შესრულების ვადად 2017 წელი განესაზღვრა, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულების პირველი ანგარიშის საფუძველზე, ნათელი გახდა, რომ ამ აქტივობის შესრულების მიზნით, ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. ამ კვლევის ჩატარების შესახებ ინფორმაცია, იუსტიციის საბჭოდან, დღემდე, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ფორმითაც არ მოუწოდებიათ. შესაბამისად, თავმჯდომარეების დანიშვნის კრიტერიუმებისა და წესის მარეგულირებელ ნორმებში შეტანილი დათქმა – მოსამართლეთა კონფერენციასთან კონსულტაციის, კონსულტაციისას მიღებული რეკომენდაციების არასავალდებულობის ფონზე, აქტივობის შესრულებად ვერ ჩაითვლება. აღნიშნული ცვლილება, მართალია გარკვეულწილად აუმჯობესებს მდგომარეობას, თუმცა არსებულ პირობებში, ეს საკანონმდებლო ჩანაწერი სასამართლოს თავმჯდომარეთა გამჭვირვალე და ობიექტური წესით შერჩევის/დანიშვნის მყარი გარანტია ვერ გახდება. შესაბამისად, აქტივობა შეუსრულებულად უნდა ჩაითვალოს.

**1.2.2.5 და 1.2.2.6.** – მოსამართლეთა დანიშნულების პროგრამის ეს აქტივობები, მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების ვენეციის კომისიისთვის წარდგენას და ვენეციის

98 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 58-59, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

99 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 15-16, მონოდებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ წერილით.

100 საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 12.06.2019, მუხლი, 1, პუნქტები 2-3.

კომისიის დასკვნის საფუძველზე, შესაბამისი ცვლილებების ორგანულ კანონში ასახვას ითვალისწინებდა. პირველ საანგარიშო პერიოდში, საბჭო მიუთითებდა ამ ვალდებულებების შესრულების თარიღის გადავადების მიზანშეწონილობაზე, თუმცა დამატებით რა ვადა იყო საჭირო აქტივობების შესასრულებლად, დაკონკრეტებული არ ყოფილა. იქიდან გამომდინარე, რომ არც სასამართლო სისტემის და სტრატეგიის მეორე პროექტის ანგარიშის პროექტი და არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული წერილები, საპირისპიროს არ ადასტურებს, სავარაუდოა, რომ ვენეციის კომისიისთვის წარსადგენი ორგანული კანონის ცვლილებების პროექტი პასუხისმგებელ უწყებას ჯერ არ მოუშზადებია. ასევე, აღსანიშნავია, რომ არც უკვე მიღებული „მეოთხე ტალღის“ ცვლილებები წარუდგენიათ ვენეციის კომისიისთვის. შესაბამისად, ეს აქტივობები შეუსრულებელია.

### 1.3.1. მოსამართლეთა მიუკერძოებლობის გარანტიების უზრუნველყოფა კანონმდებლობით

#### 1.3.1.2. ინტერესთა კონფლიქტის წესების განახლება (2017–2018) – შესრულებული

**1.3.1.2.** – პირველი პროგრესის ანგარიშში მითითებული იყო ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე ექსპერტის მიერ მომზადებული კვლევის და რეკომენდაციების პრეზენტაციის შესახებ,<sup>101</sup> თუმცა დღემდე უცნობია, რა შედეგი მოჰყვა ექსპერტის მიერ მომზადებული კვლევის განხილვას და ამ კვლევაზე დაფუძნებით, რა ნაბიჯები დაიგეგმა. პირველ საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დამატებით გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაში აღნიშნავდა, რომ შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, ინტერესთა კონფლიქტის წესების განახლების მიმართულებით, უახლოეს მომავალში დაიწყებდა მუშაობას.<sup>102</sup>

მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი ინტერესთა კონფლიქტის წესების განახლებას უკავშირებს 2.2.1.4. აქტივობას, რომელიც მოსამართლეთათვის კონფიდენციალური კონსულტაციის მექანიზმის შექმნასა და დანერგვას ითვალისწინებს. რადგანაც, მართალია, ამ აქტივობებს შორის არის ურთიერთკავშირი, თუმცა არცთუ ისე არსებითი, გაუგებარია, გადამისამართების ამგვარი პრაქტიკა. შესაბამისად, ისევე როგორც წინა საანგარიშო პერიოდში, 2.2.1.4. აქტივობას ანგარიშის „მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმის“ თავში განვიხილავთ.

101 კვლევა მომზადდა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, პრეზენტაცია გაიმართა 2018 წლის 28 მარტს, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიშში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 – ივნისი 2018, გვ. 22, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epnxFU>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

102 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №2225/3134-03-ო.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი „მეოთხე ტალღით“ განხორციელებულ ცვლილებებზე არ უთითებს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ რეფორმის ფარგლებში, ინტერესთა კონფლიქტის რეგულირების მიმართულებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ, ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების მოქმედება გავრცელდა არა მხოლოდ მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის, არამედ იმ შემთხვევებზეც, როდესაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეთა დანიშნულების, მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის, აგრეთვე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოსა და საპროკურორო საბჭოში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის ან სხვა ინდივიდუალური აქტის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. გარდა ამისა, ორგანული კანონის პროექტით ცალსახად განისაზღვრა იმ პირთა წრე (ნათესაური კავშირების ჩამონათვალი), რომელთა მიერ მოსამართლეთა კონკურსში მონაწილეობის შემთხვევაში, საბჭოს წევრმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის პროცედურაში. ასევე, ორგანულ კანონში გაკეთდა დათქმა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილება დაუშვებელია მის მიერ პირთა აბსტრაქტულად განსაზღვრული წრის მიმართ გამოთქმული მოსაზრების გამო.<sup>103</sup> შესაბამისად, აქტივობა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

### 3.1.1. საუკეთესო პოტენციალის მქონე კადრების დასასაქმებლად შესაბამისი წინაპირობების შექმნა

#### 3.1.1.4. მოსამართლეობის კანდიდატთა სარეზერვო სიის შექმნა (2017-2018) – შეუსრულებელი

**3.1.1.4.** – აქტივობით გათვალისწინებულია მოსამართლეობის კანდიდატთა სარეზერვო სიის შექმნა. თუმცა, როგორც პირველი პროგრესის ანგარიშში ვკითხულობთ, მოსამართლეთა სარეზერვო სიაში შესული პირები საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში არ ირიცხებიან, რაც იმას ადასტურებს, რომ აღნიშნული სიის შემუშავება ორგანული კანონით გათვალისწინებულ რეზერვის სისტემას კი არ შეეხება, არამედ ახალი, განსხვავებული მოდელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სიის არსებობა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კონკრეტული პირის მოსამართლის თანამდებობაზე განწესებას არ ავალდებულებს.<sup>104</sup> აქტივობის ზოგადი ფორმულირებიდან გამომდინარე,

103 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 13/12/2019, 5569-ს, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V8oVoQ>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

104 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 – ივნისი 2018, გვ. 49, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epnxFU>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ბუნდოვანია იმის დადგენა, თუ რა მიზანს ემსახურება ამ ახალი ფორმატის – მოსამართლეობის კანდიდატთა სარეგერვო სიის შემოღება. საყურადღებოა, რომ, როგორც პირველ ჩრდილოვან ანგარიშშიც იყო მითითებული, მესამე სამუშაო ჯგუფმა მოამზადა სარეგერვო სიის პირველადი ვერსია, რომლის განხილვას არაერთი კრიტიკული შეფასება მოჰყვა.<sup>105</sup> პროგრესის პირველი ანგარიშისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის თანახმად,<sup>106</sup> საკითხის განხილვა, მოსამართლეობის კანდიდატთა სარეგერვო სიის სრულყოფის მიზნით, განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. იქიდან გამომდინარე, რომ არც მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი და არც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მიღებული წერილები, ამ ინფორმაციას არ შეიცავს, ამ დრომდე უცნობია, აღნიშნულ აქტივობაზე მუშაობა, როდის და რა სტრატეგიით განახლდება.<sup>107</sup> შესაბამისად, აქტივობა შეუსრულებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

### 3.3.1. მოსამართლეთა შემდგომ განვითარებაზე ორიენტირებული პერიოდული შეფასების სისტემის დანერგვა

*3.3.1.1. ექსპერტების მიერ შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და შეფასების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება CCJE-სა და ENCJ-ს სტანდარტების მიხედვით (2017) – შეუსრულებელი*

*3.3.1.2. შეფასების სისტემის დასანერგად კანონქვემდებარე აქტების მომზადება (2017-2018) – შეუსრულებელი*

*3.3.1.3. შეფასების შედეგების ანალიზი და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა – განხორციელება (2018) – შეუსრულებელი*

**3.3.1.1.** – აქტივობა მიზნად ისახავს შეფასების კრიტერიუმების გადახედვასა და ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს მიესადაგება. მოსამართლეთა საქმიანობის პერიოდული შეფასება, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, დღესდღეობით დაურეგულირებელია. პერიოდული შეფასების სისტემა მოწესრიგებულია ჯერ კიდევ იუსტიციის უმაღლესი

105 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 62, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020]. მაგალითად, იხ. <https://bit.ly/2SIW5PZ>.

106 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №2225/3134-03-თ.

107 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/1498-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ და №241/667-03-თ წერილები.



საბჭოს მიერ 2011 წელს მიღებული გადაწყვეტილებით,<sup>108</sup> რომელიც უმეტესწილად ვერ პასუხობს მოსამართლეთა შეფასების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკებს შეიცავს.<sup>109</sup>

ჯერ კიდევ 2018 წლის აპრილში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ორი პროექტი შემუშავდა, თუმცა ერთ კონკრეტულ პროექტზე შეთანხმება ვერ მოხერხდა.<sup>110</sup> წინა საანგარიშო პერიოდში საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მესამე სამუშაო ჯგუფს უნდა გაეგრძელებინა მუშაობა პერიოდული შეფასების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებაზე.<sup>111</sup> თუმცა, არც მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი და არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული საჯარო ინფორმაციის წერილები, არ შეიცავს მონაცემებს ამ აქტივობასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, უცნობია, რა ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით მოცემულ საანგარიშო პერიოდში და რა ვადაში იგეგმება აქტივობით გათვალისწინებულ საკითხზე მუშაობის დასრულება. შესაბამისად, ეს აქტივობა კვლავაც შეუსრულებელია.

**3.3.1.2.** – შეფასების სისტემის დასანერგად კანონქვემდებარე აქტების მომზადება უშუალოდ არის დაკავშირებული ამავე პროგრამის წინა აქტივობის შესრულებასთან. მეტიც, ექსპერტების მიერ შეფასების კრიტერიუმების გადახედვისა და შეფასების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების გარეშე, პერიოდული შეფასების ახალი სისტემის დასანერგად კანონქვემდებარე აქტების მომზადება მიზანშეუწონელია. თუმცა, არც მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი და არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული საჯარო ინფორმაციის წერილები არ შეიცავს მონაცემებს საბჭოს ხედვაზე ამ აქტივობის თაობაზე და, შესაბამისად, უცნობია, რა ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით მოცემულ საანგარიშო პერიოდში. შესაბამისად, ეს აქტივობა კვლავაც შეუსრულებელია.

**3.3.1.3.** – პროგრამის ბოლო აქტივობაა შეფასების შედეგების ანალიზი და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა-განხორციელება. ამ აქტივობის შესრულება ასევე უშუალოდ არის

108 „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბრის №1/226 გადაწყვეტილება.

109 როგორც პირველ ჩრდილოვან ანგარიშშიც მიუთითეთ, დღეს მოქმედი შეფასების სისტემის მიზნები ბუნდოვანია. საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი შეფასების მექანიზმი უფრო მეტად ორიენტირებულია მთლიანად სასამართლო სისტემაზე, ნაცვლად ინდივიდუალური მოსამართლის საქმიანობის შეფასებისა. მოქმედი მოდელი ითვალისწინებს იმგვარ კომპონენტებს, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, მოსამართლისგან დამოუკიდებელი ფაქტორებით იყოს განპირობებული და მის კონტროლს არ ექვემდებარებოდეს. ვრცლად, იხ. კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, გვ. 89, [ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/NYowQU>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].

110 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 – ივნისი 2018, გვ. 38, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epnxFU>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

111 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №2225/3134-03-ო.


დაკავშირებული წინა აქტივობების შესრულებასთან. ვინაიდან პასუხისმგებელ უწყებებს ამ ეტაპისთვის არ მოუმზადებიათ შეფასების ახალი მეთოდოლოგია და შეფასების სისტემის დასაანერგად შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები, შეფასების შედეგების გაანალიზება შეუძლებელია.

## შეჯამება

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები ადასტურებს, რომ პასუხისმგებელ უწყებებს, ამ მიმართულებით გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დროულად და სრულყოფილად შესასრულებლად, საკმარისი ძალისხმევა არ გაუწევიათ. მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის სისტემის სრულყოფისათვის სამოქმედო გეგმით განერილი არაერთი პრინციპული საკითხი, ამ ეტაპისთვის, სათანადო ყურადღების მიღმაა დარჩენილი ან/და სამოქმედო გეგმაში/სამოქმედო გეგმის პროექტში საერთოდ არ ასახულა. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, თუკი სამუშაო ჯგუფები და პასუხისმგებელი უწყებები თავიანთ საქმიანობას შემდეგი მიმართულებებით წარმართავენ:

- მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მოსამართლის თანამდებობაზე შერჩევა/განწესების პროცედურების გაუმჯობესება/დახვეწა;
- კანდიდატთა შეფასების/შესარჩევი კონკურსის შედეგების თაობაზე გადანყვეტილების დასაბუთებისა და გადანყვეტილების გასაჩივრების მექანიზმის შემდგომი დახვეწა, მისი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად;
- მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ რელევანტური ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების პრაქტიკის გაუმჯობესება;
- სასამართლოს თავმჯდომარეთა თანამდებობაზე განწესების პროცედურებისა და ვადების, აგრეთვე მათი კომპეტენციების ახლებურად განსაზღვრისთვის, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება/მიღება.
- მოსამართლის სხვა სასამართლოში (მათ შორის, მეორე ინსტანციაში) უკონკურსოდ გადაყვანის კრიტერიუმებისა და პროცედურის საკანონმდებლო დონეზე სრულყოფილი რეგულირება;
- მოსამართლეთა დანიშნულების ცხადი, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემის შესამუშავებლად, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და მიღება;
- მოსამართლეთა მუდმივი პროფესიული განვითარების სისტემის მეთოდოლოგიის შექმნა და დანერგვა და დანერგილი სისტემის მონიტორინგი.

მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნისა და დაწინაურების სისტემის სრულყოფის მიზნით, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსი<sup>112</sup>



112 ამ გრაფიკზე ნაჩვენებია მხოლოდ ამ მონიტორინგის პერიოდში შეფასებული აქტივობების შესრულების სტატუსი.

მოსამართლეთა პასუხისმგებლობის  
სისტემის რეფორმა

## სასამართლო რეფორმების შედეგები და არსებული გამოწვევები

დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა სასამართლო სისტემის ავტორიტეტისა და საზოგადოებაში სასამართლოს მიმართ ნდობის დაცვის ინტერესს ემსახურება, თუმცა, მეორე მხრივ, შეიცავს პოტენციურ საფრთხეს, მისი არასათანადოდ გამოყენების პირობებში, გადაიქცეს ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზენოლის ბერკეტად.

მნიშვნელოვანია, მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემამ, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოსამართლის მხრიდან არასათანადო და არაკეთილსინდისიერი ქცევის პრევენცია და გადაცდომის შემთხვევაში – შესაბამისი რეაგირება, მეორე მხრივ კი, გაითვალისწინოს ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის მყარი გარანტიები, რათა არ გადაიქცეს მოსამართლეებზე ზენოლის ბერკეტად.<sup>113</sup>

ბოლო წლებში გატარებული რეფორმების შედეგად, დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემამ არაერთი დადებითი ცვლილება განიცადა. 2013 წელს, სასამართლო რეფორმის „პირველი ტალღის“ ფარგლებში ერთმანეთს გაემიჯნა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური საქმის განმხილველი და დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის უფლებამოსილების მქონე ორგანოები. საკანონმდებლო ცვლილებით განისაზღვრა, რომ სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის წევრები არ შეიძლება იყვნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები. სისტემის მეტი გამჭვირვალობისთვის სავალდებულო გახდა სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებების ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.<sup>114</sup> კოლეგიის არამოსამართლე წევრების არჩევის უფლებამოსილება საბჭოს ნაცვლად პარლამენტს მიენიჭა. განისაზღვრა ისიც, რომ კოლეგიის მოსამართლე წევრებს პირდაპირ მოსამართლეთა კონფერენცია ირჩევს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჩამოერთვა კანდიდატების წარდგენის ექსკლუზიური უფლებამოსილება.<sup>115</sup>

სასამართლო რეფორმის „მეორე ტალღა“ დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემას არ შეეხებია, ხოლო რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში ამ საკითხზე კანონმდებლობაში რამდენიმე დადებითი ცვლილება შევიდა, კერძოდ:<sup>116</sup>

113 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება, მარტი, 2019, გვ. 50, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Rzrr5k>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

114 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, განხორციელებული რეფორმა, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RBjxIN>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

115 „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, სასამართლო სისტემის მდგომარეობა (2012-2016), 2016, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ygPTS5>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

116 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება, მარტი, 2019, გვ. 11, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Rzrr5k>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, რითაც შეიზღუდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გადაჭარბებული ექსკლუზიური უფლებამოსილება დისციპლინური სამართალწარმოების საწყის ეტაპზე;
- გაიზარდა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობა. კერძოდ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაევალა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და თავის ვებგვერდზე გამოქვეყნება. აგრეთვე, მოსამართლეს მიეცა უფლება, გაასაჯაროსოს მის მიმართ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების სხდომები (დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის და სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის სხდომები, გარდა თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა);
- დისციპლინური საქმის წინასწარ შესამოწმებლად და გამოსაკვლევადა, განისაზღვრა ვადები. აღნიშნულ ვადებში საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, დისციპლინური სამართალწარმოება წყდება;
- გაიზარდა მოსამართლის უფლებრივი გარანტიები დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში. კერძოდ, დისციპლინური გამოკვლევისას მოსამართლე უფლებამოსილია, ისარგებლოს დამცველით. იგივე უფლებამოსილება აქვს მას სადისციპლინო კოლეგიის მიერ საქმის განხილვისას;
- დაზუსტდა მტკიცების სტანდარტი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ეტაპზე და დადგინდა სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე;
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ჩამოერთვა მოსამართლისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის უფლება და სადისციპლინო კოლეგიას მიენიჭა.

რეფორმის „მესამე ტალღით“ გათვალისწინებული ცვლილებები, დისციპლინური სამართალწარმოების დახვეწის კუთხით, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ ცვლილებების ამოქმედებამდე მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი სრულიად კონფიდენციალური იყო, რაც საზოგადოების მხრიდან მასზე კონტროლს შეუძლებელს ხდიდა. დისციპლინური საჩივრებისა და დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემული მოსამართლეების რაოდენობას შორის თვალშისაცემი სხვაობა საზოგადოებაში მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმართაობის განცდას იწვევდა.<sup>117</sup>

მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები განხორციელდა რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებშიც, კერძოდ:<sup>118</sup>

117 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, მარტი, 2019, გვ. 51, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Rzrr5k>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

118 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, ნოემბერი, 2019, გვ. 9, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RA03V1>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

- განისაზღვრა დისციპლინური გადაცდომის სახეების კონკრეტული და ამომწურავი ჩამონათვალი;
- შეიცვალა დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და გადაწყვეტილება მიიღება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ხმათა ორი მესამედით, ნაცვლად სრული შემადგენლობის უმრავლესობისა, ასევე დადგინდა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა
- დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა საკანონმდებლო დონეზე;
- განისაზღვრა მტკიცების სტანდარტი დისციპლინური სამართალწარმოების საწყის ეტაპებზე.

მიუხედავად აღნიშნული დადებითი ცვლილებებისა, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა დროული და ეფექტიანი გადაწყვეტა არსებითად მნიშვნელოვანია:

- ხარვეზიანია დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე არჩევის წესი, რაც ვერ უზრუნველყოფს ინსპექტორის სათანადო ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას;
- არ ქვეყნდება დამოუკიდებელი ინსპექტორის მომზადებული დასკვნები (მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით). დასკვნები ხელმიუწვდომელია საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის შემთხვევაშიც, რაც, გამჭვირვალობის კუთხით, მნიშვნელოვანი პრობლემაა;
- არ ქვეყნდება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- მოქმედი კანონმდებლობით, შესაძლებელია, კოლეგიის საერთო შემადგენლობის 5-დან ორმა წევრმა (თუკი კოლეგიას სამი წევრი ესწრება) მოსამართლე ბრალეულად ცნოს და დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი დააკისროს, რაც საფრთხეს უქმნის დისციპლინური სამართალწარმოების სამართლიანობას;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინურ საკითხებზე სხდომებს არასაკმარისი სიხშირით ატარებს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების გაჭიანურების განმაპირობებელი ფაქტორია.

## სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა

სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემასთან დაკავშირებით, ჯამში 21 აქტივობას ითვალისწინებდა. 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, შესრულებული იყო 5 აქტივობა, ნაწილობრივ შესრულებული – 2, შეუსრულებელი – 13, ხოლო 1 აქტივობას ბუნდოვანი ფორმულირების

გამო სტატუსი არ მიენიჭა.<sup>119</sup> წინამდებარე ანგარიშში შეფასდა იმ 15 აქტივობის შესრულების მდგომარეობა, რომელთაც 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, მივანიჭეთ სტატუსი „შეუსრულებელი“ და „ნაწილობრივ შესრულებული“.

## 2.1.2 სამოსამართლო ეთიკის წესების დახვეწა

სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა სამოსამართლო ეთიკის წესების დახვეწის პროგრამის ფარგლებში შემდეგ ოთხ აქტივობას ითვალისწინებს:

*2.1.2.1. ეთიკის მოქმედი წესებისა და პრაქტიკის ანალიზი (2017) – შესრულებული*

*2.1.2.2. ეთიკის წესების განახლება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (2017, 2018) – შესრულებული*

*2.1.2.3. ეთიკის წესების კომენტარების მომზადება (2018) – შეუსრულებელი*

*2.1.2.4. განახლებული ეთიკის წესების დამტკიცება (2018) – შეუსრულებელი*

ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფის სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში, სასამართლო სისტემის სტრატეგია ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად განიხილავს სამოსამართლო ეთიკის წესების გაუმჯობესებას. პრობლემა არსებული ეთიკის ნორმების ბუნდოვანება. კერძოდ, სტრატეგიის თანახმად, ეთიკის წესები არ შეიცავს ზუსტ განმარტებებს ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებით. ეთიკის წესები, საჭიროა დაზუსტდეს პრაქტიკაში გამოვლენილი შემთხვევების ანალიზის შედეგად, რათა მოსამართლეებმა ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებით მიიღონ მაქსიმალურად სრული და მკაფიო ინფორმაცია. შესაბამისად, ეთიკის წესებთან დაკავშირებით, სტრატეგია არსებული ხარვეზებისა და გამოწვევების სწორ იდენტიფიცირებას ეფუძნება.

პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, **2.1.2.1, 2.1.2.2, 2.1.2.3 და 2.1.2.4** აქტივობების შესრულების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები და ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სასამართლოს სამივე ინსტანციის მოსამართლეები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები. მათ გადაეცათ სამოსამართლო ეთიკის მოქმედ წესებთან დაკავშირებული ყველა კვლევითი დოკუმენტი. ამასთან, ეთიკის წესების განახლების პროცესში მონაწილეობდნენ პარტნიორი ორგანიზაციები<sup>120</sup>, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საერთაშორისო ექს-

119 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

120 ევროპის საბჭოს პროექტი, ევროკავშირის პროექტი, USAID/PROLoG.



პერტების ჩართულობას არსებული ეთიკის ნორმების გაანალიზებისა და განახლებულ წესებზე რეკომენდაციების წარდგენის ფარგლებში.<sup>121</sup>

2.1.2.1. აქტივობასთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განმარტა, რომ მუშაობის საწყის ეტაპზე ექსპერტებმა ეთიკის არსებული წესები და პრაქტიკა გაანალიზეს და სამუშაო ჯგუფის წევრებს საკუთარი რეკომენდაციები წარუდგინეს.<sup>122</sup> შესაბამისად, აღნიშნული აქტივობა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

2020 წლის 24 იანვარს გაიმართა II სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც სამოსამართლო ეთიკის წესების პროექტი განიხილეს. სამუშაო ჯგუფის წევრთა განმარტებით, ეთიკის წესების პროექტი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავდა, 4 საერთაშორისო ექსპერტის რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაიხვეწა მისი სტრუქტურა და შინაარსობრივი მხარე. სამოსამართლო ეთიკის წესების პროექტი პრეამბულისა და 7 ნაწილისგან შედგება. თითოეული ნაწილი მოიცავს ნორმებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, კეთილსინდისიერების, წესიერების, თანასწორობის, კომპეტენტურობის, გულისხმიერებისა და სამართლიანობის, არასამოსამართლო საქმიანობის შესახებ. ამასთან, ყოველი ნაწილის დასაწყისში პრეამბულის სახით წამდგარებულია ბანგალორის პრინციპების შესაბამისი ტექსტი.

2020 წლის 29 იანვრის სხდომაზე სამუშაო ჯგუფმა სამოსამართლო ეთიკის წესების პროექტი ხმათა უმრავლესობით მიიღო და განსახილველად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინა. 2020 წლის 31 იანვარს საბჭომ ეთიკის წესების პროექტი მიიღო და მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლეთა კონფერენციისთვის წარდგინებით მიმართვის შესახებ.<sup>123</sup> შესაბამისად, ეთიკის წესები შეიძლება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განახლებულად ჩაითვალოს, ხოლო 2.1.2.2. აქტივობა – შესრულებულად.

საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის<sup>124</sup> თანახმად, მოსამართლეთა კონფერენციის მიერ განახლებული სამოსამართლო ეთიკის წესების დამტკიცების შემდეგ, მეორე სამუშაო ჯგუფი, ეთიკის წესების კომენტარების მოსამზადებლად და გვეგმით გათვალისწინებული თანმდევი ღონისძიებების დასაგეგმად დაიწყებს მუშაობას. შესაბამისად, **2.1.2.3. და 2.1.2.4.** აქტივობები ამ ეტაპზე კვლავ შესრულებულია.

121 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 22, მოწოდებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ წერილით.

122 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 თებერვლის წერილი №141/138-03-თ.

123 იქვე.

124 იქვე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმის ამ პროგრამის შესასრულებლად გარკვეული ძალისხმევა იქნა გაწეული, განახლებული ეთიკის წესების მიღებამდე, ამ მხრივ არსებული ხარვეზები კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

## 2.2.1 დისციპლინური გადაცდომების პრევენცია

2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა დისციპლინური გადაცდომების პრევენციის პროგრამის ფარგლებში 4 აქტივობას ითვალისწინებს. წინამდებარე ანგარიშში შეფასდა სამი აქტივობის შესრულების მდგომარეობა, რომელთაც წინა მონიტორინგის პერიოდში მინიჭებული ჰქონდა სტატუსი „შეუსრულებელი“ ან „ნაწილობრივ შესრულებული“.

*2.2.1.2. ეთიკის წესებზე არსებული სწავლების მოდულის განახლება (2018) – შეუსრულებელი*

*2.2.1.3. მოსამართლეებისთვის გავრცელებულ დისციპლინარულ დარღვევებზე, გადაცდომებზე (კოლეგიის გადაწყვეტილებებზე), ზოგადად ანგარიშვალდებულების გარშემო ტრენინგების ორგანიზება (სამოსამართლო ეთიკის სასწავლო მოდულის ფარგლებში) (2018) – ნაწილობრივ შესრულებული*

*2.2.1.4. მოსამართლეთათვის კონფიდენციალური კონსულტაციის მექანიზმის შექმნა დანერგვა (2017,2018) – შეუსრულებელი*

**2.2.1.2** აქტივობა, სავარაუდოდ, დაკავშირებულია განახლებული ეთიკის წესების დამტკიცებასთან (2.1.2 პროგრამა), რაც ამ დრომდე არ შესრულებულა. პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, ამჟამად, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში არსებობს ეთიკის წესებთან დაკავშირებული ორი სასწავლო მოდული – სამოსამართლო ეთიკის საბაზისო კურსი და სამოსამართლო ეთიკის სიღრმისეული კურსი. თუმცა, მას შემდეგ, რაც დამტკიცდება ახალი სამოსამართლო ეთიკის წესები, სკოლა განაახლებს სწავლების მოდულს.<sup>125</sup> იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი მდგომარეობით, განახლებული ეთიკის წესები დამტკიცებული არ არის, სწავლების მოდულებიც არსებულ ეთიკის წესებს ეფუძნება. შესაბამისად, 2.2.1.2 აქტივობა ამ ეტაპზე შეუსრულებელია.

<sup>125</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 24-25, მოწოდებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

**2.2.1.3** აქტივობასთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მონოდედებული ინფორმაციით<sup>126</sup>, მოსამართლეებს 3 ტრენინგი ჩაუტარდათ. იუსტიციის უმაღლესი სკოლის „მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში შემუშავებული სამოსამართლო ეთიკის სიღრმისეული კურსის სასწავლო მოდული განიხილავს სასამართლოს ანგარიშვალდებულების, გავრცელებული დისციპლინური დარღვევებისა და გადაცდომების საკითხებს. 2018 წელს მოსამართლეთათვის ჩატარდა 2 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 19 მოსამართლე, ხოლო 2019 წელს – 1 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 13 მოსამართლე. სამოქმედო გეგმა ამ პროგრამის შესრულების ინდიკატორად, ითვალისწინებდა, სულ მცირე, 4 ტრენინგის გამართვას, სამოსამართლო ეთიკის კურიკულუმის გამოყენებით. შესაბამისად, **2.2.1.3** აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

**2.2.1.4** აქტივობის შესრულების მიზნით, კონფიდენციალური საკონსულტაციო მექანიზმის შესახებ საუკეთესო ევროპული მაგალითების გასაზრებლად და რეკომენდაციების მისაღებად, ევროპის საბჭოს ექსპერტმა მოამზადა კვლევა, რომლის დანიშნულებაცაა ინტერესთა კონფლიქტისა და სამოსამართლო ეთიკის საკითხებში მოსამართლეთა დახმარება. კვლევით დოკუმენტში მიმოხილულია საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული რეკომენდაციები და სხვადასხვა ქვეყნის მოდელები მოსამართლეთათვის კონფიდენციალური კონსულტირებისა და რჩევის მიწოდების მექანიზმის თაობაზე.<sup>127</sup> კვლევითი დოკუმენტის თანახმად, მნიშვნელოვანია, კონფიდენციალური კონსულტირება განახორციელოს სასამართლო სისტემის შიგნით არსებულმა დამოუკიდებელმა ორგანომ, სადაც მრჩეველებს ექნებათ ამ კონკრეტულ სფეროებში შესაბამისი გამოცდილება. ამასთან, აუცილებელია, რომ მრჩეველები არ იყვნენ დისციპლინური ორგანოების წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მონოდედებული ინფორმაციით, მეორე სამუშაო ჯგუფი განაგრძობს კონფიდენციალური კონსულტაციის მექანიზმის შექმნასა და დანერგვაზე მუშაობას.<sup>128</sup> ამ მიმართულებით გაწეული გარკვეული სამუშაოს მიუხედავად, სამოქმედო გეგმაში მითითებული ინდიკატორის (საკონსულტაციო მექანიზმის არსებობა) გათვალისწინებით, **2.2.1.4** აქტივობა ამ ეტაპზე შეუსრულებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის პროცესი აჩვენებს, რომ საანგარიშო პერიოდში, დისციპლინური გადაცდომების პრევენციის კუთხით, ხელშესახები შედეგები არ დამდგარა.

126 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 თებერვლის წერილი, N141/138-03-ო.

127 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 25, მონოდედებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

128 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 თებერვლის წერილი №141/138-03-ო.

## 2.2.2 სისტემაში კორუფციის შემთხვევების პრევენცია

სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა სისტემაში კორუფციის შემთხვევების პრევენციის პროგრამის ფარგლებში შემდეგ სამ აქტივობას ითვალისწინებს:

*2.2.2.1. დეკლარაციების შევსების ახალი ინსტრუქციისა და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გაცნობა მოსამართლეებთან, საჯარო სამსახურის ბიუროსთან კოორდინაციით (2017; 2018) – ნაწილობრივ შესრულებული*

*2.2.2.2. კორუფციის აღქმისა და რისკების შეფასების ანალიზი საერთო სასამართლოების სისტემაში (2017) – შესრულებული*

*2.2.2.3. კორუფციის აღმოფხვრის თაობაზე სასწავლო მოდულის დამუშავება და დანერგვა მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთათვის (2017, 2018) – შესრულებული*

**2.2.2.1** აქტივობასთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პროგრესის ანგარიშის პროექტი აღნიშნულია, რომ სასამართლო სისტემის სტრატეგიის მეორე სტრატეგიული მიმართულების (ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა) აღსრულების მიზნით შექმნილ მე-2 სამუშაო ჯგუფსა და საჯარო სამსახურის ბიუროს შორის შეხვედრა გაიმართა, რომელზეც გადაწყდა, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლები, დეკლარაციის შევსების წესისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ინფორმაციის გასაცნობად, მოსამართლეებისთვის ტრენინგებს ჩაატარებენ.<sup>129</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით, ევროკავშირის ექსპერტმა სასამართლო სისტემის თანამშრომლებს ჩაუტარა ტრენინგთა ტრენინგი თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის შევსების საკითხთან დაკავშირებით. შემდგომ ეტაპზე უშუალოდ მოსამართლეებისთვის იგეგმება ტრენინგის ჩატარება. ამასთან, ექსპერტი ამ საკითხთან დაკავშირებით მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების (გზამკვლევის) ამსახველი დოკუმენტის შემუშავებაზეც მუშაობს.<sup>130</sup> შესაბამისად, დღევანდელი მდგომარეობით, 2.2.2.1. აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

**2.2.2.2** აქტივობა ამ ეტაპზე შესრულებულია, რადგან კორუფციის აღქმისა და რისკების შეფასება საერთო სასამართლოების სისტემაში ჯერჯერობით არ გაანალიზებულა.<sup>131</sup>

129 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 26, მონოდებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

130 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 თებერვლის წერილი, №141/138-03-ო.

131 იქვე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე არც 2.2.2.3 აქტივობა შესრულებულა.<sup>132</sup>

### 2.3.1 დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწა

სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწის პროგრამის ფარგლებში, ითვალისწინებს ოთხ აქტივობას. მათგან წინამდებარე ანგარიშში სამი აქტივობა შეფასდა:

*2.3.1.1. არსებული დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაუმჯობესება, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში (ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრება №3, GRECO-ს რეკომენდაციების გათვალისწინება) დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება, საჩივრის ავტორისთვის შეტყობინება (2017, 2018) – შესრულებული;*

*2.3.1.2. შესაბამისი წინადადებების მომზადება (მათ შორის, ინსპექტორის დამოუკიდებლობის გარანტიების გაძლიერება) (2018) – ნაწილობრივ შესრულებული;*

*2.3.1.3. დისციპლინური სამართალწარმოების ელ. პროგრამის შემუშავება და დაწერვა (2018) – შესრულებული.*

**2.3.1.1** აქტივობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია 2019 წლის 13 დეკემბერს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შესული რამდენიმე დადებითი ცვლილება (სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღა“). მნიშვნელოვანი სიახლეა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შემოღება წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის ეტაპზე, რომელსაც დამოუკიდებელი ინსპექტორი აწარმოებს. ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ აღნიშნული სტანდარტის გამოყენება მოსამართლის მიმართ, დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>133</sup> აგრეთვე მისასაღმებელია ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტზე დაყრდნობით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი.<sup>134</sup>

გარდა ამისა, დადებითად უნდა შეფასდეს სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც დამოუკიდებელი

132 იქვე.

133 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>7</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, 75<sup>8</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

134 იქვე, 75<sup>14</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ინსპექტორს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმისა და დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის უფლებამოსილება მიენიჭა შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა ამოიწურა;
- ბ) არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმხორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება;
- გ) მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება;
- დ) საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას.<sup>135</sup>

რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ცვლილებების გათვალისწინებით, 2.3.1.1. აქტივობა შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს, სამწუხაროდ, ცვლილებები არ შეხებია. მოქმედი სამართლებრივი ნორმებით, შესაძლებელია, დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღოს სადისციპლინო კოლეგიის 2-მა წევრმა, რამაც, შესაძლოა, ვერ უზრუნველყოს პროცესის ობიექტურად და სამართლიანად წარმართვა.<sup>136</sup>

**2.3.1.2** აქტივობების ფარგლებში გათვალისწინებულია „შესაბამისი წინადადებების მომზადება,“ თუმცა ბუნდოვანია, კონკრეტულად რა საკითხებს უნდა მოიცავდეს ეს წინადადება. ამ აქტივობის შესრულების პროგრესის შესაფასებლად, წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში ყურადღებას ამახვილებს დამოუკიდებელი ინსპექტორის დამოუკიდებლობის გარანტიების გაძლიერებისა და მისი საქმიანობის გამჭვირვალობის საკითხზე. ამ მიმართულებით მიღებული ცვლილებებისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, **2.3.1.2.** აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

„მეოთხე ტალღის“ ფარგლებში მიღებული ცვლილებებით, დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტს დამოუკიდებლობის მეტი გარანტიები მიენიჭა. კერძოდ, დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 ხმა და შესაძლებელია გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება.<sup>137</sup> თუმცა,

135 იქვე, 75<sup>12</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

136 დღეს მოქმედი კანონმდებლობით, სადისციპლინო კოლეგია 5 წევრისგან შედგება. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება მიღებულად მიიჩნევა, თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის დამსწრე წევრთა უმრავლესობა. სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება კოლეგიის არანაკლებ 3 წევრი – „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>19</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, 75<sup>24</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, 75<sup>40</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].

137 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51<sup>1</sup>-ე მუხლის 2<sup>1</sup>-ე ქვეპუნქტი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ინსპექტორის თანამდებობაზე არჩევის წესი იგივე დარჩა: დამოუკიდებელ ინსპექტორს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს.<sup>138</sup> ამგვარი რეგულირება მნიშვნელოვანი ხარვეზია, რამდენადაც არამოსამართლე წევრებს არ აქვთ გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. საბჭოს არამოსამართლე წევრების რეალური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ინსპექტორი საბჭომ სრული შემადგენლობის 2/3-ით აირჩიოს.<sup>139</sup>

აღსანიშნავია, რომ „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის ფინანსური გარანტიები – მისი თანამდებობრივი სარგო სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შრომის ანაზღაურების შესაბამისად განისაზღვრა.<sup>140</sup> ასევე, დამოუკიდებელი ინსპექტორის თანხმობის გარეშე არ შეიძლება მისი სამსახურის მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის ხარჯებთან შედარებით.<sup>141</sup> გარდა ამისა, დამოუკიდებელ ინსპექტორს აქვს დამოუკიდებელი დოკუმენტრუნვა.<sup>142</sup>

მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ისიც, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის გათავისუფლების საფუძველს აღარ წარმოადგენს „უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულება“, რაც საკმაოდ ბუნდოვანი დანაწესი იყო. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში გატარებული ცვლილებებით, დამოუკიდებელი ინსპექტორის გათავისუფლების საფუძველი უფრო მკაფიო და განჭვრეტადი გახდა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.<sup>143</sup>

მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, დისციპლინური პასუხისმგებლობის გამჭვირვალობის მხრივ კვლავ რჩება ცალკეული გამოწვევები. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მომზადებული დასკვნები და მოსაზრებები მოსამართლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე არ ქვეყნდება. გარდა ამისა, დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები ხელმიუწვდომელია საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის შემთხვევაშიც,<sup>144</sup> რაც შეუძლებელს ხდის მის მიერ გაცემული დასკვნებისა და

138 იქვე, 51<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

139 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება – დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, ნოემბერი, 2019, გვ. 15, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RA03V1>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

140 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51<sup>1</sup> მუხლის 8<sup>1</sup>-ე ქვეპუნქტი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

141 იქვე, 51<sup>1</sup>-ე მუხლის მე-13 პუნქტი.

142 იქვე, 51<sup>1</sup>-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

143 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველად განისაზღვრა მოსამართლისა და საჩივრის ავტორის უფლებების უხეში დარღვევა, რამაც საქმის შედეგზე არსებითი გავლენა მოახდინა (ამ საფუძველს ცვლილებებამდე არსებული რეგულირება არ ითვალისწინებდა), ასევე, მე-6 მუხლს დაემატა „ი“ ქვეპუნქტი – დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამჟღავნება.

144 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 14 სექტემბრის წერილი, №14/6-03.

მოსაზრებების შეფასებასა და მონიტორინგს. საბჭოს მიერ დღემდე გამოქვეყნებულ გადანყვეტილებებში ვრცლად და ნათლად არის წარმოდგენილი დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად მოკვლეული მასალები, თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილში ჩანს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნის შინაარსი მოსამართლის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არსებობა/არარსებობის შესახებ.<sup>145</sup> ამგვარ პირობებში რთულია შეფასდეს ინსპექტორის დამოუკიდებლობის ხარისხი, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ობიექტურობა და პრაქტიკის თანმიმდევრულობა.

სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდას და ამ მიზნით კანონმდებლობის გადახედვას. ანგარიშვალდებულები მართლმსაჯულების უზრუნველყოფის სტრატეგიული მიმართულებების ფარგლებში, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმაში ნახსენებია მხოლოდ დისციპლინური სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამის შემუშავება და დანერგვა.<sup>146</sup> შესაბამისად, სამოქმედო გეგმა ლიმიტირებულად ითვალისწინებს დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ ღონისძიებებს და ვერ პასუხობს ამ მიმართულებით არსებულ ძირითად გამოწვევას.

### 2.3.1.3 აქტივობა საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.<sup>147</sup>

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ცხადყოფს, რომ საანგარიშო პერიოდში დადებითი ცვლილებები განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწის თვალსაზრისით, რაც სამოქმედო გეგმით დასახული მიზნის (მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა) მიღწევას ნაწილობრივ უზრუნველყოფს, თუმცა სისტემაში კვლავ რჩება ცალკეული გამოწვევები. როგორც აღინიშნა, განსაკუთრებით პრობლემურია დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევის წესი და დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნებზე ხელმიუწვდომლობა.

145 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება, მარტი, 2019, გვ. 66-67, ხელმისაწვდომია: [https://bit.ly/2Rzrr5k; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

146 სასამართლო სისტემის სტრატეგია ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად განიხილავს დისციპლინური სამართალწარმოების ნაკლებ გამჭვირვალობასა და ელექტრონული საქმისწარმოების არარსებობას. სტრატეგიის თანახმად, ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა უზრუნველყოფს დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების გამჭვირვალობას.

147 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 თებერვლის წერილი №141/138-03-ო.



## 2.3.2 სამოსამართლო საქმიანობაში გადაცდომების გამოვლენის ქმედითი მექანიზმის განვითარება

სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, სამოსამართლო საქმიანობაში გადაცდომების გამოვლენის ქმედითი მექანიზმის განვითარების პროგრამის ფარგლებში, შემდეგ ორ აქტივობას ითვალისწინებს:

*2.3.2.1. საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება სამოსამართლო ეთიკის წესებზე, საჩივრის წარდგენის უფლებაზე ცნობიერების გასაზრდელად (2017, 2018) – შესრულებული*  
*2.3.2.2. ეთიკის წესების საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ფორმით გამოქვეყნება ვებგვერდზე (GRECO-ს რეკომენდაციით) (2018) – შესრულებული*

სასამართლოს სისტემის სტრატეგიაში ყურადღება გამახვილებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი კანონისა და ეთიკის წესების ურთიერთმიმართების მოწესრიგების აუცილებლობაზე. ამ მხრივ არსებული საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევა არ უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომა. სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, გადაცდომის სახეების ჩამონათვალი აღარ ითვალისწინებს ეთიკის ნორმების დარღვევაზე მითითებას, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

**2.3.2.1.** აქტივობასთან დაკავშირებით, პროგრესის ანგარიშის პროექტში<sup>148</sup> აღნიშნულია, რომ გორსა და ქუთაისში ვიზიტის ფარგლებში დამოუკიდებელმა ინსპექტორმა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საჯარო ლექციები ჩაატარა. გაიმართა შეხვედრები რეგიონში დასაქმებულ ადვოკატებთან და იურიდიული სექტორის წარმომადგენლებთან. ასევე, ჩატარდა ცნობიერების ასამაღლებელი ლექციები უნივერსიტეტებში. შესაბამისად, ეს აქტივობა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

**2.3.2.2.** აქტივობა, რომელიც ეთიკის წესების ვებგვერდზე გამოქვეყნებას ითვალისწინებს, სავარაუდოდ, გულისხმობს განახლებული ეთიკის წესების გამოქვეყნებას. მიუხედავად იმისა, რომ არსებული სამოსამართლო ეთიკის წესები გამოქვეყნებულია უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე,<sup>149</sup> აღნიშნული აქტივობა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან საანგარიშო პერიოდში განახლებული ეთიკის წესები არ დამტკიცებულა.

<sup>148</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 29, მოწოდებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ წერილით.

<sup>149</sup> საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V8iaUg>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

## შეჯამება


დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის სამართლიანობას, ობიექტურობასა და ეფექტიანობას. სამოქმედო გეგმის შესრულების ერთწლიანი ანგარიშის, სხვა დოკუმენტებისა და საჭარო ინფორმაციის ანალიზმა გამოავლინა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. თუმცა, ცალკეული ხარვეზები გამოწვევად რჩება. ამ მიმართულებით განეული ძალისხმევა საკმარისი არ არის დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის ცალკეული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

სამწუხაროდ, სასამართლო სისტემის ახალი სამოქმედო გეგმის პროექტი დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობის დახვეწის ფარგლებში, არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნების მხარეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით გამოქვეყნებას. ასევე, არააფერს ამბობს კონფიდენციალობის დაცვით დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებაზე. ახალი სამოქმედო გეგმის პროექტი ასევე არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი ინსპექტორის დამოუკიდებლობის გარანტიების გაძლიერებას, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სამუშაო ჯგუფმა და პასუხისმგებელმა უწყებებმა საქმიანობა შემდეგი მიმართულებით წარმართონ:

- დამოუკიდებელი ინსპექტორის დამოუკიდებლობის მყარი გარანტიების შექმნა საკანონმდებლო დონეზე, რაც დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშვნის წესის შეცვლას მოიაზრებს;
- დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაუმჯობესება, რაც სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესის შეცვლას (სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ნაცვლად დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობისა) გულისხმობს;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეთიკის წესების დამტკიცება, ეთიკის წესების კომენტარების მომზადება და ეთიკის წესებზე არსებული სწავლების მოდულის განახლება;
- მოსამართლეთათვის კონფიდენციალური კონსულტაციის მექანიზმის შექმნა და დანერგვა;
- სისტემაში კორუფციის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, სათანადო სამუშაოების შესრულება;
- დისციპლინური სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამის შემუშავება და დანერგვა.

მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მდგომარეობა<sup>150</sup>



150 ამ გრაფიკზე ნაჩვენებია მხოლოდ ამ მონიტორინგის პერიოდში შეფასებული აქტივობების შესრულების სტატუსი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა  
და ინსტიტუციური მოწყობა

## სასამართლო რეფორმების შედეგები და არსებული გამოწვევები

იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირების მთავარი კონსტიტუციური ორგანოა. საქართველოს კონსტიტუციაში ჩამოთვლილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ისეთი კონკრეტული ამოცანები, როგორცაა საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის, აგრეთვე, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების უზრუნველყოფა. კონსტიტუცია ასევე ადგენს, რომ საბჭო შესაძლოა ასრულებდეს სხვა ამოცანებსაც, ხოლო საბჭოს საქმიანობის წესი და, შესაბამისად, ამ დამატებითი ამოცანების ჩამონათვალი ორგანული კანონით განისაზღვრება.<sup>151</sup> გამოწვევად რჩება საბჭოს საქმიანობის რიგი ასპექტების ორგანული კანონის დონეზე მოუწესრიგებლობაც, რაც საბჭოს ფართო დისკრეციას და, შესაბამისად, თვითნებობის შესაძლებლობას ანიჭებს.<sup>152</sup>

საბჭოს საქმიანობის რეფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო მართლმსაჯულების რეფორმის „პირველი ტალღა“, რომლის შედეგადაც არსებითად შეიცვალა საბჭოს დაკომპლექტების წესი.<sup>153</sup> კერძოდ, მოსამართლე წევრების არჩევის შემთხვევაში, დადგინდა, რომ მათ ირჩევს პირდაპირ მოსამართლეთა კონფერენცია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კი, ჩამოერთვა კანდიდატების წარდგენის ექსკლუზიური უფლებამოსილება. განისაზღვრა, რომ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ წევრთაგან, სამზე მეტი არ შეიძლება იყოს კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე. ასევე, დადგინდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს სადისციპლინო კოლეგიის წევრი, რაც ამ ორ ინსტიტუტს შორის მკაფიო მიჯნის გავლენას ემსახურებოდა და შესაბამისად, დადებითად უნდა შეფასდეს.<sup>154</sup>

რაც შეეხება არამოსამართლე წევრების არჩევის წესს, რეფორმის „პირველ ტალღამდე“ პარლამენტი საბჭოს წევრად 3 დეპუტატს ნიშნავდა, ხოლო მეოთხე წევრი სავალდებულო – თანამდებობრივი კვოტით ხდებოდა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. რაც შეეხება პრეზიდენტს, ის ნიშნავდა 2 არამოსამართლე წევრს. რეფორმის „პირველი ტალღის“ შედეგად, ექვსივე წევრის და-

151 საქართველოს კონსტიტუცია, 64-ე მუხლი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eWNs8l>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

152 კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ პარლამენტს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგულირებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადებით 2018 წლის მაისში მიმართა [ვრცლად განცხადება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Yu1gS4>; წვდომის თარიღი: 14.04.2020], რომელთა ნაწილიც, სასამართლო სისტემის „მეოთხე ტალღის“ შედეგად, გათვალისწინებულ იქნა ორგანულ კანონში, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი კვლავაც საკანონმდებლო რეგულირების მიღმა რჩება. მაგალითისათვის: საბჭოს სხდომების დახურვის წესი, საბჭოს მიერ მიღებული ყველა ტიპის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და სხვ.

153 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 01/05/2013, 580-ილ, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RDJFTn>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

154 იხ. 47-ე მუხლში შესული ცვლილებები, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 01/05/2013, 580-ილ, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RDJFTn>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ნიშვნა პარლამენტის უფლებამოსილებაში გადავიდა. თუმცა, „პირველი ტალღის“ შემდეგ, 2013 წლის პირველ ნოემბერს, საკონსტიტუციო ცვლილებების ასახვის მიზნით ორგანულ კანონში შეტანილი შესწორების თანახმად, პრეზიდენტს ისევ დაუბრუნდა საბჭოს არამოსამართლე წევრის პოზიციაზე ერთი კანდიდატის განწესების უფლება. შესაბამისად, პარლამენტის მიერ საბჭოში განწესდება 5 არამოსამართლე წევრი, ხოლო ერთს პრეზიდენტი ნიშნავს.

რაც შეეხება პარლამენტის მიერ არამოსამართლე წევრების შერჩევის პროცესს, რეფორმის „მეორე ტალღით“ დადგინდა კონკურსის გზით კანდიდატთა შერჩევის წესი, რომელიც გამორიცხავს არჩეულ პირთა პოლიტიკურ მიკუთვნებულობას რომელიმე პარტიისადმი, ან/და მათ პარლამენტის წევრობას. ასევე, „მეორე ტალღით“ დადგინდა კანდიდატის ასარჩევად საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით არჩევის წესი. აგრეთვე დაწესდა პროფესიული ცენზი და განისაზღვრა საბჭოს წევრობის კანდიდატის დასახელებაზე უფლებამოსილ პირთა წრე.<sup>155</sup> სამოქალაქო სექტორმა აღნიშნული ცვლილება, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პოლიტიკური გავლენებისაგან გათავისუფლებისაკენ წინგადადგმული ნაბიჯი, დადებითად შეაფასა.<sup>156</sup> მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეფორმის შედეგად განისაზღვრა საბჭოს წევრად (როგორც მოსამართლე, ისე არამოსამართლე წევრად) ერთი და იმავე პირის ზედმიხედ ორჯერ არჩევის აკრძალვა.<sup>157</sup>

საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის მიერ საბჭოს არამოსამართლე წევრების შერჩევისთვის გამოცხადებული კონკურსი, გამჭვირვალედ არ წარმართულა. სამოქალაქო სექტორის რეკომენდაციების მიუხედავად, პარლამენტში კანდიდატებთან გასაუბრება დახურულ ფორმატში მიმდინარეობდა, შესაბამისად, საზოგადოებას ამ პროცესისათვის თვალის მიდევნების შესაძლებლობა არ მისცემია.<sup>158</sup> აქედან გამომდინარე, „პირველი ტალღის“ მიღების შემდგომი პერიოდიდანვე გაჩნდა ნიშნები, რომ ვერც ახალმა ხელისუფლებამ გამოავლინა მტკიცე პოლიტიკური ნება სასამართლო სისტემაში რეალური და თანმიმდევრული ცვლილებების გასატარებლად. ხოლო ხელისუფლების თანდათანობით მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლამ, მოსამართლეთა კორუპციაში არსებულ

155 იხ. 47-ე მუხლში შესული ცვლილებები, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონი, 01/05/2013, 580-III, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RDJFTn>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

156 „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, სასამართლო სისტემის მდგომარეობა (2012-2016), 2016, გვ. 6, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35hh1gn>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

157 იხ. 47-ე მუხლში შესული ცვლილებები, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონი, 01/05/2013, 580-III, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RDJFTn>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

158 „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის სამწლიანი შემაჯამებელი ანგარიში (2012-2014), 2015, გვ. 24, [ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2b9o0zW>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ე.წ. „გავლენიან ჯგუფთან“, სასამართლო სისტემა, შიდა დამოუკიდებლობის კუთხით, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა.<sup>159</sup>

რეფორმის „მეორე ტალღა“ უვადო განწესების ზოგადი წესის დადგენასა და პირველად დანიშნულ მოსამართლეთათვის გამოსაცდელი ვადის ინსტიტუტის შემოღებას ეხებოდა. ამ ახალი ინსტიტუტის დასაწესებლად, საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებში საჭირო გახდა შესაბამისი ცვლილებების ასახვა.<sup>160</sup> იქიდან გამომდინარე, რომ ზემოაღნიშნული რეფორმა საბჭოს მოწყობისა და საქმიანობის მიმართულებით ღრმა ინსტიტუციურ ცვლილებებს არ მოიაზრებდა, აღნიშნული საკითხები დეტალურადაა განხილული წინამდებარე ანგარიშის თავში – „მოსამართლეთა შერჩევა, დანიშვნა და სხვა საკადრო საკითხები“.

სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღით“ შემცირდა პარლამენტის მიერ საბჭოს არამოსამართლე წევრის არჩევისთვის საჭირო ხმათა რაოდენობა. კერძოდ, სრული შემადგენლობის 2/3-ის ნაცვლად, საკმარისად ჩაითვალა უბრალო უმრავლესობით არჩევა.<sup>161</sup> აღნიშნული ცალსახად უარყოფითად შეფასდა, რადგან ამ შემთხვევაში არ დგება არასახელისუფლებო პოლიტიკური ძალების მონაწილეობის საჭიროება, რაც კონსენსუსის პრინციპს სრულად ეწინააღმდეგება. შესაბამისად, გარანტია იმისა, რომ საბჭოში დანიშნული პირი კონკრეტული პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი არ იქნება, საკანონმდებლო დონეზე შესუსტდა.<sup>162</sup>

159 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, 2017, გვ. 10, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bdyGrp>; წვდომის თარიღი: 14.04.2020]; ასევე, გარდა ზემოთ განხილული საბჭოს არამოსამართლე წევრების შერჩევა/დანიშვნის პროცესისა, 2013 წლის მაისი-ივლისის პერიოდში, საბჭოს ახალი მოსამართლე წევრების ასარჩევად გამართული არჩევნები, სასამართლო სისტემაში ძალთა გადანაწილებისა და, შესაბამისად, საბჭოს რეფორმის პრაქტიკაში გამოსაცდელად, ასევე გარდამტეხი აღმოჩნდა. სწორედ ამ ორ პროცესს და, შესაბამისად, პერიოდს უკავშირდება ძალაუფლების მოსამართლეთა ერთი – გავლენიანი ჯგუფის ხელში მოქცევა, რამაც ამ ჯგუფს სასამართლოს ადმინისტრირების, ფაქტობრივად, უკონტროლო ძალაუფლება შესძინა. სამოქალაქო სექტორი, წლების განმავლობაში მიუთითებს, რომ ამ პერიოდთან დაკავშირებული, მოსამართლეთა კორუფტული კრიტიკული აზრი თანდათანობით გაქრა. 2013 წლის შემდეგ ჩატარებული მოსამართლეთა ყველა კონფერენცია, რომლებზედაც გადანაცვლებები ყოველგვარი დისკუსიის გარეშე, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღება, იმის ნათელი დასტურია, რომ არაქანსადი გავლენების შედეგად, მოსამართლეთა კორუფტული თანდათანობით ჩაიკეტა და მონოლითური გახდა. იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რიგითი მოსამართლისათვის „გავლენიანი ჯგუფისადმი“ ლოიალობის გამოჩენა, საბჭო წლების განმავლობაში აქტიურად იყენებდა მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში კანდიდატების მიმართ შერჩევით მიდგომას, ხოლო მოსამართლეთა საქმიანობის განხორციელებისას – სხვადასხვა დისციპლინურ მექანიზმს. ვრცლად იხ. „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, მოსაზრება მათა ბაქრაძის სარჩელთან დაკავშირებით“, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YbCPSr>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

160 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 01/08/2014, 2647-რს, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34BqdmI>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

161 იხ. 47-ე მუხლის მე-5 პუნქტში შესული ცვლილება, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 08/02/2017, 255-III, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yflzoi>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].

162 „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, სასამართლო სისტემის მდგომარეობა (2012-2016), 2016, გვ. 10, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35hh1gn>; წვდომის თარიღი: 14.04.2020]; ასევე, იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, 2017, გვ. 11-12, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bdyGrp>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

ასევე, „მესამე ტალღის“ რეფორმის შედეგად, საქართველოს საერთო სასამართლოების ადმინისტრირებასა და მენეჯმენტზე ზედამხედველობის განსახორციელებლად, შეიქმნა მენეჯმენტის დეპარტამენტი. „მესამე ტალღით“ მოწესრიგდა საბჭოს წევრის აცილების საკითხიც და კანონმა გაითვალისწინა საბჭოს წევრის ვალდებულება, წინასწარ განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ და მონაწილეობა არ მიიღოს შესაბამისი კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში. ცვლილებებმა გაითვალისწინა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულება, საბჭოს ვებგვერდზე განათავსოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საბჭოს შემადგენლობის ცვლილებასთან ან მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, აგრეთვე, ინფორმაცია მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და მისი შედეგების შესახებ. ამასთან, განისაზღვრა საბჭოს ვალდებულება, სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 7 დღით ადრე უზრუნველყოს სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება.<sup>163</sup>

2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად კონსტიტუციის დონეზე: (1) განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების შედარებით დეტალური წესი; (2) შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესი; (3) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ინსტიტუტს მიენიჭა კონსტიტუციური თანამდებობის სტატუსი; (4) განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიშვალდებულება მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე; (5) დაზუსტდა უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური უფლებამოსილებების ჩამონათვალი.<sup>164</sup>

რეფორმის „მეოთხე ტალღის“ შედეგად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს დაეკისრა ვალდებულება, საბჭოს საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიში წარუდგინოს მოსამართლეთა კონფერენციას.<sup>165</sup> ცვლილება შევიდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესშიც. კერძოდ, საბჭოში ყველა ინსტანციის სასამართლოს სრულყოფილად წარმოსადგენად, დადგინდა მოთხოვნა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს – მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული საბჭოს 8 წევრიდან თითო წევრი

163 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 08/02/2017, 255-ლს, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yf1zoi>]; წვდომის თარიღი: 14.04.2020]. ამ რეფორმის შედეგად ასევე შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი (იხ. წინამდებარე ანგარიშის თავი – „მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმა“).

164 საქართველოს კონსტიტუცია, 64-ე მუხლი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eWNs8l>]; წვდომის თარიღი: 14.04.2020], ასევე იხ. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 97, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>]; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

165 ანგარიში მტკიცდება ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით და ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე. იხ. 47-ე მუხლის 1' პუნქტი შესული ცვლილება, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 13/12/2019, 5569-ლს, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V8oVoQ>]; წვდომის თარიღი: 14.04.2020].



მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი თითოეული ინსტანციის სასამართლოდან. გარდა ამისა, განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლების მქონე სუბიექტი, ასევე, განახლდა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის წესი.<sup>166</sup>

„მეოთხე ტალღით“ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების საჯაროობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, დადგინდა საბჭოს სხდომის ოქმების საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება. თუკი მანამდე საბჭო ვალდებული იყო, სხდომის გამართვამდე არანაკლებ 7 სამუშაო დღით ადრე გამოეყვეყნებინა თავის ვებ-გვერდზე სხდომის თარიღი და დღის წესრიგი, ცვლილებებით ეს ვადა 3 სამუშაო დღემდე შემცირდა. ამავდროულად, გამონაკლისი სახით დადგინდა, რომ სხდომის გამართვამდე არანაკლებ 7 დღით ადრე გამოქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განსახილველი ნორმატიული აქტის პროექტი.<sup>167</sup> აღნიშნული ჩანაწერი პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რადგან ნორმატიული აქტის პროექტის გაცნობა უფრო მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე სტანდარტულ შემთხვევაში საბჭოს სხვა საორგანიზაციო საკითხების შესახებ გასამართი სხდომების დღის წესრიგის და სხვა რელევანტური მასალის გაცნობას სჭირდება. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში ასევე მოხდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აქტების კატეგორიზაცია ინდივიდუალური და ნორმატიული ხასიათის მქონე აქტებად.<sup>168</sup>

კონსტიტუციური ცვლილებებისა და რეფორმის ოთხი ტალღის მიუხედავად, არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს პირობებში კვლავ რჩება შემდეგი გამოწვევები:<sup>169</sup>

- კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას, მოსამართლე ერთდროულად იყოს საბჭოს წევრიც და იკავებდეს ისეთ ადმინისტრაციულ თანამდებობას, როგორცაა სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე ან/და სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, რაც ხელს უწყობს ამ პირების ხელში დიდი ძალაუფლების თავმოყრას; ორგანული კანონი ადგენს შეზღუდვას, რომ ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირების რიცხვი საქართველოს მოსამართლეთა კონფე-

166 იხ. 47-ე მუხლის 2-2<sup>1</sup> პუნქტებში შესული ცვლილებები, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 13/12/2019, 5569-ის, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V8oVoQ>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

167 იხ. 49-ე მუხლის მე-4 პუნქტში შესული ცვლილებები, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 13/12/2019, 5569-ის, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V8oVoQ>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

168 იხ. ცვლილების საფუძველზე 47-ე მუხლში დამატებული 16<sup>1</sup>-16<sup>2</sup> პუნქტები, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 13/12/2019, 5569-ის, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V8oVoQ>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

169 ამ მიგნებების უმეტესი ნაწილი შეესაბამება პირველ საანგარიშო პერიოდში პროექტის გუნდის მიერ გამოვლენილ გამოწვევებს; იხ. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 95-96, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

რენციის მიერ არჩეულ წევრთა ნახევარს არ უნდა აღემატებოდეს;<sup>170</sup> ამავდროულად, მოსამართლე წევრთა შერჩევა იმგვარად არის მოწესრიგებული კანონით, რომ მათი ნახევარის შერჩევას, უპირატესობა ენიჭებათ სწორედ ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფ პირებს. შესაბამისად, კანონმდებლობა გარკვეულწილად ახდენს საბჭოში ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირთა კვოტირებას და ამ პირებს სხვა მოსამართლეებთან შედარებით პრივილეგიურულ პოზიციაში აყენებს;<sup>171</sup>

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.<sup>172</sup> მიუხედავად იმისა, რომ „მეთხე ტალღით“ მოხდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტების კატეგორიზაცია, კანონით არ არის განსაზღვრული საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ფარგლები, წესი და პროცედურა (გარდა ზოგიერთი საკადრო გადაწყვეტილებისა), რაც პრაქტიკულად კონტროლს მიღმა ტოვებს საბჭოს გადაწყვეტილებების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებას;
- არსებული საკანონმდებლო ჩარჩო არ ითვალისწინებს რიგი მნიშვნელოვანი საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულებას; მეთხე ტალღით განისაზღვრა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულება დაასაბუთოს მიღებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები; საბჭოს ინდივიდუალური აქტი უნდა შეიცავდეს მისი გამოცემის ფორმალურ საკანონმდებლო საფუძვლებს; თუმცა საკანონმდებლო ჩანაწერი არ შეიცავს მითითებას გამოცემული აქტის შინაარსობრივ და თვისებრივ დასაბუთებულობაზე;
- კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების მიუხედავად, უმეტეს შემთხვევებში, შესაბამისი ვადის დაცვით არ ქვეყნდება ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის თარიღისა და დღის წესრიგი შესახებ, აგრეთვე არ არის ხელმისაწვდომი საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების თაობაზე მომზადებული პროექტები/მასალები;
- მოუწესრიგებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის დახურვის პროცედურები. მოსამართლეობის კანდიდატებთან და უვადოდ გადასანიშნ მოსამართლეებთან, საბჭოს რეგლამენტის თანახმად, გასაუბრებები ტარდება დახურულ რეჟიმში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ თავად მოსამართლეობის კანდიდატი ან მოქმედი მოსამართლე არ გამოთქვამს თანხმობას დაინტერესებული პირების დასწრებაზე;

170 იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

171 იქვე, 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

172 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება, გარდა კოდექსის მესამე თავისა (ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმებისა) არ ვრცელდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KHblmh>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

- კანონმდებლობით დაურეგულირებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას დამსწრე პირების მიერ მოსაზრებების გამოხატვის წესი/შესაძლებლობა;
- მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს სხდომაზე დასწრება უზრუნველყოფილია, როგორც დაინტერესებული პირებისათვის, ისე მედიის წარმომადგენლებისათვის, ვიდეოგადაღება მხოლოდ სხდომის გახსნის ეტაპზე დაიშვება;<sup>173</sup>
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შესაბამისად, უკანასკნელი წლების განმავლობაში ხელმისაწვდომია მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების აუდიოჩანაწერები; ისეთ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი (მაგალითისათვის, მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესის მსვლელობისას), მნიშვნელოვანია საბჭოს სხდომის ვიდეო ჩანერის/პირდაპირი ტრანსლაციის უზრუნველყოფა.

## სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის და ინსტიტუციური მოწყობის თაობაზე, სასამართლო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროგრამები დიდწილად პასუხობდა 2017 წელს არსებულ გამოწვევებს. თუმცა, სამწუხაროა, რომ ეს გამოწვევები დღემდე აქტუალურია და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უწყებების უმოქმედობის გამო, მათი უმეტესი ნაწილი დღემდე შეუსრულებელია. საერთო ჯამში, პირველ საანგარიშო პერიოდში, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციურ მოწყობასა და საბჭოს საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებული 12 აქტივობა შეფასდა, საიდანაც 3-ს – შესრულებულის, 5-ს – ნაწილობრივ შესრულებულის და 4-ს – შეუსრულებლის სტატუსი მიენიჭა.<sup>174</sup> ეს თავი აფასებს სწორედ იმ 9 აქტივობას, რომელთაც წინა საანგარიშო პერიოდში შეუსრულებლის ან ნაწილობრივ შესრულებულის სტატუსი მიენიჭა.

173 დამატებით, საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ლაივ რეჟიმში გადაიყვება საბჭოს შენობაში დამონტაჟებული მონიტორის საშუალებით.

174 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 108, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

## 1.1.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნა

1.1.2.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის, შემადგენლობის, წევრების არჩევა/დანაშვინის კრიტერიუმებისა და პროცედურების განახლება (2017-2018) – **ნაწილობრივ შესრულებული**

1.1.2.2. საბჭოს წევრების თანდათანობითი განახლების მიზანშეწონილობის კვლევა და საჭიროებისამებრ ამ პრინციპის დანერგვა (ინსტიტუციური მესხიერების განგრძობადობისთვის) (2017-2018) – **შესრულებული**

1.1.2.3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებისთვის ფუნქციური იმუნიტეტით და სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა (2018) – **ნაწილობრივ შესრულებული**

1.1.2.4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის, მათ შორის, გადაწყვეტილებების მიღების, დასაბუთების და გამოქვეყნების პროცედურების გაუმჯობესება (2018) – **ნაწილობრივ შესრულებული**

1.1.2.5. საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის განახლება და დამტკიცება (2018) – **ნაწილობრივ შესრულებული**

1.1.2.6. ექსპერტის მიერ ორგანულ კანონში ცვლილებებსა და წინადადებებზე მოსაზრებების მომზადება (2018) – **შესრულებული**

1.1.2.1. – 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, კონსტიტუციის დონეზე განისაზღვრა საბჭოს პარლამენტის მიერ არჩეული არამოსამართლე წევრების ხმათა სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მესხეთედის უმრავლესობით არჩევის წესი. კონსტიტუციის ახალი რედაქციით ასევე გაიწერა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის თანამდებობებზე განწესების წესი. შესაბამისად, აქტივობის ის ნაწილი, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესისა და შემადგენლობის განახლებას გულისხმობდა, ჯერ კიდევ პირველ საანგარიშო პერიოდში ჩაითვალა შესრულებულად. თუმცა, ისევე როგორც პირველ საანგარიშო პერიოდში, დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება უშუალოდ დაკომპლექტების პროცესი, რომელიც, უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩატარებული მონიტორინგით დაგროვილი გამოცდილებით, შეიძლება ითქვას, რომ ხარვეზიანია.<sup>175</sup>

175 როგორც წესი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევა გაუმჭვირვალე პროცედურით მიმდინარეობს და საზოგადოებისთვის უცნობია კანდიდატების ხედვა მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ მდგომარეობასთან, მიღწევებთან და გამონწვევებთან დაკავშირებით. იხ. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 99, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020]. ასევე იხ. კოალიცია საბჭოს განახლებულ შემადგენლობას მიმართავს, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bH4Agh>; წვდომის თარიღი: 14.04.2020]; კოალიციის მიმართ-

მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი ამ აქტივობის შესრულების სტატუსის განსაზღვრად გადამისამართებას აკეთებს 1.1.1.7. აქტივობის კომენტარზე.<sup>176</sup> კერძოდ, აქტივობაზე, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობის, სტატუსის, კომპეტენციის, დაკომპლექტების წესისა და მისი ანგარიშვალდებულების განსაზღვრის ვალდებულებას ადგენს. ეს აქტივობა წინა საანგარიშო პერიოდში შესრულდა.<sup>177</sup> სამოქმედო გეგმაში ამ ორი აქტივობის ცალ-ცალკე გამოყოფა იმას ნიშნავს, რომ ეს ორი დამოუკიდებელი პროცესია, რომელიც, მართალია, ერთმანეთთან დაკავშირებულია, თუმცა ერთი მეორეს სრულად არ ფარავს. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ, ერთი აქტივობიდან მეორე, წარსულში შესრულებულ აქტივობაზე, გადამისამართების პრაქტიკა, მაშინ როცა ძირითად აქტივობასთან დაკავშირებული ქმედითი და სისტემური ნაბიჯები არ გადადგმულა, გაუმართლებელია.

პრობლემურია საკანონმდებლო ჩანაწერიც, რომელიც უშვებს შესაძლებლობას, მოსამართლე ერთდროულად იყოს საბჭოს წევრიც და იკავებდეს ისეთ ადმინისტრაციულ თანამდებობას, როგორცაა სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე ან/და სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, რაც ხელს უწყობს ამ პირების ხელში დიდი ძალაუფლების თავმოყრას; ორგანული კანონი ადგენს შეზღუდვას, რომ ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირების რიცხვი საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ წევრთა ნახევარს არ უნდა აღემატებოდეს;<sup>178</sup> ამავე დროს, მოსამართლე წევრთა შერჩევა კანონით იმგვარად არის მოწესრიგებული, რომ მათი ნახევარის შერჩევისას, უპირატესობა სწორედ ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფ პირებს ენიჭებათ. შესაბამისად, კანონმდებლობა გარკვეულწილად ახდენს საბჭოში ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირთა კვოტირებას და ამ პირებს სხვა მოსამართლეთაგან შედარებით, პრივილეგირებულ პოზიციაში აყენებს;<sup>179</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემაზე სამოქალაქო სექტორი მრავალი წელია მიუთითებს, არც ამ აქტივობის შესრულების პროცესში ყოფილა გათვალისწინებული ამ საკითხის ახლებური მოწესრიგება, მიუხედავად იმისა, რომ აქტივობის ზოგადი ფორმულირება საბჭოს, როგორც პასუხისმგებელ უწყებას, საშუალებას აძლევდა, ამ და სხვა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო თუ პროცედურული ხარვეზების აღმოფხვრაზე ებრუნა.

ვა მოსამართლეთა რიგვარზე კონფერენციას, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eYCFKT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

176 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 9-10, მოგვეწვდოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

177 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 97, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

178 იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

179 იქვე, 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

აღსანიშნავია, რომ საბჭო ჯერ კიდევ პირველ საანგარიშო პერიოდში მიუთითებდა, რომ მიმდინარეობდა მუშაობა ევროპული ქვეყნების პრაქტიკის კვლევაზე საბჭოს წევრების არჩევის/დანიშვნის კრიტერიუმების, პროცედურებისა და წევრების თანდათანობითი განახლების შესახებ. თუმცა, მეორე საანგარიშო პერიოდში მიღებული საჯარო ინფორმაცია არ შეიცავს მონაცემებს შესაბამისი სამუშაო ჯგუფის შეკრებისა და დოკუმენტის მომზადების შესახებ.<sup>180</sup> ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს.

**1.1.2.2.** – ჯერ კიდევ პირველ საანგარიშო პერიოდში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მონოდებული წერილები<sup>181</sup> მიუთითებდა, რომ მიმდინარეობდა მუშაობა საბჭოს წევრების თანდათანობითი განახლების მიზანშეწონილობის კვლევაზე,<sup>182</sup> თუმცა საზოგადოება კვლევის მიგნებებს ამ დრომდე არ გასცნობია და არც ამ საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვილი წერილები შეიცავს მონაცემებს ამ აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით, მათ შორის, არც საბჭოს წარმოდგენია კვლევის პროექტი.<sup>183</sup> აღსანიშნავია, რომ მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი არაფერს ამბობს აღნიშნული აქტივობის შესრულების მდგომარეობის შესახებ.<sup>184</sup> შესაბამისად, ეს აქტივობა კვლავაც შეუსრულებლად უნდა ჩაითვალოს.

**1.1.2.3.** – მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების ფუნქციური იმუნიტეტი და სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველსაყოფად, პირველმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა ორი პროექტი, რომლებიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას ითვალისწინებს.<sup>185</sup> პროექტის მომზადებაზე მიუთითებდა ასევე პირველი პროგრესის ანგარიშიც, თუმცა ამ დრომდე უცნობია, როდის იგეგმება მითითებული პროექტების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განხილვა და პარლამენტისათვის საკანონმდებლო წინადადების სახით წარდგენა. ინფორმაციას

180 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/1498-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო და №241/667-03-ო წერილები.

181 იქვე.

182 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 18 სექტემბრის წერილი №1935/2675-03-ო.

183 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/1498-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო და №241/667-03-ო წერილები.

184 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 10, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

185 იქვე.

ამის შესახებ არც საბჭოდან მიღებული წერილები შეიცავს.<sup>186</sup> შესაბამისად, ეს აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

**1.1.2.4.** – მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი ასევე მიუთითებს სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში სარეფორმო ჯგუფის მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლის თანახმადაც დადგინდა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის, აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა უვადოდ განწესების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებისა და გამოქვეყნების ვალდებულება.<sup>187</sup> ამასთან, მოხდა საბჭოს აქტების კატეგორიზაცია (იხ. ვრცლად ზემოთ) და ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების რეგულირება.<sup>188</sup> ამ აქტივობასთან კავშირში მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი, ასევე, მიუთითებს მეოთხე ტალღამდე 2019 წლის მაისში ორგანულ კანონში განხორციელებულ ცვლილებებზე, რომლის თანახმადაც მოწესრიგდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცესში ინტერესთა შეუთავსებლობასთან დაკავშირებული წესები.<sup>189</sup>

მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების პროცედურის გაუმჯობესების მიზნით საბჭოს რეგლამენტში 2018 წლის ივლისში შეტანილი ცვლილების თანახმად, დადგინდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში, ხოლო გადაწყვეტილებების კონსოლიდირებული სახით ვებგვერდზე განთავსების ვალდებულება – შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 14 დღის ვადაში.<sup>190</sup> მნიშვნელოვანია „მეოთხე ტალღის“ თანახმად დადგენილი საკანონმდებლო გარანტიები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის გამართვამდე არანაკლებ სამი დღით ადრე, სხდომის გამართვის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსების, ხოლო ნორმატიული აქტის პროექტის შვიდი დღით ადრე გასაჯაროების ვალდებულების შესახებ.<sup>191</sup>

186 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/1498-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო და №241/667-03-ო წერილები.

187 საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 12.06.2019, მუხლი 1, პუნქტები 2-3, 5.

188 იქვე, პუნქტი 4.

189 იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 01.05.2019 [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aQ1x3W>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

190 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 2 ივლისის №1/226 გადაწყვეტილება „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

191 საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 12.06.2019, მუხლი 1, პუნქტი 7.

თუმცა, რეფორმის ოთხი ტალღისა და რიგი პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესებისათვის გადადგმული ნაბიჯები სრულყოფილად ვერ ჩაითვლება. კერძოდ, მიუხედავად გადაწყვეტილებების/გადაწყვეტილების პროექტების/საბჭოს სხდომის დღის წესრიგის საჯაროობის შესახებ არსებული საკანონმდებლო გარანტიებისა, ეს საკითხები პრაქტიკაში კვლავ პრობლემურია. ასევე, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებისა და გასაჩივრების მექანიზმების მომწესრიგებელი ნორმები სრულყოფილი არ არის და არ ვრცელდება საბჭოს ყველა გადაწყვეტილებაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს.

**1.1.2.5.** აქტივობასთან დაკავშირებით, პროგრესის მეორე ანგარიში მიუთითებს საბჭოს წევრებსა და ექსპერტს შორის გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელ წესებს ეხებოდა და რომელზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობითაც, ექსპერტმა საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოში განსახორციელებელ ცვლილებათა პროექტზე დასკვნა მოამზადა. თუმცა, ეს დასკვნა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არ არის. მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, რეგლამენტში ცვლილებების მომზადება იგეგმებოდა „მეოთხე ტალღის“ კანონპროექტების მიღების შემდეგ.<sup>192</sup> თუმცა, ცვლილებები დღემდე არ მიუღიათ. შესაბამისად, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

**1.1.2.6.** როგორც წინა აქტივობის კომენტარშიც არის მითითებული, ექსპერტმა მოამზადა დასკვნა კანონის პროექტებთან დაკავშირებით, შესაბამისად აქტივობა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტის დასკვნა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არ არის, შეუძლებელია დადგინდეს მასში მოცემული შეფასების შინაარსი. შესაბამისად, კრიტიკული დასკვნის არსებობის შემთხვევაშიც კი პასუხისმგებელი უწყების მიერ ექსპერტის მოსაზრებების გაზიარების ფაქტი საჯარო კონტროლს მოკლებულია.

## 1.4.1. სასამართლოს სისტემის შიგნით ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვის მექანიზმების გაძლიერება

*1.4.1.4. წინადადების მომზადება, რომელიც გაითვალისწინებს რეგიონის მოსამართლეების ჩართულობის გაზრდას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში (2017-2018) – ნაწილობრივ შესრულებული*

<sup>192</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 12, მოწოდებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.



**1.4.1.4.** – წინა საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულების შესრულებაზე მსჯელობისას გადამისამართებას აკეთებდა 1.1.3.2. აქტივობის (სასამართლოსთან დაკავშირებული კანონმდებლობის განვითარების პროცესში მოსამართლეთა ჩართულობის მექანიზმის დახვეწა) ფარგლებში,<sup>193</sup> 2018 წლის 21 მაისის სხდომაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ამ გადაწყვეტილების თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი საკითხები, თანდართულ მასალებთან ერთად, უნდა ეცნობოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, რომლებიც მასთან დაკავშირებით, საბჭოს წარუდგენენ შენიშვნებსა და წინადადებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.<sup>194</sup> საყურადღებოა, რომ, როგორც პირველ ჩრდილოვან ანგარიშშიც იყო მითითებული, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არაერთხელ გაცხადდა ის გარემოება, რომ ორშაბათობით ჩასატარებელი სხდომის დღის წესრიგის შეთანხმება და ფორმირება პარასკევამდე ვერ ხერხდება. შესაბამისად, ისევე როგორც პირველ საანგარიშო პერიოდში, დღემდე ბუნდოვანია, 21 მაისის გადაწყვეტილებით დადგენილი წესის თანახმად, რამდენად შესაძლებელია დროის მცირე შუალედში, მოსამართლეთა დატვირთულობის გათვალისწინებით, სხდომის მასალების სრულად გაცნობა და შესაბამისი შენიშვნების/პოზიციების მომზადება.<sup>195</sup> სწორედ ამ გარემოებების გამო შეფასდა ეს აქტივობა წინა საანგარიშო პერიოდში ნაწილობრივ შესრულებულად. რადგანაც, არც მეორე ანგარიშის პროექტი<sup>196</sup> და არც გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია<sup>197</sup> არ იძლევა მოცემულ საკითხზე დამატებით ინფორმაციას, ეს აქტივობა მეორე საანგარიშო პერიოდშიც ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

## 1.4.2. სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვა ზეგავლენებისგან

*1.4.2.1. სასამართლოს/მოსამართლის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს/საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის დარღვევის, მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა თუ გენოლის შემთხვევებზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის სისტემის კვლევა და მისი შემოღების საჭიროების განსაზღვრა (2017) – ნაწილობრივ შესრულებული*

193 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 – ივნისი 2018, გვ. 13, 24, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epnxFU>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

194 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zGSx4z>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].

195 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 101, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

196 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 18, მოწოდებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

197 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/1498-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო და №241/667-03-ო წერილები.

**1.4.2.1.** პროგრესის პირველი ანგარიშის თანახმად, უცხოელი ექსპერტების მიერ მომზადდა სასამართლოს საქმიანობაში უკანონო ჩარევისა თუ ზენოლის შემთხვევებზე, ევროპის საბჭოს ფარგლებში არსებული სტანდარტის ანალიზი და რეკომენდაციები.<sup>198</sup> აღნიშნული დოკუმენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებს ჯერ კიდევ 2018 წლის 3-4 მაისს გამართულ სამუშაო შეხვედრაზე წარუდგინეს. ჩატარებული კვლევის მიუხედავად, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის და აქტივობაზე პასუხისმგებელი უწყების – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პოზიცია ამ საკითხზე კვლავაც უცნობია. მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი ამ აქტივობასთან დაკავშირებით, კომენტარს საერთოდ არ შეიცავს,<sup>199</sup> ხოლო გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის წერილებით ირკვევა, რომ მეორე საანგარიშო პერიოდში, შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით შესაბამისი სისტემის შემოღების საჭიროების განსახილველად, არ შეკრებილა.<sup>200</sup> შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ კვლევა ჩატარდა, მაგრამ კვლევის ფარგლებში მომზადებულ რეკომენდაციებზე მსჯელობის შედეგად, მოსამართლის/იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის დარღვევის, მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა თუ ზენოლის შემთხვევებზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის ახალი სისტემის შემოღების საკითხზე მსჯელობა არ გამართულა, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს.

## 4.3.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმის გატარება

*4.3.2.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ორგანიზაციული მოწყობის ფუნქციური ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და დანერგვის გეგმის განერა (2018) – შესრულებული*

**4.3.2.1.** – ისევე როგორც პირველ საანგარიშო პერიოდში, ქვეთავის მიზნებიდან გამომდინარე, ამ აქტივობის ფარგლებში წინამდებარე ანგარიში მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული მოწყობის ნაწილს აფასებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო-

198 კვლევა მომზადდა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, ვრცლად იხ. სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 – ივნისი 2018, გვ. 15, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epnxFU>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

199 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 18, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

200 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/1498-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო და №241/667-03-ო წერილები.

დან პირველ საანგარიშო პერიოდში გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, აქტივობა არ შესრულებულა.<sup>201</sup> აღსანიშნავია, რომ არც მეორე საანგარიშო პერიოდის საჭარო ინფორმაციის წერილებზე პასუხები<sup>202</sup> და არც მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი<sup>203</sup> არ შეიცავს ინფორმაციას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული მოწყობის ფუნქციური ანალიზის, რეკომენდაციების შემუშავებისა და დანერგვის გეგმის განერის მიზნით, საბჭოს მიერ შესრულებული ან/და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. შესაბამისად, აქტივობა მეორე საანგარიშო პერიოდშიც შესრულებლად უნდა ჩაითვალოს.

## შეჯამება

მონიტორინგის პროცესში სამოქმედო გეგმით უკვე გათვალისწინებული აქტივობების შესრულების კუთხით მრავალი ხარვეზი გამოიკვეთა, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა საკითხებს დაფარავს ახალი სამოქმედო გეგმა. რადგანაც დაინტერესებულ პირთათვის ჯერჯერობით მხოლოდ ახალი სამოქმედო გეგმის პროექტია ხელმისაწვდომი, შეუძლებელია დარწმუნებით ითქვას, მოხვდება თუ არა ახალ სამოქმედო გეგმაში საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია საბჭოს რეფორმირებისათვის, თუმცა კი, მათ 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებდა (მაგალითად, საბჭოს სხდომების დახურვის წესისა და პროცედურების დარეგულირება, საკანონმდებლო დონეზე საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირების მიერ საკუთარი პოზიციების დაფიქსირების შესაძლებლობის განსაზღვრა და ა.შ.). შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შემდგომმა ეტაპმა მოიცვას შემდეგი მიმართულებები:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის, შემადგენლობის, წევრების არჩევა/დანიშვნის კრიტერიუმებისა და პროცედურების შემდგომი დახვეწა;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული და კონსტიტუციური ფუნქციების ამომწურავად გამიჯვნა, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სტანდარტების გამოყენების ვალდებულების დადგენა;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების მიღების, დასაბუთების და გამოქვეყნების პრაქტიკის გაუმჯობესება;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებისათვის მოსამზადებელი პროცედურების შესახებ არსებული საკანონმდებლო რეგულაციების აღსრულების პრაქტიკის დახვეწა;


201 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №2226/3133-03-თ.

202 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/1498-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ და №241/667-03-თ წერილები.

203 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 65, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ წერილით.

- საბჭოს სხდომების დახურვის წესისა და პროცედურების დარეგულირება, ხოლო მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების ღია სხდომაზე ჩატარება;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული მოწყობის ფუნქციური ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და დანერგვის გეგმის განერა;
- საკანონმდებლო დონეზე საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირების მიერ საკუთარი პოზიციების დაფიქსირების პროცედურის დადგენა;
- საბჭოს წევრების თანდათანობითი განახლების მიზანშეწონილობის კვლევა და საჭიროებისამებრ ამ პრინციპის დანერგვა;
- სასამართლოს/მოსამართლის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს/საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის დარღვევის, მათ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა თუ ზენოლის შემთხვევებზე რეაგირებისა და პასუხისმგებლობის სისტემის შემოღების საჭიროების განსაზღვრა;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში რეგიონის მოსამართლეების მონაწილეობის გასაზრდელად, ეფექტიანი მექანიზმების ფორმირება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობისა და ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფის მიზნით, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსი<sup>204</sup>



204 ამ გრაფიკზე ნაჩვენებია მხოლოდ ამ მონიტორინგის პერიოდში შეფასებული აქტივობების შესრულების სტატუსი.

სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა

## სასამართლო რეფორმების შედეგები და არსებული გამოწვევები

სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის მიმართულებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები სასამართლო რეფორმის „პირველი ტალღის“<sup>205</sup> ფარგლებში გადაიდგა. კერძოდ, რეფორმის შედეგად, საკანონმდებლო დონეზე დადგინდა სასამართლოს მიერ სასამართლო პროცესის აუდიო/ვიდეოჩანერის უზრუნველყოფის ვალდებულება და მოთხოვნისთანავე, მხარეებისა და სხვა პირებისათვის აუდიო/ვიდეოჩანანერის ხელმისაწვდომობა.<sup>206</sup> რეფორმის „მეორე ტალღა“<sup>207</sup> სასამართლოს გამჭვირვალობის მიმართულებით ცვლილებებს არ ითვალისწინებდა, ხოლო სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“<sup>208</sup> ფარგლებში, დაინერგა საქმეთა ელექტრონული განაწილების ახალი სისტემა,<sup>209</sup> და კანონის დონეზე გაიწერა ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება.<sup>210</sup>

რაც შეეხება „მეოთხე ტალღას“<sup>211</sup>, საკანონმდებლო ცვლილებები, კონკრეტულად საბჭოს საქმიანობის საჯაროობის მიმართულებით, შეიცავდა ისეთ დანაწესებს, რომლებიც უშუალოდ და დაკავშირებული ზოგადად სასამართლო სისტემის გამჭვირვალობასთან, კერძოდ:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ, მოსამართლეთა კონფერენციისათვის წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშის საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნება;<sup>212</sup>
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების წერილობითი დასაბუთება; იმ პირთათვის, რომელთა კანონიერ ინტერესზე უშუალო გავლენას ახდენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება, აღნიშნული განკარგულების მიღებამდე წერილობითი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობის უზრუნველყოფა;<sup>213</sup>

205 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 01/05/2013, 580-III, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RDJFTn>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

206 იქვე, იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 და 131 მუხლებში შეტანილი ცვლილებები.

207 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 01/08/2014, 2647-რს, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34BqdMI>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

208 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 08/02/2017, 255-III, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yf1zoi>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

209 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 58<sup>1</sup> მუხლი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

210 იქვე, მე-13 მუხლი, 3<sup>1</sup> პუნქტი.

211 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი, 13/12/2019, 5569-ის, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V8oVoQ>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

212 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 47-ე მუხლი, 1<sup>1</sup> პუნქტი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

213 იქვე, 47-ე მუხლი, 16<sup>2</sup> პუნქტი.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ცვლილების შესახებ ინფორმაციის, საბჭოს სხდომების ოქმებისა და საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის, მათ შორის, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილი დასკვნების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციისა და საბჭოს მიერ დისციპლინური დევნის დაწყებისა და დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის, აგრეთვე, მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციის საბჭოს ვებგვერდზე განთავსება;<sup>214</sup>
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, დაინტერესებული პირისათვის, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, საბჭოს სხდომის აუდიოჩანაწერის ხელმისაწვდომობის დაუყოვნებლივი უზრუნველყოფა;<sup>215</sup>
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის გამართვამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე სხდომის გამართვის თარიღისა და სხდომის დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაციის განთავსება;<sup>216</sup>
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის გამართვამდე არანაკლებ 7 დღით ადრე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე სხდომაზე განსახილველი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტის პროექტის გამოქვეყნება;<sup>217</sup>
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ რაიონულ/საქალაქო/სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება.<sup>218</sup>

რეფორმის წარმატებით დაწყების მიუხედავად, „პირველი ტალღის“ შემდეგ გამოჩნდა, რომ ღიაობაზე მზადყოფნის გაცხადებული ნება, პრაქტიკაში არ სრულდებოდა. სამოქალაქო სექტორი წლების განმავლობაში მიუთითებს, რომ სისტემის ჩაკეტილობისა და დახურულ კარს მიღმა არაფორმალური მოლაპარაკებების პრაქტიკა, ერთი მხრივ, მოსახლეობაში აჩენს უნდობლობას სასამართლოს მიმართ, მეორე მხრივ კი, სისტემაში არსებული პრობლემების ღიად წარმოჩენას ართულებს.<sup>219</sup>

რეფორმის ტალღების მიმოხილვის გარდა, სასამართლო სისტემის გამჭვირვალობაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის ივნისის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საქართველოს საკონსტიტუციო

214 იქვე, 49-ე მუხლი, მე-4 პუნქტი.

215 იქვე.

216 იქვე.

217 იქვე.

218 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 36-ე მუხლი, 4<sup>2</sup> პუნქტი, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

219 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, 2017, გვ. 10, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bndyGrp>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

სასამართლომ დაადგინა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე საზოგადოების სრული ხელმისაწვდომობის სტანდარტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადაწყვეტილებაში ასახული ინფორმაციის სენსიტიურობის გათვალისწინებით, პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად აუცილებელია პირის პერსონალური მონაცემების დაფარვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2020 წლის პირველი მაისიდან, სადავო ნორმები ძალადაკარგულად ცნო და საქართველოს პარლამენტს ვადა მისცა საკითხის კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად მოსაწესრიგებლად.<sup>220</sup> სამწუხაროდ, პარლამენტს ამ დრომდე არ მიუღია გადაწყვეტილება საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც სათუოს ხდის ამ ცვლილებების გადაწყვეტილებით დადგენილ ვადებში მოსწრებას.

სასამართლო სისტემის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებოა დღეს არსებული შემდეგი გამოწვევები:

- არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პროფესიულ წრეებთან თანამშრომლობის არათანმიმდევრული პრაქტიკა სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე მუშაობის პროცესში;
- საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობის დონე მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე პროცესების თაობაზე;
- სასამართლოს მიმართ საზოგადოებრივი ნდობის დაბალი ხარისხი;
- სასამართლოს მხრიდან საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეფექტიანი მექანიზმების არარსებობა;
- სასამართლოს გადაწყვეტილებების არასრულყოფილი/ხარვეზიანი გამოქვეყნების პრაქტიკა;
- სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და დამუშავების ერთიანი მეთოდოლოგიის არარსებობა;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის ხარვეზიანი პრაქტიკა.

## სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა

სასამართლო სისტემაში გამჭვირვალობის კუთხით არსებული გამოწვევების დასაძლევად, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროგრამები და პროგრამების შესასრულებლად განერილი აქტივობები, უმეტესწილად პასუხობდა 2017 წელს არსებულ რეალობას.<sup>221</sup> სამწუხაროდ, ეს გამოწვევები კვლავაც

220 „ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება.

221 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 110, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].



აქტუალურია და მათ საპასუხოდ გათვალისწინებული აქტივობების უმეტესი ნაწილი, პასუხისმგებელი უწყებების უმოქმედობის გამო, დღემდე შეუსრულებელია.

საერთო ჯამში, სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული 21 აქტივობა შეეხება. ამ 21 აქტივობიდან წინა საანგარიშო პერიოდში, მხოლოდ 5 შეფასდა შესრულებულად, 7 – ნაწილობრივ შესრულებულად და 9 – შეუსრულებლად.<sup>222</sup> ეს თავი აფასებს სწორედ იმ 16 აქტივობას, რომელთაც წინა საანგარიშო პერიოდში შეუსრულებლის ან ნაწილობრივ შესრულებულის სტატუსი მიენიჭა.

აღსანიშნავია, რომ „მესამე ტალღის“ ფარგლებში დანერგილი საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ამ მიმართულებასთან დაკავშირებული ყველა აქტივობა წინა საანგარიშო პერიოდში შესრულებულად ჩაითვა, თუმცა საქმეთა ელექტრონული განაწილების ახალი წესის დამტკიცების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის პროცესმა აჩვენა, რომ საკითხმა სასამართლო სისტემის შიგნით აქტუალობა დაკარგა და ამ მიმართულებით რეფორმების გაგრძელების ნება შესუსტდა.<sup>223</sup>

### 1.4.3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაძლიერება, სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცნობიერებისა და კულტურის ამაღლების ხელშესაწყობად

*1.4.3.1. საზოგადოებასთან სასამართლოს ეფექტიანი კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება და ამოქმედება (2017) – ნაწილობრივ შესრულებული*

*1.4.3.3. საზოგადოების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, მიმდინარე საქმეების გაშუქებასთან დაკავშირებით – ნაწილობრივ შესრულებული*

**1.4.3.1.** – მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი ამ აქტივობის შეფასების ნაწილში გადაამისამართებას აკეთებს 2.4.2.1. და 2.4.2.2. აქტივობების კომენტარებზე.<sup>224</sup> ჯერ კიდევ პირველივე ჩრდილოვანი ანგარიში მიუთითებდა იმაზე, რომ 1.4.3.1. და 2.4.2.1. აქტი-

222 იქვე, გვ. 125.

223 ვრცლად იხ: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლოში, 2020, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2V7n1Fb>; წვდომის თარიღი: 15.04.2020].

224 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 19, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ ნერილით.

ვობები მსგავს შინაარსს შეიცავს.<sup>225</sup> კერძოდ, 2.4.2.1. აქტივობა ითვალისწინებს კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, ხოლო 1.4.3.1. აქტივობა საზოგადოებასთან სასამართლოს ეფექტიანი კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავებასა და ამოქმედებას. მათი დასახელებებიდან გამომდინარე, რთულია ამ ორ აქტივობას შორის მკაფიო მიჯნის გავლება და, შესაბამისად, გაურკვეველია, ეს აქტივობა ცალ-ცალკე, ორ სხვადასხვა მიმართულებაში რატომ გაიწერა.

აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც 1.4.3.1. აქტივობა, 2.4.2.1. აქტივობაც 2017 წელს უნდა შესრულებულიყო.<sup>226</sup> პირველი ჩრდილოვანი ანგარიში მიუთითებდა, რომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით ფორმირებულმა სამუშაო ჯგუფმა, 2018 წლის 20 ივლისს მოიწონა ევროკავშირის პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ექსპერტის მხარდაჭერით მომზადებული სასამართლო სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, რის შემდეგაც პროექტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაეცა განსახილველად. თუმცა, პირველ საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აღნიშნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.<sup>227</sup> მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, 2018 წლის 19 ნოემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა კომუნიკაციის სტრატეგია,<sup>228</sup> რომელიც სასამართლო სისტემის არსებულ შიდა და გარე კომუნიკაციის ძირითად მიმართულებებსა და მიზნებს, შესაძლო კომუნიკაციის ტიპებსა და საკომუნიკაციო საშუალებებს/ინსტრუმენტებს განსაზღვრავს.<sup>229</sup>

მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი ასევე მიუთითებს, რომ კომუნიკაციის სტრატეგიის აღსრულების მიზნით, მუშავდებოდა სასამართლო კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა, რომლის დამტკიცება 2019 წელს იგეგმებოდა.<sup>230</sup> თუმცა, მოწოდებული საჯარო ინფორმაციის ანალიზით, არ ირკვევა, დამტკიცდა თუ არა აღნიშნული სამოქმედო გეგმა.<sup>231</sup> იქი-

225 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (ჩრდილოვანი ანგარიში), 2018, გვ. 117, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

226 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 29.05.2018 წლის 1/162 გადაწყვეტილებით, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cz0BSS>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].

227 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (ჩრდილოვანი ანგარიში), 2018, გვ. 111-112, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

228 დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის პროექტის ადგილობრივი ექსპერტის მხარდაჭერით.

229 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 33, მოგვეწვდოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

230 იქვე.

231 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/498-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო და №241/667-03-ო წერილები.

დან გამომდინარე, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავება სტრატეგიის ამოქმედებისათვის აუცილებელი კომპონენტია, რასაც ასევე ადასტურებს მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტში ამ აქტივობის 2.4.2.1. აქტივობის შესრულებასთან ერთად განხილვა, 1.4.3.1. აქტივობა შესრულებულად ვერ ჩაითვლება, ვიდრე კომუნიკაციის სტრატეგიის აღსრულების მიზნით, შესაბამისი სამოქმედო გეგმაც არ დამტკიცდება და არ დაიწყება სტრატეგიის პრაქტიკაში დანერგვა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 1.4.3.1. აქტივობა კვლავ ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

**1.4.3.3.** – პირველი პროგრესის ანგარიშის თანახმად, 2017 წელს მიმდინარე საქმეების გაშუქებასთან დაკავშირებით, საზოგადოების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების ცნობიერების ასამაღლებლად, ღონისძიებები ვერ განხორციელდა ობიექტური მიზეზიდან გამომდინარე, თუმცა ანგარიში არ მიუთითებდა იმ ობიექტურ გარემოებებზე, რომელთა გამოც ამ აქტივობის შესრულება ვერ მოხერხდა.<sup>232</sup> მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი, ამ აქტივობასთან კავშირში, იუსტიციის უმაღლესის საბჭოს მიერ 2018 წლის 20-21 ოქტომბერს ტელევიზიებისა და საინფორმაციო სააგენტოების ჟურნალისტებისთვის ორდღიანი მედია სემინარის გამართვაზე მიუთითებს.<sup>233</sup> აღსანიშნავია, რომ პირველი ჩრდილოვანი ანგარიში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამომდინარე საჯარო ინფორმაციის საფუძველზე, შეიცავდა მონაცემებს აღნიშნული შეხვედრის შესახებ, რის საფუძველზეც ამ აქტივობას ნაწილობრივ შესრულებულის სტატუსი ჯერ კიდევ პირველ საანგარიშო პერიოდში მიენიჭა.<sup>234</sup> როგორც მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტიდან ირკვევა, შეხვედრაზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციები, ანგარიშვალდებული და ეფექტიანი სასამართლო სისტემა, მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესება, გადატვირთულობის პრობლემა სასამართლოში და სხვ.<sup>235</sup> მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ მეორე საანგარიშო პერიოდში მსგავსი შეხვედრები არ გამართულა.<sup>236</sup> შესაბამისად, აუცილებელია მომავალში ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება. იქიდან გამომდინარე, რომ

232 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 – ივნისი 2018, გვ. 26, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epnxFU>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

233 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 19, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

234 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 112, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

235 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 19, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

236 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/498-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო და №241/667-03-ო წერილები.

2018 წელს ჩატარებული სემინარის მასშტაბისა და მონაწილე პირთა წრის გათვალისწინებით, მოცემული ერთი შეხვედრა შეუძლებელია უზრუნველყოფდეს ფართო საზოგადოებისა და სხვადასხვა პროფესიული წრეების ცნობიერების ამაღლებას, აქტივობა კვლავაც ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

#### 1.4.4. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაჩინოების გაზრდა და დარღვევების პრევენცია

##### 1.4.4.3. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების პრაქტიკის დახვეწა (2017) – შესრულებული

**1.4.4.3.** – „მესამე ტალღის“ რეფორმის შედეგად მიღწეული პოზიტიური სიახლე, რომელიც ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებას ითვალისწინებდა,<sup>237</sup> სასამართლო სისტემაში ჯერ კიდევ წინა საანგარიშო პერიოდში დაინერგა. თუმცა, პირველი ჩრდილოვანი ანგარიში, info.court.ge-ზე დაშტრიხული გადაწყვეტილებების განთავსებისას, პლატფორმის გაუმართავ მუშაობაზე მიუთითებდა, რაც გადაწყვეტილების ძიების პროცესს უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელს ხდიდა.<sup>238</sup> ზემოაღნიშნულ ფაქტს ადასტურებს თავად სასამართლო სისტემის მიერ მომზადებული პირველი პროგრესის ანგარიშის ის ჩანაწერი, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებების გამოსაქვეყნებლად შექმნილი ვებგვერდის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (2017 წლამდე) ამუშავების შეუძლებლობაზე უთითებდა და შესრულების განახლებულ ვადად 2018 წლის დასასრულს განსაზღვრავდა.<sup>239</sup>

პირველი პროგრესის ანგარიში, ასევე მიუთითებდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, განისაზღვრა სამივე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების გაერთიანებული საძიებო სისტემის აუცილებლობა. დასკვნის თანახმად, აქცენტი კეთდებოდა საძიებო სისტემის მიერ სასამართლოში არსებული ყველა დაშტრიხული განაჩენის, საბოლოო დოკუმენტის, საჯარო შეტყობინების და სასა-

237 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-13 მუხლი, 3<sup>1</sup> პუნქტი [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2K5YbyT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

238 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (ჩრდილოვანი ანგარიში), 2018, გვ. 113, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

239 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 – ივნისი 2018, გვ. 27-28 [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epnxFU>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

მართლოში დანიშნული სხდომების მოძებნის საშუალების უზრუნველყოფაზე.<sup>240</sup> თუმცა, პირველი საანგარიშო პერიოდის მონაცემებით, უცნობი იყო, infocourt.ge მოიცავდა თუ არა სამივე ინსტანციის გადაწყვეტილებებს.<sup>241</sup>

მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი აღნიშნულ აქტივობას 5.4.3. პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას უკავშირებს. ეს გარკვეულწილად ლოგიკურია, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების პრაქტიკა შეუძლებელია დაიხვეწოს (1.4.4.3.) გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზის (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო) და ვებგვერდებზე განთავსების სისტემის სრულყოფილად მუშაობის (აქტივობა 5.4.3.1) გარეშე, სადაც სისტემატიზებული იქნება სამივე ინსტანციის გადაწყვეტილებები (აქტივობა 5.4.3.2).<sup>242</sup>

მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, 2018 წლის გაზაფხულზე ჩატარებული IT აუდიტის შედეგად,<sup>243</sup> სასამართლო სისტემაში არსებული ყველა პროგრამის (მათ შორის, გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემის – info.court.ge) გამართული მუშაობის შეფასების შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის მოდული, ხოლო 2019 წლის 21 ივნისს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიმართა სასამართლო გადაწყვეტილებების ახალი ვებგვერდის პრეზენტაცია.<sup>244</sup> მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, ახალი ვებგვერდის მეშვეობით, გადაწყვეტილების მოძიების/გაცნობის გარდა, რეგისტრირებულ მომხმარებლებს, დამატებით ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ საქმის მიმდინარეობას, მათთვის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირად თუ საჯარო სახის შეტყობინებებს და საქმესთან დაკავშირებულ ყველა ელექტრონულ დოკუმენტს. ამასთან, ვებგვერდის მეშვეობით შესაძლებელია სასურველი სასამართლოს გადაწყვეტილების მოძიება შესაბამისი დეტალური ფილტრების – საქმის ნომრის, გადაწყვეტილების თარიღისა და ტექსტის, სასამართლო ინსტანციისა და სა-

240 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 – ივნისი 2018, გვ. 28 [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epnxFU>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

241 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 113, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

242 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 20, 101-102, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

243 დონორთა ერთობლივი ინიციატივით განხორციელებული IT აუდიტის შედეგები დღემდე არ არის გასაჯაროებული და არც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მოეწოდა პროექტის გუნდს – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №2208/3236-03-ო.

244 ახალი ვებგვერდი: <http://ecd.court.ge/>; აღნიშნულ აქტივობაზე ვრცლად იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 101, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

სამართლოს დასახელების, საქმისა და დავის კატეგორიის, ასევე, გადაწყვეტილების ტიპის მიხედვით. ამჟამად, ვებგვერდზე ხელმისაწვდომია 2019 წლის სასამართლოს გადაწყვეტილებები, თუმცა, მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, პორტალს ეტაპობრივად დაემატება წინა წლების გადაწყვეტილებებიც.<sup>245</sup> შესაბამისად, აქტივობა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

## 2.4.1. სტატისტიკური ფორმებისა და ანალიტიკური ანგარიშების და მათი გავრცელების მექანიზმების დახვეწა

*2.4.1.1. სტატისტიკის ერთგვაროვანი წარმოების მეთოდოლოგიის შემუშავება (სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციისთვის და ინსტიტუციისთვის) და დანერგვა ვებგვერდებზე და კომუნიკაციის სხვა არხებში (2017-2018) – ნაწილობრივ შესრულებული*

*2.4.1.2. ანალიტიკური ანგარიშების წარმოების მეთოდოლოგიის (სასამართლოების, საბჭოს) მათი პერიოდულად გამოქვეყნების დანერგვა, მათ შორის, ვებგვერდებზე და კომუნიკაციის სხვა არხებში – ნაწილობრივ შესრულებული*

*2.4.1.3. საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკის ანალიზი და დახვეწა (2017-2018) – ნაწილობრივ შესრულებული*

*2.4.1.4. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების ტრენინგის ორგანიზება (2018) – ნაწილობრივ შესრულებული*

*2.4.1.5. საერთო სასამართლოების და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წლიური ანგარიშების ვებგვერდზე განთავსებისა და გავრცელების პრაქტიკის დანერგვა (მათ შორის, ფინანსების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის) (2017-2018) – ნაწილობრივ შესრულებული*

**2.4.1.1.** – დღესდღეობით, სასამართლო სისტემის სტატისტიკურ მონაცემებს უზენაესი სასამართლო ამუშავებს. უზენაესი სასამართლოს მიერ სტატისტიკის წარმოებას საფუძვლად უდევს მხოლოდ თითოეული სასამართლოდან მიღებული მონაცემების გაერთიანება. იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს ერთიანი მეთოდოლოგია, ბუნდოვანია, სხვადასხვა სასამართლოების მიერ სტატისტიკის წარმოების ან/და სტატისტიკური დოკუმენტების უზენაესი სასამართლოსათვის მიწოდების პრაქტიკა არის თუ არა ერთგვაროვანი.<sup>246</sup>

245 იქვე, გვ. 102.

246 EMC, როგორ იზომება სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი – გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკა, [ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/VouQk8>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].

სტატისტიკის ერთგვაროვანი წარმოების მეთოდოლოგიის შემუშავებასთან დაკავშირებით, პირველი პროგრესის ანგარიში 2017 წელს საერთაშორისო ექსპერტების საქართველოში ვიზიტებზე უთითებდა.<sup>247</sup> პირველი პროგრესის ანგარიშში მითითებული გახლდათ ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ჯერ კიდევ პირველ საანგარიშო პერიოდში შექმნილი იყო საერთო სასამართლოებში მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების სრული ნუსხა, ინსტანციების მიხედვით და მიმდინარეობდა ფორმების გადახედვა, მათში გარკვეული ცვლილებების შეტანა, მონაცემების დაზუსტება, რასაც მოჰყვებოდა სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცება.<sup>248</sup>

სამწუხაროდ, მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი ამ დოკუმენტების დამტკიცებაზე ინფორმაციას არ შეიცავს და არც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოუწოდებია მსგავსი მონაცემი.<sup>249</sup> მეტიც, მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი საერთოდ არ ახსენებს ამ პროცესს და არსობრივად განსხვავებულ ახალ ფორმატებზე აკეთებს აქცენტს. კერძოდ, დოკუმენტის თანახმად, სასამართლოს სტატისტიკის წარმოების გასაუმჯობესებლად, სტატისტიკური ფორმების დასახვეწად და არსებული გამოწვევების განსახილველად, 2018 წლის დეკემბერში, უზენაეს სასამართლოში, ამავე სასამართლოს სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრები გამართეს რაიონული/საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების კანცელარიის უფროსებთან და სტატისტიკის წარმომებზე უფლებამოსილ სხვა პირებთან. შეხვედრების აღწერისას, მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტში მითითებულია, რომ ამ შეხვედრებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულების შესაბამისად, გენდერული სტატისტიკის მაჩვენებლების საწარმოებლად სასამართლო სისტემაში საჭირო ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, ასევე, უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორის მიერ საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შემუშავებული და დანერგილი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსების წესების სრულყოფილად გაცნობას.<sup>250</sup> მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი ასევე გვამცნობს,

247 2017 წლის ივლისში უზენაესი სასამართლო მოწვევით განხორციელდა სლოვენელი ექსპერტის ვიზიტი, ხოლო 2017 წლის სექტემბერში – ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის შეფასების მისია ესტუმრა საქართველოს. ვრცლად იხ. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მსსრულების მდგომარეობა – ჩრდილოვანი ანგარიში, 2018, გვ. 114-115, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

248 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 – ივნისი 2018, გვ. 41-42, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epnxFU>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

249 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/498-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ და №241/667-03-თ წერილები.

250 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის მსსრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 29-30, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ წერილით.

რომ 2019 წლიდან უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორი აქტიურად არის ჩართული სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოების დასახვეწად შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში.<sup>251</sup>

მიუხედავად იმისა, რომ გემოაღნიშნული სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ან/და უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფებში ჩართულობა პოზიტიურად უნდა შეფასდეს, მხოლოდ ამ ქმედებებით მოცემული აქტივობა სრულად შესრულებულად ვერ ჩაითვლება. განხილული ნაბიჯები ფრაგმენტულია და მხოლოდ საქმეების კონკრეტულ ტიპებზე (სისხლის სამართლის დანაშაულები) ვრცელდება, ან მეტიც, კიდევ უფრო ვიწროვდება კონკრეტულ დანაშაულებამდე (ოჯახური ძალადობა). აქტივობის მიზანია სტატისტიკის ერთგვაროვანი წარმოების მეთოდოლოგიის შემუშავება სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციისა და ინსტიტუციისთვის და ყველა ტიპის საქმეზე (შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინებით). შესაბამისად, აუცილებელია, პასუხისმგებელმა უწყებებმა კომპლექსურად იმუშაონ. ყოველივე გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს.

**2.4.1.2.** – მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, უზენაესმა სასამართლომ მოამზადა და საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა „მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ“ 2018 წლის ანგარიში<sup>252</sup>, რომლის პრევენტაცია 2019 წლის 15 აპრილს გაიმართა. ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ქვედა ინსტანციის სასამართლოების და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის, ასევე, წლის განმავლობაში განხილული მნიშვნელოვანი საქმეების თაობაზე. 2019 წელს მომზადდა და უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსდა ყოველწლიური სტატისტიკური ელექტრონული კრებული „მართლმსაჯულება საქართველოში – 2018 წელი“<sup>253</sup>. კრებულში მოცემულია სტატისტიკური/ანალიტიკური ცხრილები და გრაფიკები საერთო სასამართლოებში შესული და განხილული სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობის შესახებ, ინსტანციებისა და დავის კატეგორიების (დანაშაულის სახეების) მიხედვით, რამდენიმეწლიან დინამიკაში. მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, მონაცემების მიღების/დამუშავების სისტემის დახვეწა იგეგმება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ხოლო

251 აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს. სამუშაო ჯგუფის მიზანია ყველა უწყებისათვის სტატისტიკის წარმოების ერთგვაროვანი სტანდარტისა და მეთოდოლოგიის შემუშავება/საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის საქმეთა სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგიის დამკვიდრება. ვრცლად იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 29-30, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

252 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის ანგარიში, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2W94tUj>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].

253 საქართველოს უზენაესი სასამართლო, მართლმსაჯულება საქართველოში – 2018 წლის სტატისტიკა, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YeQBKN>, წვდომის თარიღი: 14.04.2020].



ზემოაღნიშნული სტილით დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება ყოველწლიურად გაგრძელდება.<sup>254</sup> აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს სტატისტიკური ანგარიშის ფორმა უფრო აქვთ, ვიდრე სტატისტიკის საფუძველზე მომზადებული ანალიტიკური დოკუმენტების. შესაბამისად, უმჯობესია, პასუხისმგებელმა უწყებამ ჩაასწოროს მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი და აღნიშნული დოკუმენტები 2.4.1.1. აქტივობასთან მიმართებით განიხილოს.

რაც შეეხება ანალიტიკური დოკუმენტების მომზადების მეთოდოლოგიის შემუშავებას, მნიშვნელოვანია, რომ ახალმა სამოქმედო გეგმამ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს ის ინდიკატორები, რომლებიც გაამარტივებს აქტივობის შესრულების შეფასებას. სამოქმედო გეგმაში, ინდიკატორების კონკრეტული აქტივობებისათვის ინდივიდუალურად განსაზღვრის ნაცვლად, მხოლოდ მიმართულებებისთვის/პროგრამისთვის ზოგადი ინდიკატორების დადგენის პრაქტიკა<sup>255</sup> იწვევს სწორედ ბუნდოვანებას და ართულებს 2.4.1.1. და 2.4.1.2. აქტივობებს შორის მკაფიო მიჯნის გავლენას.

აღსანიშნავია, რომ პირველ საანგარიშო პერიოდში, მეორე სამუშაო ჯგუფი ამ აქტივობასთან დაკავშირებით მიუთითებდა, რომ ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, ადგილობრივმა ექსპერტმა 2017 წლის ნოემბერში მოამზადა კვლევის სახელმძღვანელო გზამკვლევი, რომელიც განიხილავს დოკუმენტის/კვლევის სახეებს, სამართლებრივ ანალიზს, დოკუმენტების სტრუქტურასა და სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენების სტანდარტებს.<sup>256</sup> თუმცა დღემდე უცნობია, რა ფორმით იგეგმება ამ დოკუმენტით სარგებლობა სასამართლოებისა და საბჭოს მიერ ანალიტიკური ანგარიშების წარმოებისას და გამოქვეყნებისას. გასათვალისწინებელია, რომ ეს დოკუმენტი არც პირველ პროგრესის ანგარიშშია ნახსენები,<sup>257</sup> და არც მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტში.<sup>258</sup>

254 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 31, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ ნერილით.

255 მაგალითისათვის, სამოქმედო გეგმაში ინდიკატორები მითითებულია მთლიანად 2.4. პროგრამისთვის ერთობლივად და არა ქვეპროგრამებისა და კონკრეტული აქტივობების მიხედვით, იხ. სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, დამკვიცხებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 29.05.2018 წლის 1/162 გადაწყვეტილებით, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cz0BSS>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

256 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (ჩრდილოვანი ანგარიში), 2018, გვ. 115, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

257 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 – ივნისი 2018, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epnxFU>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

258 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 31, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ ნერილით.

მონიტორინგის პროცესის თანახმად, იკვეთება, რომ არის შემთხვევები, როდესაც სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ადგენს დოკუმენტის მომზადების/კვლევის ჩატარების ვალდებულებას, რომელიც ფორმალურად სრულდება, თუმცა პრაქტიკაში ამ დოკუმენტების/კვლევების სარგებლიანობაზე ან/და გამოყენების შემთხვევებზე, პასუხისმგებელი უწყებები არ მიუთითებენ. მნიშვნელოვანია, მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტში დამატოს ინფორმაცია ადგილობრივი ექსპერტის მიერ 2017 წლის ნოემბერში მომზადებული დოკუმენტის – კვლევის სახელმძღვანელო გზამკვლევის შესახებ. კერძოდ, თუ რა სამუშაოები შესრულდა ამ მიმართულებით 2017 წლის ნოემბრიდან დღემდე და რა პრაქტიკული დანიშნულება ექნება ამ დოკუმენტს ანალიტიკური ანგარიშების მომზადების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში.

**2.4.1.3.** – მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, საერთო სასამართლოებში საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკის ანალიზისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის ერთიანი სტანდარტის დასადგენად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საერთო სასამართლოებიდან გამოითხოვა 2017-2018 წლებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შესულ განცხადებებზე არსებული მონაცემები. როგორც ირკვევა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სწორედ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გეგმავს საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკის ანალიზს და საბოლოო ჯამში, სასამართლო სისტემაში საჯარო ინფორმაციის გაცემის ერთიანი სტანდარტის დანერგვას.<sup>259</sup> აღსანიშნავია, რომ ამ ინფორმაციას უკვე შეიცავდა პირველი ჩრდილოვანი ანგარიში.<sup>260</sup> საბჭო არ განმარტავს, თუ რატომ დასტირდა აღნიშნულ პროცესს 2 წელი. შესაბამისად, აქტივობა კვლავ ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს.

**2.4.1.4.** – მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტიც, ისევე როგორც პირველი პროგრესის ანგარიში, ამ აქტივობის შესრულებასთან კავშირში უთითებს „მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების“ 2018 წლის პროგრამის ფარგლებში, მეორე სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტის თანახმად ჩატარებულ 2 ტრენინგზე (თემაზე: კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა).<sup>261</sup> როგორც პირველ ჩრდილოვან ანგარიშშია აღნიშნული,<sup>262</sup>

259 იქვე, გვ. 31.

260 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (ჩრდილოვანი ანგარიში), 2018, გვ. 115, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

261 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 31-32, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

262 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (ჩრდილოვანი ანგარიში), 2018, გვ. 116, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

მნიშვნელოვანია, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ტრენინგების ორგანიზებამ უპასუხოს იმ გამოწვევებს, რასაც საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკის ანალიზი გამოავლენს. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკის ანალიზი ამ ეტაპზე დასრულებული კვლავაც არ არის, აქტივობა კვლავ ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

**2.4.1.5.** – მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების<sup>263</sup> საფუძველზე, საერთო სასამართლოების, საერთო სასამართლოების დეპარტამენტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია ამავე გადაწყვეტილებით დადგენილი წესის შესაბამისად ქვეყნდება/ახლდება.

გასათვალისწინებელია, რომ წინა გამოცდილებისგან განსხვავებით, როდესაც 2013-2017 წლების საქმიანობა საბჭოს წინა შემადგენლობამ ერთიან დოკუმენტში შეაფასა,<sup>264</sup> 2018-2019 წლის პერიოდთან დაკავშირებით, საბჭოს ვებგვერდზე განთავსებულია საბჭოს მდივნის ანგარიში<sup>265</sup>, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს. თუმცა, აქტივობის შესაფასებლად, როგორც პირველ ჩრდილოვან ანგარიშშიც იყო მითითებული, აუცილებელია განისაზღვროს იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელთაც უნდა მოიცავდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველწლიური ანგარიში.

რაც შეეხება საერთო სასამართლოების მიერ ყოველწლიური ანგარიშების წარმოების საკითხს, მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი დამატებით აკეთებს გადამისამართებას 2.4.1.2. აქტივობის კომენტარში ასახულ უზენაესი სასამართლოს წლიურ ანგარიშზე.<sup>266</sup> თუმცა ბუნდოვანია, ანარმოებენ თუ არა მსგავს ანგარიშებს რაიონული/საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები. შესაბამისად, აქტივობა კვლავ ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

263 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის №1/225 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი“, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bPJaNT>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

264 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (ჩრდილოვანი ანგარიში), 2018, გვ. 116, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

265 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიური ანგარიში, 2018-2019, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3f3DDW7>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

266 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 31, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ ნერილით.

## 2.4.2. საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეფექტიანი მექანიზმის ამოქმედება

**2.4.2.1. კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება (2017) – ნაწილობრივ შესრულებული**

**2.4.2.2. სასამართლო მოხელეებისთვის არსებული კომუნიკაციის სტანდარტის გადახედვა და ამოქმედება (2017) – ნაწილობრივ შესრულებული**

**2.4.2.1.** – აღნიშნული აქტივობა ფართოდაა მიმოხილული 1.4.3.1. აქტივობის შეფასების კომენტარში (იხ. ზემოთ). როგორც აღინიშნა, მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, 2018 წლის 19 ნოემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა კომუნიკაციის სტრატეგია,<sup>267</sup> თუმცა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად მიღებული წერილებით არ ირკვევა, ამ სტრატეგიის შესრულებისთვის მომზადდა თუ არა შესაბამისი სამოქმედო გეგმა.<sup>268</sup> იქიდან გამომდინარე, რომ სამოქმედო გეგმის 2.4. პროგრამის შესრულების ინდიკატორად განსაზღვრულია როგორც კომუნიკაციის სტრატეგიის, ისე სამოქმედო გეგმის დამტკიცება და მათ აღსასრულებლად მუშაობის დაწყება,<sup>269</sup> ეს აქტივობა კვლავ ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე კომუნიკაციის სტრატეგიის შესასრულებლად სამოქმედო გეგმა არ შემუშავდება/დამტკიცდება.

**2.4.2.2.** – აღნიშნული აქტივობა 2017 წელს უნდა შესრულებულიყო, თუმცა მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი მიუთითებს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის არსებული სტანდარტების<sup>270</sup> დასახვეწად, სამუშაოები კვლავაც გრძელდება. მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, საერთაშორისო ექსპერტებმა საჭიროების კვლევა ჩაატარეს თბილისის, რუსთავისა და გორის საქალაქო სასამართლოებში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტი შეხვდა აღნიშნული სასამართლოების მოსამართლეებს, მენეჯერებსა და თანამშრომლებს, დაესწრო სასამართლო სხდომებს, გაეცნო სასამართლოების საქმიანობის სპეციფიკურ-

267 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 33, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

268 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/498-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო და №241/667-03-ო წერილები.

269 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 29.05.2018 წლის 1/162 გადაწყვეტილებით, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cz0BSS>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

270 „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xy7XHz>; წვდომის თარიღი: 14.04. 2020].

ბას და დააკვირდა სასამართლოს მოხელეების მოქალაქეებთან კომუნიკაციას. მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტში მითითებულია, რომ ჩატარებული კვლევის შედეგებსა და საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, ექსპერტებმა მოამზადეს დასკვნები და რეკომენდაციები,<sup>271</sup> ხოლო საჯარო ინფორმაციის გამომთხოვის გზით მიღებული წერილის თანახმად 2019 წლის 11 ივლისს გაიმართა მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც ევროკავშირის წარმომადგენლებმა მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების ახალი პროექტი წარმოადგინეს. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა წერილობითი მოსაზრებების წარდგენის სამკვირიან ვადაზე, რის შემდეგაც საკითხის განხილვა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში უნდა გაგრძელებულიყო.<sup>272</sup> თუმცა, 2020 წლის თებერვლის მდგომარეობით, ინფორმაცია ამ აქტივობის ფარგლებში განხორციელებული შემდგომი ქმედებების შესახებ პასუხისმგებელი უწყების მიერ დამატებით წარმოდგენილი არ ყოფილა.<sup>273</sup> შესაბამისად, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

### 2.4.3. საზოგადოების ნდობის შეფასება მართლმსაჯულების და სასამართლო სისტემის მიმართ

*2.4.3.1. სასამართლო ანგარიშვალდებულების ნაკლოვანებების კვლევა (2018) – შეუსრულებელი*

*2.4.3.2. კვლევის შედეგების საფუძველზე პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავება (2017-2018) – შეუსრულებელი*

**2.4.3.1.** – ისევე როგორც პირველ საანგარიშო პერიოდში, სასამართლო ანგარიშვალდებულებების ნაკლოვანებების კვლევის ჩატარების თაობაზე ინფორმაციას არ შეიცავს არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული საჯარო ინფორმაცია<sup>274</sup>, არც სამოქმედ-

271 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 33-34, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ წერილით.

272 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №241/667-03-თ წერილი.

273 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/498-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-თ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-თ და №241/667-03-თ წერილები.

274 იქვე.

დო გეგმის შესრულების ერთწლიანი პროგრესის ანგარიში<sup>275</sup> და ახლა უკვე არც მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი.<sup>276</sup>

**2.4.3.2.** – აღნიშნული აქტივობა პირდაპირ უკავშირდება წინა აქტივობის (2.4.3.1.) შესრულებას.<sup>277</sup> ვინაიდან, არსებული ინფორმაციით, კვლევა არ ჩატარებულა, კვლევის შედეგების გარეშე შეუძლებელია პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავებაზე მსჯელობა.

## 4.3.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმის გატარება

*4.3.2.3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სტრუქტურული გაძლიერება (2017) – შესრულებული*

*4.3.2.4. სტატისტიკის ერთიანი სამსახურის შექმნა (შესაძლოა მენეჯმენტის დეპარტამენტის ქვეშ) (2018) – შეუსრულებელი*

**4.3.2.3.** – მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის სამსახური 2018 წლის ზაფხულში დაკომპლექტდა. ამავე დოკუმენტის მიხედვით, მეორე საანგარიშო პერიოდში, სამსახურის სრულყოფილი საქმიანობისთვის შეიქმნა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აღსანიშნავია ისიც, რომ საერთო სასამართლოების სისტემაში საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულების გასაძლიერებლად, მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი უთითებს იმ ცვლილებებზე, რომელთა თანახმადაც, სამსახურის მენეჯერის უფლებამოსილებებმა მოიცვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საერთო სასამართლოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების კოორდინირებული მუშაობა, ასევე სასამართლო სისტემის ერთიანი საკომუნიკაციო პოლიტიკის განსაზღვრის ხელმძღვანელობა და სტრატეგიის შემუშავება.<sup>278</sup> შესაბამისად, აქტივობა შესრულებულად უნდა

275 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2017 – ივნისი 2018, გვ. 41-42, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3epnxFU>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

276 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, მოგვეწვდოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

277 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „აღამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (ჩრდილოვანი ანგარიში), 2018, გვ. 118, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

278 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 66, მოგვეწვდოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

ჩაითვალოს, თუმცა მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა ამ სამსახურის როგორც სტრუქტურული, ისე ფუნქციონალური გაძლიერებისათვის.

**4.3.2.4.** – მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკის ერთიანი სამსახურის შექმნის საბოლოო ვადად, სამოქმედო გეგმის თანახმად, 2018 წელი გახლდათ განსაზღვრული, არსებული ინფორმაციით, ეს სამსახური არ ჩამოყალიბებულა. გარდა ამისა, არც მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი<sup>279</sup> და არც საჯარო ინფორმაციის ფორმით გამოთხოვილი მონაცემები<sup>280</sup> არ შეიცავს მითითებებს ამ აქტივობის შესასრულებლად გადადგმული ან/და დაგეგმილი ნაბიჯების თაობაზე.

#### 4.5.5. სასამართლო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება

*4.5.5.8. სასამართლო გადაწყვეტილებათა ავტომატური გამოქვეყნების პროგრამის შემუშავება და გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემის დანერგვა (2017-2018) – ნაწილობრივ შესრულებული*

**4.5.5.8.** – როგორც 1.4.4.3. აქტივობის კომენტარში აღინიშნა, შემუშავდა სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის მოდული და გაიმართა სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო ახალი ვებგვერდის პრეზენტაცია.<sup>281</sup> იქიდან გამომდინარე, რომ ამჟამად, ვებგვერდზე ხელმისაწვდომია 2019 წლის სასამართლოს გადაწყვეტილებები და მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი პორტალზე გადაწყვეტილებების ეტაპობრივ დამატებაზე მიუთითებს,<sup>282</sup> სავარაუდოა, რომ გადაწყვეტილებათა ავტომატური გამოქვეყნების პროგრამა არ არის დანერგილი. თუმცა გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემის დანერგვის მიზნით გადადგმული ნაბიჯებიდან გამომდინარე, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

279 იქვე.

280 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი №94/105-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №184/498-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის წერილი №183/501-03-ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო და №241/667-03-ო წერილები.

281 ახალი ვებგვერდი: <http://ecd.court.ge/>; აღნიშნულ აქტივობაზე ვრცლად იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 101, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.

282 იქვე.

### 4.6.1. აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან ურთიერთობების გაუმჯობესება

*4.6.1.1. დონორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, შეხვედრებისა და განხილვების რეგულარული ფორმატის დახვეწა (2017-2018) – ნაწილობრივ შესრულებელი*

**4.6.1.1.** – არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სათანადო ფორმატების არარსებობა სასამართლო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია. პირველ საანგარიშო პერიოდში, არც სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და არც პასუხისმგებელი უწყებებიდან მიღებული ინფორმაცია, ამ აქტივობის შესასრულებლად განხორციელებულ ღონისძიებებზე მონაცემებს არ შეიცავდა.<sup>283</sup> მეორე პროგრესის ანგარიშის პროექტი კი, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის აღსრულების პროცესში, უთითებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტიურ თანამშრომლობაზე საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, და ამას დოკუმენტში კონკრეტულ შეხვედრებზე მითითებით ადასტურებს.<sup>284</sup> საბჭოს ინფორმაციით, მსგავს ფორმატებში ჩართულნი არიან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიც. არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის შეხვედრებში მონაწილეობისა და პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობის მიცემა ან/და სამუშაო დოკუმენტების პროექტების გაზიარება ავტომატურად ვერ ჩაითვლება ამ აქტივობის შესრულებად, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე დასწრება მხოლოდ კენჭისყრის საფუძველზეა შესაძლებელი და სტაბილური მონაწილეობის ფორმები დადგენილი არ არის. შესაბამისად, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს.

283 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (ჩრდილოვანი ანგარიში), 2018, გვ. 122, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].

284 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის მეორე წლიური ანგარიშის პროექტი, საანგარიშო პერიოდი: ივნისი 2018 – ივნისი 2019, გვ. 76, მოგვეწოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 10 მარტის №242/668-03-ო წერილით.



## შეჯამება

აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებებიდან მიღებული საჭარო ინფორმაციის ანალიზმა და სასამართლო სისტემის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულების მეორე პროგრესის ანგარიშის ამ დრომდე დაუმტკიცებლობამ, გამოავლინა, რომ სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები სრულფასოვნად და დროულად არ სრულდება. პირველი საანგარიშო პერიოდის მსგავსად, მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ სათანადო ყურადღების მიღმა დარჩენილი.<sup>285</sup>

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის არაერთ საკითხს ეხება, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით განსაზღვრულ აქტივობათა უმრავლესობას სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმაც ითვალისწინებდა და შეუსრულებელი დარჩა. აქედან გამომდინარე, აქტივობების, გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეუსრულებლობის თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ახალ სამოქმედო გეგმაში, სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებული აქტივობებისთვის დადგინდეს რეალისტური ვადები და მათი შესრულების შეფასების სათანადო და გაზომვას დაქვემდებარებული ინდიკატორები.<sup>286</sup>

სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია, რომ ახალ სამოქმედო გეგმასა და, შესაბამისად, პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობაში პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვროს შემდეგი საკითხები:

- სასამართლო ანგარიშვალდებულების ნაკლოვანებების კვლევა და შედეგების საფუძველზე პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავება;
- სასამართლო გადაწყვეტილებათა ავტომატური გამოქვეყნების პროგრამის შემუშავება და სასამართლო გადაწყვეტილებების ახალი საძიებო სისტემის შემდგომი სრულყოფა, მათ შორის, ყველა აქამდე მიღებული გადაწყვეტილების ეტაპობრივი გამოქვეყნების გზით;
- გადაწყვეტილებების ახალი საძიებო სისტემის (ერთიანი ბაზის) დანერგვის შემდგომი მდგომარეობის შესწავლა პროფესიული ჯგუფების ჩართულობით, ხარვეზების გამოვლენა და მათზე სათანადო რეაგირება;

285 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა (ჩრდილოვანი ანგარიში), 2018, გვ. 124, [ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34yT7wm>; წვდომის თარიღი: 14.04.2020].


286 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)“, კომენტარები სასამართლო სისტემის 2019-2020 წლის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიაზე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარედგინა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

- სასამართლო გადაწყვეტილებებში პერსონალური მონაცემების ღიაობის საკითხის კონსტიტუციური სტანდარტის<sup>287</sup> შესაბამისად განსაზღვრა და ახალი სტანდარტის პრაქტიკაში დანერგვა;
- სტატისტიკის ერთგვაროვანი წარმოების მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა;
- სტატისტიკის ერთიანი სამსახურის ფორმირება;
- ანალიტიკური ანგარიშების წარმოების მეთოდოლოგიის ერთგვაროვანი გზამკვლევი დოკუმენტების შემუშავება სასამართლოებისათვის/საბჭოსათვის და ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე ანალიტიკური ანგარიშების პერიოდულად მომზადების/გამოქვეყნების დანერგვა;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკის ანალიზი და დახვეწა;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირებისათვის ტრენინგების ორგანიზება;
- კომუნიკაციის სტრატეგიის აღსრულების მიზნით, სამოქმედო გეგმის დამტკიცება, დანერგვა და მონიტორინგი;
- სასამართლო მოხელეებისთვის არსებული კომუნიკაციის სტანდარტის გადახედვა და ამოქმედება;
- დონორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, შეხვედრებისა და განხილვების რეგულარული ფორმატის დახვეწა;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან/პროფესიულ ჯგუფებთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად, სასამართლო სისტემის სტრატეგიის შესრულების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში მათთვის წევრის სტატუსის მინიჭება;
- საზოგადოების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, მიმდინარე საქმეების გაშუქებასთან დაკავშირებით.

---

287 „ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება.

სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსი<sup>288</sup>



288 ამ გრაფიკზე ნაჩვენებია მხოლოდ ამ მონიტორინგის პერიოდში შეფასებული აქტივობების შესრულების სტატუსი.